საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№24 (259)
2 - 8 ივლისი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

9 მამა ელიზბარი საქართველოდან მიდის

2

ჯო ბაიდენი:

## არ მაინტერესებს თქვენი კულტურა



4

## რატომ და ვისი დავალებით ყიდის «ქართული ოცნება» ქართულ მიწებს უცხოელებზე?




5

## აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყაო

11

## «ფასები გაიზრდება და ევროპულს გაუტოლდება!»



„ჩვენი ვაშლი ისეთ დროს მწიფდება, რომ ევროპას უკვე თავისი აქვს. ჩვენებური გამძლე კი არის, მაგრამ გაზაფხულზე ევროპას იგი ახალი ზელანდიიდან და ჩილედან შეაქვს. გლეხს ასეთი რაღაცები უნდა ავუხსნათ."

8

## როგორ ხვდებიან ქართველი ბოევიკები უკრაინაში





14

## «2011 წლის ბოლოს, დაზვერვის სამმართველოს დავალებით, შემაგზავნეს «ქართულ ოცნებაში». მოვახერხე და დავუახლოვდი არჩილ ქბილაშვილს, ვუსმენდი და ვუთვალთვალებდი მას...»

13

## «ჩემი შვილი ამერიკელების პირადი პატიმარია!»

«ეს გააკეთეს ამერიკელებთან «პადხალიმობის» მიზნით. დაანახეს ამერიკელებს, — აი, როგორ გვიყვარხართ და როგორ გიცავთო. ახლა «ოცნებაც» განაგრძობს «პადხალიმობას»

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოში „მუქარას“ უწოდებენ ლავროვის განცხადებას, რომ, თუკი ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს საფრთხე შეექმნება, რუსეთი თავს დაიცავს. თუ მუქარაა ის, რომ რუსეთი თავს დაიცავს, მაშინ რა შეიძლება ეწოდოს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის განცხადებას? რა იქნება „არაადამიანურობის საფასური“? ვის შეეხება იგი?**

**ახლახან აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სექსუალური უმცირესობების უფლებათა დამცველებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დაავალა აშშ-ის დიპლომატიურ სამსახურს, მსოფლიოში ხელი შეუწყონ გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებების დაცვას. შეხვედრას სექსუალური უმცირესობების ცნობილ უფლებადამცველებთან ერთად დიდი ბრიტანეთის, შვედეთის, დანიისა და ისლანდიის ელჩები ესწრებოდნენ.**

# «არ მაინტერესებს თქვენი კულტურა»



**ბაიდენი ყოველთვის ამბობდა, რომ სკოლის, უნივერსიტეტისა და იურიდიული კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული იყო, მაგრამ ჟურნალისტებმა ეს მონაცემები შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ბაიდენს ძალიან დაბალი მოსწრება ჰქონდა. გარდა ამისა, კოლეჯში სწავლისას იგი პლაგიატში ამხილეს**

ჯო ბაიდენმა ილაპარაკა, რომ სწორედ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვა არის ცივილიზებული ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანი და ის ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებზე მაღლა უნდა იდგეს.

**„არ მაინტერესებს თქვენი კულტურა“,** — განუცხადა ბაიდენმა სტუმრებს და დასძინა, რომ **იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც არ აძლიერებენ ლგბტ პირთა უფლებებს, არაადამიანურობის საფასური უნდა გადაიხადონ**.

ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა. საქართველოში „მუქარას“ უწოდებენ ლავროვის განცხადებას იმის შესახებ, რომ, თუკი ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს საფრთხე შეექმნება, რუსეთი თავს დაიცავს. **თუ მუქარაა ის, რომ რუსეთი თავს დაიცავს, მაშინ რა შეიძლება ეწოდოს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის განცხადებას? რა იქნება „არაადამიანურობის საფასური“? ვის შეეხება იგი?** დღეს რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც გაემიჯნა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას. დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება იმას, რომ „არაადამიანურობის საფასურზე“ ლაპარაკისას ბაიდენი სწორედ რუსეთს გულისხმობდა.

**ცნობისათვის: ნატოს წევრ და აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირე თურქეთში მხოლოდ შარშან 70 ტრანსსექსუალი მოკლეს, მაგრამ ამერიკელებს ეს არც შეუმჩნევიათ. „არაადამიანურობა“ არის ის, რომ რუსეთში გეიპროპაგანდა აიკრძალა!**

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობრივი ან სულაც მიუღებელი განცხადებების გამო ბაიდენს არაერთხელ მოუწია ბოდიშის მოხდა. 2013 წლის 21 მაისს ჯო ბაიდენმა ოფიციალურ მიღებაზე, რომელიც ამერიკელი ებრაელების დამსახურებებს ეძღვნებოდა, საჯაროდ განაცხადა, რომ ებრაელთა როლი განსაკუთრებულია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაში. რაც შეეხება კინოინდუსტრიასა და მასმედიას, ბაიდენმა თქვა: „ცვლილებათა 85%, რომლებიც განხორციელდა ჰოლივუდსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, შესაძლებელი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ მათ ებრაელები ხელმძღვანელობენ“. მან ხაზი გაუსვა ებრაელების გავლენას იმიგრაციული კანონმდებლობის მიღებასა ფემინიზმის მიღწევებში. ვიცეპრეზიდენტმა განაცხადა: „ჩვენ დიადი ქვეყანა დიდწილად იმ წვლილის გამო ვართ, რომელიც ებრაულმა მემკვიდრეობამ და ებრაულმა პრინციპებმა შემოიტანეს“.

**ბაიდენის ამ გამოსვლამ, ებრაელების მიმართ პატივისცემის გამოხატვის ნაცვლად, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ამერიკული პრესა წერდა, რომ მისი ეს გამოსვლა ჩინებული კოზირია ებრაელთა მოწინააღმდეგეებისთვის; ბაიდენმა, ფაქტობრივად, ირიბად დაადასტურა, რომ არსებობს „ებრაული შეთქმულება“ (The New York Magazine). ავტორიტეტული ებრაელები სულაც არ მოიხიბლნენ ვიცეპრეზიდენტის ამ გამოსვლით**.

ერთ გამოსვლაში ბაიდენმა პრეზიდენტ ობამას მისამართით განაცხადა: „ჩვენ გამოგვიჩნდა პირველი თანამედროვე აფროამერიკელი, რომელიც კარგად ლაპარაკობს, ნათელი, სუფთა და სიმპათიური, პირდაპირ ზღაპრული პერსონაჟია“. ბევრმა ამერიკელმა ეს კომენტარი შეურაცხყოფად და რასობრივად მიუღებლად მიიჩნია. **ბაიდენს ობამას წინაშე ბოდიშის მოხდა მოუწია. სხვა დროს მან განაცხადა, რომ ამერიკაში ვერ იპოვი ფუნთუშის გამყიდველს, ინდური აქცენტი რომ არ ჰქონდეს. 2011 წლის 14 აპრილს ჯო ბაიდენს ჩაეძინა პრეზიდენტ ობამას სიტყვით გამოსვლისას, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას ეძღვნებოდა.**

ბაიდენი ყოველთვის აშკარად გამოხატავდა ერთგულებას კათოლიკური რწმენისადმი და აცხადებდა, რომ „ყელში ჩათხრის კრიალოსანს ნებისმიერ რესპუბლიკელს, რომელიც მას მცირედმორწმუნეობას უსაყვედურებს“. **ასეთი მხურვალე კათოლიკე დღეს კიდევ უფრო მხურვალედ იცავს სექსუალური უმცირესობების უფლებებს და მათ ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა აყენებს.**

1987 წელს ბაიდენმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობას აპირებს. მაშინ იგი სენატის იურიდიულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. საარჩევნო კამპანია საკმაოდ ენერგიულად დაიწყო, მაგრამ მალე ჟურნალისტებმა ტყუილში გამოიჭირეს: **ბაიდენი ყოველთვის ამბობდა, რომ სკოლის, უნივერსიტეტისა და იურიდიული კოლეჯის საუკეთესო კურსდამთავრებული იყო, მაგრამ ჟურნალისტებმა ეს მონაცემები შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ბაიდენს ძალიან დაბალი მოსწრება ჰქონდა. გარდა ამისა, კოლეჯში სწავლისას იგი პლაგიატში ამხილეს**. მისი კონკურენტის პრესსამსახურმა გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც შედარებული იყო ბაიდენის და დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის მოქმედი ლიდერის, ნილ კინოკის გამოსვლები. გაირკვა, რომ **ბაიდენი პირდაპირ იმეორებდა კინოკის ფრაზებს. ამ სკანდალების შემდეგ ბაიდენმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და განაცხადა, რომ იგი „წარსულის შეცდომების ჰიპერტროფირებულმა ჩრდილმა გაჭყლიტა“.**

ბაიდენის ბიოგრაფია ისეთივე წინააღმდეგობრივია, როგორც მისი განცხადებები. 1974 წელს ჟურნალ TIME-მაME ყველაზე ახალგაზრდა, 30 წლის სენატორი ჯო ბაიდენი შეიყვანა იმ 200 პიროვნების სიაში, „რომლებიც შექმნიან ისტორიას“. იგი 35 წლის განმავლობაში წარმოადგენდა დელავერის შტატს აშშ-ის სენატში, თუმცა „ისტორიის შექმნაზე“ ისტორია მოკრძალებულად დუმს. მისი წვლილი ამ საქმეში იმით შემოიფარგლა, რომ, პრეზიდენტობა როდესაც დააპირა, განაცხადა, რეიგანის ეპოქის ცვლილებებს გავაუქმებო.

**ბავშვობაში ბაიდენს ენა ებმოდა, მაგრამ მოახერხა ამ ნაკლის დაძლევა და კარგ ორატორად ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, ახალგაზრდობაში ასთმის გამო ფეხბურთს დაანება თავი და ამავე მიზეზით არ წავიდა ვიეტნამის ომში. პოლიტიკოსი, რომელსაც სამხედრო ძალებთან არანაირი შეხება არ ჰქონია, აშშ-ის მიერ წამოწყებული ყველა ომის მხარდამჭერად იქცა.**

ბაიდენი იყო პირველი, რომელმაც სლობოდან მილოშევიჩს სამხედრო დამნაშავე უწოდა. პრეზიდენტ კლინტონის მიერ იუგოსლავიის დაბომბვის გადაწყვეტილებას დიდწილად სწორედ ბაიდენის გავლენას უკავშირებენ. იმჟამად იგი სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში მოღვაწეობდა. **სწორედ ბაიდენი ლობირებდა ბოსნიელი მუსლიმანების შეიარაღებას, მოითხოვდა იუგოსლავიის ხელმძღვანელობის დანაშაულთა გამოძიებას და სერბეთის დაბომბვას. 2001-2003 წლებში იგი საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო და 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მხარი დაუჭირა ავღანეთში სამხედრო ჩარევას. 2002 წელს მან მხარი დაუჭირა ერაყში ინტერვენციას.**

საინტერესოა, რომ 2008 წელს პრეზიდენტობის კანდიდატ ბარაკ ობამასთან წყვილში (პრეზიდენტი-–ვიცეპრეზიდენტი) კენჭისყრისას ბაიდენმა ყოველი შემთხვევისთვის თადარიგი დაიჭირა და პარალელურად დელავერის შტატის სენატორად იყარა კენჭი. ისე მოხდა, რომ ობამამ არჩევნები მოიგო და იმავე დღეს სენატორად გასულმა ბაიდენმა ვიცეპრეზიდენტის სავაძელში გადაინაცვლა, ხოლო დელავერის გუბერნატორმა მის ადგილზე ორი წლის ვადით ბაიდენის თანაპარტიელი ტედ კაუფმანი დანიშნა. **ასეთი ამერიკული დემოკრატია რომ იყოს, მაგალითად, რუსეთში, ანუ გამოკლებული სენატორის ადგილზე არჩევნების გარეშე გუბერნატორმა დანიშნოს ვინმე, ადვილი წარმოსადგენია, როგორი რისხვა დაატყდებოდა დემოკრატიის „დამცველებისგან“!**

2012 წელს ობამა-ბაიდენის წყვილმა მეორედ გაიმარჯვა. ჯო ბაიდენი და სააკაშვილის ლობისტი ჯონ მაკკეინი, მიუხედავად იმისა, რომ ორ კონკურენტ პარტიას, შესაბამისად, დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს წარმოადგენენ, ერთმანეთს ყოველთვის მხარს უჭერენ; 2004 წელს ბაიდენმა უარი თქვა პრეზიდენტად კენჭისყრაზე, ხოლო როცა მის კანდიდატურას ჯონ კერისთან ერთად ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად განიხილავდნენ, მან დემოკრატების კანდიდატს მეწყვილედ სწორედ მაკკეინი შესთავაზა. **2008 წელს მაკკეინმა გულითადად მიულოცა ბაიდენს გამარჯვება და ვიცეპრეზიდენტის პოსტი. ისინი ყოველთვის სოლიდარულები იყვნენ ავღანეთის, ერაყისა და პაკისტანის საკითხებში.**

ბაიდენი ცნობილია, როგორც ყველაზე ღარიბი ამერიკელი პოლიტიკოსი. მისი წლიური შემოსავალი მხოლოდ 400 ათასი დოლარია. სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენციის დათვალიერების შემდეგ ჟურნალისტებმა ბაიდენის დაბნეული გამომეტყველება აღნიშნეს, მით უფრო, რომ ეს 2008 წლის სამხედრო ავანტიურის შემდეგ ხდებოდა და სააკაშვილი აშშ-ის სენატისგან მილიარდი დოლარის დახმარებას ითხოვდა.

**ბაიდენს ორად ორი სახელმწიფო ჯილდო აქვს მიღებული: 2006 წელს იგი ლატვიაში „სამი ვარსკვლავის ორდენის“ უმაღლესი ოფიცრის წოდებით დააჯილდოვეს, ხოლო 2009 წელს სააკაშვილმა გამარჯვების წმინდა გიორგის ორდენი უბოძა. ახლო მომავალში ამ ჯილდოებს, ალბათ, უკრაინის რომელიმე ორდენიც შეემატება.** ჯო ბაიდენი კიევშიც ჩავიდა და ახალ ხელისუფლებას მხარდაჭერა გამოუცხადა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ქალბატონი ნულანდის მიერ დარიგებული ფუნთუშებით გამარჯვებულმა კიევის მაიდანმა სახელმწიფო გადატრიალება წარმატებით შეასრულა. მართალია, შეერთებულმა შტატებმა, როგორც ამბობენ, ამ ოპერაციისთვის 5 მილიარდი დოლარი გაიღო, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში პროცესი დამძიმდა — პრეზიდენტ პოროშენკოს განცხადებების მიუხედავად, ცეცხლი არ წყდება და ადამიანები ყოველდღე იღუპებიან. ამ ვითარებაში **30 ივნისიდან 6 ივლისამდე დაანონსდა „„კიევ პრაიდი — 2014“, როგორც ანტირუსული(?!) გეიპარადი. მოგვიანებით კვირეული 5 ივლისს დაგეგმილი ერთდღიანი აღლუმით შეცვალეს. უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ (მოსკოვის საპატრიარქო) მოუწოდა ხელისუფლებას, არ დაუშვას იმის პროპაგანდა, რასაც ეკლესია — ცოდვად, ხოლო საზოგადოება გარყვნილებად მიიჩნევს.** თავის მხრივ, უკრაინის პატრიარქის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია. საკითხის პოლიტიზება თვითონ ლგბტ საზოგადოების უფლებადამცველებმა მოახერხეს: მათ განაცხადეს, რომ გეები, ლესბოსელები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები მხარს უჭერენ უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას და ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო აღლუმი ანტირუსულ დატვირთვას ატარებს. ეს, **ალბათ, პირველად ხდება ისტორიაში, როცა სექსუალური უმცირესობები პოლიტიკური მოტივით ატარებენ გეიპარადს.**

უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ტურჩინოვმა, როგორც კი იანუკოვიჩის ჩაი დალია, მაშინვე განაცხადა: „მე თვითონ ჩავუდგები სათავეში პირველ სრულიად უკრაინის გეიპარადს!“ უცნობია, ამავე აზრზეა თუ არა ახალარჩეული პრეზიდენტი პოროშენკო. ასეა თუ ისე, **სექსუალურ უმცირესობათა საკითხი უკვე უკიდურესად პოლიტიზებულია და საკმარისია, მათ მიმართ აღტაცება არ გამოხატო (სულერთია, საქართველოში თუ უკრაინაში), რომ მაშინვე პრორუსულის მაღალ წოდებას მიიღებ!** თუ ასე გაგრძელდა, მოლა ნასრედინისა არ იყოს, შეკითხვაზე — ხარ თუ არა პრორუსული, ჰომოსექსუალიზმის მოძულენი მოკლედ უპასუხებენ: – იმიტომ!

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა:**

„ჩვენ, როგორც არასდროს, ვუახლოვდებით ევროპის კულტურას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოსთვის ეს არის არამარტო დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობა. საქართველომ უნდა უჩვენოს ევროპას და მთელ მსოფლიოს ჩვენი უძველესი კულტურა, ჩვენი საგალობლები, ჩვენი სიმღერა, ჩვენი წარსული, ფასეულობა“.

ისევ გავიხსენოთ, რას ამბობს ბაიდენი: „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა! იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც არ აძლიერებენ ლგბტ პირთა უფლებებს, არაადამიანურობის საფასური უნდა გადაიხადონ!“

ვის სიტყვებს დაუჯერებს სრულიად საქართველო, ვფიქრობ, რთული გამოსაცნობი არ არის.

**„ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხოლოდ ხელისუფლება გალაღდება. რაც შეეხება სამუშაო ადგილების შექმნას, საქართველოში სამუშაო ადგილები არ შეიქმნება, რადგან არც ერთი ჭკვიანი ევროპელი ბიზნესმენი ამ პატარა, სამმილიონიან ქვეყანაში ინვესტიციას არ ჩადებს".**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# თავხედობს ხელისუფლება, როდესაც ქართველ ხალხს ზეიმს უწყობს და ატყუებს, რომ თავზე დაგვეყრება ევროკავშირიდან გამოგზავნილი დიდძალი თანხა!

**ბოლო ხანს განვითარებული პროცესებიდან ყველაზე აქტუალური ევროკავშირთან ასოცირებაზე ხელმოწერა იყო. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ისმის განცხადებები, თითქოს საქართველო გახდა ევროპის წევრი. ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამბობდნენ, რომ ჩვენ ვართ ევროპელები, მაგრამ ამ ყველაფრის საფუძველი უცოდინარობაა. ჯერ ერთი, საქართველო არასდროს ყოფილა ევროპის ნაწილი, არასდროს გვისარგებლია ევროპული ცივილიზაციით და, რაც მთავარია, **საქართველოს ევროპასთან არასდროს ჰქონია ისეთი კავშირი, რომ ღარიბაშვილს საფუძველი ჰქონოდა, ეთქვა, 1000 წლის განმავლობაში ჩახუტებული ვიყავით ევროპასთანო.** ძველი ევროპა როგორიც იყო, ეს ისტორიკოსებმა იციან და ცხადია, ამის შესახებ წარმოდგენა არ აქვს ამჟამინდელ ხელისუფლებას. **როდესაც პრემიერი ამბობს, რომ ჩვენ ვბრუნდებით ევროპაში, სასაცილოა, ამიტომ ვურჩევ ისტორიკოსებს, სასწრაფოდ გამოუშვან ბროშურა, რომელშიც ასახული იქნება საქართველო-ევროპის ურთიერთობა, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამდენი ტყუილი და სისულელე რომ აღარ ილაპარაკონ.**

სირცხვილია, როდესაც პრემიერმინისტრი ამბობს, ევროპის შუაგულში ვართო. რუკას მაინც დახედოს... დროა, ჩვენი ხელისუფლება მორჩეს ზოგიერთი ფსევდოისტორიკოსის ნაბოდვარის გამეორებას, თითქოს ჩვენ ყოველთვის ევროპელები ვიყავით. **ამ ხელისუფლებამ ისიც არ იცის, რომ საქართველოს გზა ევროპისკენ რუსეთის გავლით გადიოდა და, თუ ვინმემ გაიგო საქართველოს არსებობის შესახებ, ეს სწორედ რუსული გზით მოხდა, რომელიც არჩეული ჰქონდათ თერგდალეულებს და სხვებს.** საქართველო არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, გეოგრაფიულადაც არ „ზის" ევროპაში. ამ ხელმოწერით, საქართველოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ევროკავშირი თავის საქმეს რომ იკეთებს, ცხადია. რაც მთავარია, **ევროპას მიაჩნია, რომ მისი მეტოქე არის რუსეთი და ის კავშირი, რომელიც უკვე შეიქმნა ევრაზიული კავშირის სახით.** თუმცა ჭკვიანი პოლიტიკოსები ამას სხვაგვარად უყურებენ და მიაჩნიათ, რომ ამ ორ ორგანიზაციას შორის თავისუფლად შეიძლება ურთიერთობის ჩამოყალიბება. **აშშ-ს ხელს არ აძლევს არა მხოლოდ რუსეთისა და ევრაზიული კავშირის, არამედ ევროკავშირის გაძლიერებაც.** აშშ კი გვერდით უდგას ევროკავშირს, მაგრამ ცდილობს, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში დომინანტი ვაშინგტონი იყოს და არა — ბრიუსელი, ამიტომაც შეადგინა ამერიკამ გეგმა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეს გეგმა ჯერ დამუშავების პროცესშია და მიმართულია აშშ-ის მიერ ევროკავშირის ეკონომიკურ-პოლიტიკური დაკაბალებისკენ. **ამერიკას არ სურს ევროკავშირისა და ევრაზიული კავშირის დაახლოება, რადგან შესაძლოა, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.** ის, რაც დღეს ხდება უკრაინაში, სწორედ ამერიკის ორგანიზებულია მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს შეუქმნას ბარიერი, რათა ამ ქვეყანამ არ იფიქროს რაღაც კავშირებზე. **აი, ამ ჩახლართულ სიტუაციაში საქართველო ცუდადაა გაჩხერილი...**

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ჩვენ არ ვიცით, რა ვითარებაა საერთაშორისო არენაზე. როდესაც დაიშალა სსრკ და აღმოვჩნდით დამოუკიდებელი, არ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა. არც იმ პერიოდში და არც დღეს არ გვყავს სპეციალისტები, რომლებმაც უნდა მართონ სახელმწიფო. ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანა გახდა ის, რომ ვიღაცას მივკედლებულიყავით და ამოვირჩიეთ აშშ, უფრო სწორად, ამერიკამ ამოგვირჩია საკუთარი ინტერესების გასატარებლად რუსეთის წინააღმდეგ. დიდი ხანია, მას სურდა კავკასიაში შემოსვლა, შემოვიდა, დაინახა, რომ ყველაზე სუსტი წერილი საქართველო იყო და ჩაიგდო ხელში.

ამ ხელისუფლებამ ისიც არ იცის, რომ ასოცირებული წევრობა ბევრს არაფერს ნიშნავს. დღეს გაჰყვირიან, — რადგან ასოცირებული წევრები ვართ, აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრიცო. შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ **საქართველო ევროკავშირის წევრი ვერასოდეს გახდება, რადგან ვერასდროს დააკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომლებსაც მოითხოვს ევროკავშირი.** იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი, საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადააკეთოს მის მიერვე მიღებული სამოცამდე კანონი. თანაც მხოლოდ კანონის შეცვლა საქმეს ვერ უშველის — მენტალურად უნდა შევიცვალოთ, ანუ საზოგადოება უნდა გადაკეთდეს. საზოგადოების გადაკეთებას, კანონის საკუთარ თავზე მორგებას კი სჭირდება ათწლეულები, მთელი თაობა. ჩვენ ძალიან შორს ვდგავართ ევროპელის ყოფითი ცხოვრებისგან და ეს ყოველ ნაბიჯზე ჩანს. ჩვენ არ ვიცით შრომა, მუშაობა. ევროპას კი მუშაობისადმი მკაცრი მიდგომები აქვს და ამიტომ, ქართველს თუ სურს ასეთ ფერხულში ჩაბმა, შინაგანად უნდა შეიცვალოს.



## «სირცხვილია, როდესაც პრემიერმინისტრი ამბობს, ევროპის შუაგულში ვართო. რუკას მაინც დახედოს»

**— მაინც რას მივიღებთ ევროკავშირის ასოცირებული წევრობით?**

— **ასოცირებული წევრობა ევროკავშირის წევრობას არ ნიშნავს.** ეს გარკვეულ მომენტში შეიძლება მცირე დახმარება იყოს. საქართველო კი დიდ იმედს ამყარებს და სწამს, რომ ამ ყველაფრის წყალობით ავყვავდებით. **ეს იმიტომ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არ იცის, სად შევეტენეთ.** არც ის ვიცით, რას მოგვიტანს ევროკავშირი და, **როდესაც დაბეჯითებით ამბობენ, რომ ჩვენ გავხდებით ევროკავშირის წევრი, ეს ჩვენი ხელისუფლების სრულ უვიცობასა და გაუნათლებლობაზე მეტყველებს**. კი, ბატონო, ამ ასოცირებას დავარქვათ გარდამავალი პერიოდი, მაგრამ ეს შეიძლება მთელი ცხოვრება გაგრძელდეს. **ნახევარი საუკუნეა, თურქეთი ასოცირებული წევრია და არავინ იცის, ოდესმე მიიღებენ თუ არა ევროკავშირში.** ევროკავშირი ამ ასოცირებული წევრობით გვეუბნება, შენს პროდუქციას რუსეთში ველარ გაასაღებო. თუ საშუალება არ მომეცა, ჩემი მწირი საქონელი რუსეთში გავასაღო და ამის გამო ევროკავშირი თითს დამიქნევს, ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდება. **ევროკომისიის თავმჯდომარე ბაროზუ ამბობს, პატარა საქართველოს გაუჩნდება შანსი, შევიდეს დიდ ბაზარზე, სადაც 500 მილიონი ადამიანია. საქართველოს უვიცმა ხელისუფლებამ ეს ტექსტი აიტაცა...** მაინტერესებს, **რა პროდუქციას აწარმოებს საქართველო, რომელიც შეიძლება ევროპის უაღრესად გაძეძგილ ბაზარზე გასაღდეს?** ჩვენ დღეს გვაქვს საექსპორტო საქონელი — ღვინო, ისიც მცირე რაოდენობით, და მინერალური წყალი. იმისათვის, რომ ჩვენი ღვინო შევიდეს ევროპის ბაზარზე, ევროპელი სპეციალისტები სინჯარებით ივლიან ჩვენს ღვინის ქარხნებში და შეამოწმებენ ხარისხს, როგორ და რა ყურძნით მზადდება და ა. შ., ანუ საკმაოდ სერიოზული ბარიერია გადასალახავი. კარგი, შევიტანეთ ღვინო, მაგრამ იყიდის კი ევროპელი ჩვენს ღვინოს? მისი გემოვნება ხომ სხვანაირია. ამიტომ ჩვენს ღვინოს უნდა დაეჩვიოს ევროპელი, რისთვისაც გამუდმებით რეკლამაა გასაკეთებელი ევროპულ მედიაში, ეს კი დიდძალ თანხებთანაა დაკავშირებული. ამას მეორე მხარეც აქვს, **რატომ უნდა დაეჩვიოს ევროპელი ქართული ღვინის სმას, როდესაც ფრანგული, იტალიური და პორტუგალიურ ღვინოსაა მიჩვეული?** შეიძლება ევრობაზარზე საერთოდ არც შეგვატანინონ ღვინო, — ისედაც ბევრი გვაქვსო და მოგვთხოვონ სხვა რაღაცის წარმოება, რაც ჩვენთვის უცხოა. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას **მინერალური წყლის გატანაც, რადგან ევროპულ მინერალურ წყალთან ქართული ვერ მივა, რადგან ისინი სხვანაირად ამუშავებენ.** ჯერ კიდევ სსრკ-ის პერიოდში საქართველოში ჩამოვიდნენ ფრანგი სპეციალისტები, რომლებიც დაინტერესდნენ ბორჯომის მინერალური წყლით და წაიღეს შესამოწმებლად. ცოტა ხანში ჩვენი დელეგაცია მიიწვიეს საფრანგეთში და უთხრეს, თქვენ თუ ამ წყალს სვამთ, გვიკვირს, დღეს ცოცხლები როგორ ხართო, ანუ ჩვენი წყალი ისე არ არის გაფილტრული და იმ კონდიციამდე არ არის მიყვანილი, როგორც ევროპული. გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა და პროდუქცია არ არის ისეთი დონის, რომ მოვხიბლოთ ევროპელი მომხმარებელი. მათ მოხიბვლას კი დასჭირდება უზარმაზარი შრომა, თანხა და დრო. მანამდე რა ქნას ისედაც გალატაკებულმა ქართველმა ხალხმა? რუსეთთანაც ხომ დავკარგეთ ის მიზერული ბაზარი, რაც გვქონდა? **ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ხელისუფლებას ეზრუნა, რუსეთთან გაეფორმებინა ხელშეკრულება და არა ევროპასთან, რაც საკმარისი იქნებოდა ქართული ეკონომიკისთვის, თავი შევყავით იმ აბსტრაქტულ ეკონომიკურ კავშირში, რომელიც ჩვენთვის მრავალი ათეული წლის განმავლობაში არ იმუშავებს.** გარდა ამისა, **თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს, რომ ევროპული საქონელიც შემოვა ჩვენთან და წალეკავს ჩვენს ბაზარს.** ის რომ შემოიტანს თავის ღვინოს და ა. შ., რა დაემართება ჩვენსას? **ამით ჩაკვდება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, თუკი რამე გვაქვს შემორჩენილი, და შეიძლება საერთოდ მოისპოს კიდეც. ღარიბაშვილმა კი თავხედურად განაცხადა, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მოსახლეობის 85 პროცენტის გადაწყვეტილებააო.** როდის ჩაატარა კვლევა ან ვის ჰკითხა აზრი? **ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მხოლოდ ხელისუფლება გალაღდება. რაც შეეხება სამუშაო ადგილების შექმნას, ამაზეც გადაჭრით გეუბნებით, რომ საქართველოში სამუშაო ადგილები არ შეიქმნება, რადგან არც ერთი ჭკვიანი ევროპელი ბიზნესმენი ამ პატარა, სამმილიონიან ქვეყანაში ინვესტიციას არ ჩადებს.** კარგი, დავუშვათ, შემოვიდა, ის თავის მუშახელს მოიყვანს. ამის ტრადიცია უკვე დიდი ხნის წინათ დაამკვიდრა თურქეთმა, შემოდის თურქი ბიზნესმენი და შემოჰყავს თავისი მუშახელი. ამით, იცი, რა მოხდება? — ქართველი საზოგადოების დამონება და გადაყვანა შავ საქმეზე, მონურ შრომაზე. ეს არის რეალობა და **თავხედობს ხელისუფლება, როდესაც ქართველ ხალხს ზეიმს უწყობს და ატყუებს, რომ თავზე დაგვეყრება ევროკავშირიდან გამოგზავნილი დიდძალი თანხა.** რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, ისე დაგვიმონებენ, პოლიტიკურ საკითხებში ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ. ვიდრე იარსებებს ევროკავშირი, დაკარგული გვექნება პოლიტიკური სუვერენიტეტი. ბრუსელი რომ ცდილობს, თავზე წამოაჯდეს ყველას, ინგლისი და სხვა ქვეყნები ამიტომაც აპირებენ ევროკავშირიდან გამოსვლას. ჩვენ რომ დავაპირებთ იქ გაწევრებას, იარსებებს თუ არა ევროკავშირი, ღმერთმა იცის. ამიტომაც **ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა გაუთვლელი და უჭკუო ნაბიჯია ჩვენი მხრიდან, რომელიც ზარმაცებს ახასიათებთ. ჩვენი ხელისუფლება ზარმაცია, არ შეუძლია ცოდნითა და გამოცდილებით ქვეყნის მართვა, მისი ერთადერთი ხსნაა, ქვეყანა სხვას გადააბაროს სამართავად და იყოს ევროპული ქოლგის ქვეშ შეყუჟული.** ეს ჩვენი უბედურებაა!

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს ხელისუფლებაც ანტიქართული ძალაა, რომელიც იმართება იმავე ბოსებისგან, რომლებიც მართავდნენ ნაციონალურ-ფაშისტურ მოძრაობას. უბრალოდ, სახეებია სხვა.“**

# რატომ და ვისი დავალებით ყიდის «ქართული ოცნება» ქართულ მიწებს უცხოელებზე?

**ხელისუფლებამ გააუქმა უცხოელებზე მიწების გასხვისების მორატორიუმი, რის გამოც საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ორიოდე დღის წინათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ხელისუფლებას მიმართა, ყურადღება მიაქციონ უცხოელებზე მიწის გასხვისების საკითხს. „ქართველ ხალხს გააჩნია ისეთი ფასეულობები, რომლის გაყიდვა და გასხვისება არ შეიძლება“, — ბრძანა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებაზე. რატომ და ვისი დავალებით გადადგა „ოცნებამ“ ეს ნაბიჯი და რას მოგვიტანს ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვა? „საქართველო და მსოფლიოს“ პოეტი, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი ვაჟა ოთარაშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო ვაჟა, როგორ აფასებთ, იმ ფაქტს, რომ მოხსნილია მორატორიუმი მიწის მიყიდვაზე და ნებისმიერ უცხოელს შეუძლია საქართველოში მიწის შეძენა? რას მოგვიტანს ეს, რა ხდება, ყველაფერს რატომ ვყიდით?**

— ეს მოგვიტანს საქართველოს დანგრევას და ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ მოშლას. **ეს არის ანტიქართული და ანტიეროვნული ქმედება დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კურსს განაგრძობს.** ეს არის შეგნებული მცდელობა ქართული სახელმწიფოსა და ქართული ცნობიერების მოშლის. **შეგიძლიათ, ეკონომიკის სამინისტროს საიტზე შეხვიდეთ და ნახოთ, რომ 130 ათას ჰექტარზე მეტი მიწა გასაყიდადაა გამზადებული. წარმოიდგინეთ, რომ ამ მიწათა 99%-ს უცხოელები ყიდულობენ. ესენი არიან თურქები, ირანელები, არაბები, ინდოელები და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები.** ქართველი კაცი, ფაქტობრივად, მშობლიური მიწა-წყლის გარეშე რჩება, იმ მიწა-წყლის, რომლისთვისაც თავს წირავდნენ ჩვენი წინაპრები. ქართველი ერი არასდროს აპატიებს არც „ნაციონალურ მოძრაობას“ და არც „ოცნებას“ ამ ანტიქართულ ნაბიჯს. იცოდეთ, რომ **ეს ორი ძალა — „ნაციონალური“ და „საოცნებო“ — ანტიქართული ძალაა, რომლებიც იმართება უცხოეთიდან.** ჩვენ ერთ ამბავს ვტეხთ მაშინ, როდესაც რუსები, ვთქვათ, 6 მეტრით თუ 60 მეტრით გადმოწევენ საზღვარს, ყველა ტელეარხი აშუქებს ამას, მაგრამ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ლამის სამაჩაბლოსხელა ტერიტორია, ხაზს ვუსვამ, იყიდება უცხოელებზე. წარმოიდგინეთ, **130 ათას ჰექტარზე მეტი მიწა იყიდება. ეს არის სამაჩაბლოზე მეტი.**

**— ერთგვარ ოკუპაციასთან გვაქვს საქმე?**

— ეს არის, პირდაპირი გაგებით, ოკუპაცია ქართული მიწა-წყლის. ქართველისთვის მშობლიური მიწის ხელიდან გამოცლა ხდება ყველას თვალწინ ოფიციალურად. ამის შედარება რუსეთის ოკუპაციასთანაც აღარ შეიძლება. 40 ათასზე მეტი უცხოელი ელოდება ქართული მიწის ყიდვას. **ეს ხელისუფლებაც ანტიქართული ძალაა, რომელიც იმართება იმავე ბოსებისგან, რომლებიც მართავდნენ ნაციონალურ-ფაშისტურ მოძრაობას, უბრალოდ, სახეებია სხვა.**

**— ხელისუფლების მხრიდან ფინანსურ დაინტერესებასაც ხომ არ აქვს ადგილი?**

— ბუნებრივია, იბადება კითხვა, რომ ასეთ ანტიქართულ ქმედებებს რაღაც ქვენა გრძნობები უდევს საფუძვლად: პირველი. მუდმივად რომ ისხდნენ თავიანთ სავარძლებში, რადგან კერპთაყვანისმცემლობიდან ჯერჯერობით საქართველო ვერ გამოვიდა და ვერ დაადგა დემოკრატიის გზას; მეორე. შეიძლება საქართველო გადაქცეულია, როგორც სააკაშვილის დროს იყო, ფულის გათეთრების პოლიგონად.



**ვაჟა ოთარაშვილი:**

**კაცმა არ იცის, ხვალ-ზეგ ეს ხალხი პარლამენტარი გახდება, ტელევიზიებს გახსნის, გაზეთებს გამოუშვებს, მთელ კვარტლებს აგიშენებს თუ რას იზამს. საქართველო იარსებებს კი საერთოდ? საქართველო — ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა იარსებებს?**

**— „ქართველ ხალხს გააჩნია ისეთი ფასეულობები, რომელთა გაყიდვა და გასხვისება არ შეიძლება“, — ბრძანა პატრიარქმა. როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში მაინც თუ გაითვალისწინებს ხელისუფლება პატრიარქის მოწოდებას?**

— სამწუხაროდ, როგორც „ნაციონალური“, ისე „საოცნებო“ ხელისუფლება პატრიარქის მოწოდებებს არ უსმენს. მათ არ აინტერესებთ, ჩვენი ბრძენი პატრიარქის გულისტკივილი. არც წინა ხელისუფლება და არც დღევანდელი არ იზიარებს პატრიარქის მოწოდებებს, რადგანც ისინი, ალბათ, არ არიან მართლმადიდებლები და პატრიოტები. **საქართველოს მოსახლეობა ძალიან მალე დარწმუნდება ამაში. იმის მაგივრად, გლეხს შეუქმნან პირობები, მიწა დაამუშაოს, ყიდიან ამ მიწებს.**

**«130 ათას ჰექტარზე მეტი მიწა გასაყიდადაა გამზადებული. წარმოიდგინეთ, ამ მიწის 99%-ს უცხოელები ყიდულობენ — თურქები, ირანელები, არაბები, ინდოელები... ქართველი კაცი მშობლიური მიწა-წყლის გარეშე რჩება, იმ მიწა-წყლის, რომლის გამოც ჩვენი წინაპრები თავს წირავდნენ»**

**— ისე, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროსაც გამოჩნდა, რომ „ოცნება“ არ იზიარებს და არ ითვალისწინებებს პატრიარქის მოწოდებასა და თხოვნას...**

— რა თქმა უნდა, გახსოვთ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე პატრიარქისა და საპატრიარქოს უმკაცრესი განცხადება. ვინმემ გაიზიარა? 112 ხმით — ასე მოღალატურად მიიღეს პედერასტებისა და ლესბოსელების მხარდასაჭერი კანონი. აი, სამარცხვინო ქმედება. სხვათა შორის, ამ კანონის ნორმებით თვით ევროპაში მიღებულ მსგავს კანონებს გადააჭარბეს. წარმოიდგინეთ, რასთან გვაქვს საქმე, იგივე შეიძლება ითქვას მიწასთან დაკავშირებით, ენერგეტიკასთან, ჰესებთან დაკავშირებით. და იცით, კიდევ რას სჩადიან? ეროვნული საგანძური, რომელიც სხვადასხვა მუზეუმშია, იკარგება. **სად წავიდა, სად გაქრა ოქროს ნაკეთობები, ფიროსმანის ნახატები, ჩვენი ძვირფასი მხატვრების შედევრები, კაცმა არ იცის.** ეროვნული მუზეუმის გენდირექტორი დავით ლორთქიფანიძე, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ფავორიტი იყო, დღესაც მშვიდად განაგრძობს მოღვაწეობას. არადა, მისი საქმიანობა გამოსაძიებელია. ჩვენ რამდენიმე დღის წინათ **მოვითხოვეთ სასწრაფო ექსპერტიზა იმ ნივთებისა, ძვირფასეულობისა და სურათებისა, რომლებმაც იმოგზაურა ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე, რამდენი რამ ყალბი დაბრუნდა ჩვენთან, ვინ იცის.** აი, ესეც არ იცის საქართველოს მოსახლეობამ, ასე ნაწილ-ნაწილ ყიდის ძველი ხელისუფლებაც და ახალი ხელისუფლებაც საქართველოს და შაგრენის ტყავივით გაილია ჩვენი მამული. ახლა უკვე მიწების მასობრივი გაყიდვა დაიწყეს. სამარცხვინოა ეს: ჩვენი წინაპრების ნაბრძოლ მიწებს გროშებად ყიდიან.

**— ერთ დღესაც რომ გავიღვიძებთ, ალბათ, ერაყელები და თურქები გვეყოლება მეზობლად...**

— დიახ, სამწუხაროდ, **შეგნებულად მიმდინარეობს ქართველი ერის გენოციდი. ქართველმა ერმა 1801 წელს, რუსეთთან შეერთების შემდეგ მოაღწია დღემდე, მაშინ გამრავლდა, დღეს კი 3 მილიონიც აღარ არის დარჩენილი. და ეს მიწები ვის ხელშია, რა ხდება, ღმერთმა უწყის.** აი, ამ უბედურებასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროა, რომ ისეთი მართლმადიდებლური კულტურის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ურჯულოთა ასეთი შემოტევაა. კაცმა არ იცის, ხვალ-ზეგ ეს ხალხი, რომელსაც აქ ვასახლებთ, პარლამენტარი გახდება, ტელევიზიებს გახსნის, გაზეთებს გამოუშვებს, კვარტლებს ააშენებს, თუ რას იზამს. საქართველო იარსებებს კი საერთოდ, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა იარსებებს?

**«საქართველოს, ქართველებს ქართულ მიწას ართმევენ ყველას თვალწინ. ეს არის საქართველოს ოკუპაცია. ამის შედარება უკვე რუსეთის ოკუპაციასთანაც აღარ შეიძლება»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

## ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს ომის გამოცხადებით ემუქრება

**„კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ომს გამოუცხადებს აშშ-ს, თუკი მსოფლიოს ეკრანებზე აჩვენებენ ფილმ „ინტერვიუს“ — ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ იინის დაღუპვის შესახებ“, — ნათქვამია კსდრ-ს ხელისუფლების განცხადებაში, რომელსაც ბი-ბი-სი ავრცელებს.** „თუკი აშშ-ის ადმინისტრაცია ამ ფილმის დემონსტრაციას დაუშვებს, უმკაცრეს კონტრზომებს მივიღებთ. მსოფლიოს ეკრანებზე ფილმის გაშვება ომის გამოცხადებას გამოიწვევს!“ — განაცხადა სკდრ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ ადრეც გამოთქვა ფილმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, მას „ტერორისტული აქტი“ უწოდა და განაცხადა, რომ ყველაფერს ილონებდა, რათა ფილმი ეკრანებზე არ გაეშვათ. ფილმ ინტერვიუს სიუჟეტის მიხედვით, ორი ამერიკელი ჟურნალისტი (მათ როლებს თამაშობენ პაროდისტები: ჯეიმს ფრანკო და სეტ როგენი, რომლებმაც სახელი გაითქვეს ფილმით „ანანასის ექსპრესი: ვზივარ, ვეწევი“) ჩრდილოეთ კორეაში გენერალურ მდივანთან შესახვედრად ჩადის. სინამდვილეში კი მათ აქვთ საიდუმლო დავალება — მოკლან კიმ ჩენ იინი. „ინტერვიუ“ ამჟამად დამუშავების პროცესშია. მისი პრემიერა მიმდინარე წლის ოქტომბერში იგეგმება.



**ადგილებზე ახალი ხელისუფლება მოდის და მის არაერთ წარმომადგენელს შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება, „ნაცჩინოვნიკების“ მსგავსად, ჩაერთოს საეჭვო გარიგებებში და ამა თუ იმ სოფელში სადავო სტატუსის მქონე მიწა (რომელზეც პრეტენზია აქვთ ადგილობრივებს) უცხოელებზე ან სამამულო მაქინატორებზე გაასხვისოს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყაო

**— შარო, საიდან მოდიხარო?**
**— საკონსტიტუციო სასამართლოდან!**
**ასეა, გასულ კვირას შარი სწორედ იქიდან მოვიდა — საკონსტიტუციო სასამართლონ, თავისი გადაწყვეტილებით, ანტიკონსტიტუციურად ცნო პარლამენტის მიერ 2014 წლის ბოლომდე გამოცხადებული მორატორიუმი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენის უფლებას უზღუდავდა.**

ახლა ორიოდე წუთით იურიდიულ ჭაობში ჩაღრმავება მოგვიწევს, ამჯერად ეს აუცილებელია. ეს გადაწყვეტილება სასამართლომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე მიიღო საქმეზე „მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. **სასამართლომ ჩათვალა, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება, კერძოდ კი, გარდამავალი დებულება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლს (პუნქტები 1 და 2), აგრეთვე, მე-14 მუხლს, რომელიც კანონის წინაშე საყოველთაო თანასწორობას აფიქსირებს.** ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ პარლამენტის მიერ შემოღებული მორატორიუმი არსებითად არაფრით განსხვავდებოდა იმ შემზღუდავი ნორმისგან (ამავე კანონის მე-4 მუხლში), რომელიც მან ანტიკონსტიტუციურად 2012 წლის 26 ივნისს ცნო (საქმე „ჰეიკე ქრონკვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ). მაშინ საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად გაუხსნა გზა უცხოელებს მიწის უპრობლემო შეძენისკენ, შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ მორატორიუმი შემოიღო, თუმცა ახლა სასამართლომ ეს ბარიერიც მოხსნა.

ვინაიდან, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, ისე მისი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოქალაქეები კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ორი პუნქტის მიმართ აპელირებენ, ალბათ, მიზანშეწონილია, ის აქ მოვიყვანოთ: **„1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუხებელია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“.**

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ ამ გადაწყვეტილებას „არასწორი და არაობიექტური“ უწოდა. მისი აზრით, ის წარმოადგენს „რევერანსს“ „ნაცმოძრაობის“ მიმართ და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოა. „აღნიშნული მორატორიუმით არავითარ დისკრიმინაციას ადგილი არ აქვს. მინდა ვუთხრა მოსახლეობას, ფერმერებს და ყველას: კარგად ვხედავთ, როგორც გამოდის ინდოელი მეწარმე და ამბობს, რომ შეუძლია 1 ჰექტრის ფასად საქართველოში 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი იყიდოს. აი, ამას მივიღებთ საბოლოო ჯამში, რადგან ამ კუთხით კანონმდებლობა მოწესრიგებული არ არის. მოწესრიგებისთვის კი შექმნილია უწყებათაშორისი კომისია, ვადა წლის ბოლომდე და ამას საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ხელი შეუშალა“ (ინტერპრესნიუსი), — თქვა ტყემალაძემ და სასამართლო გააკრიტიკა კონსიტუციის 21-ე მუხლის, მისი აზრით, არასწორი ინტერპრეტაციისთვის და უადგილო მანიპულირებისთვის 2012 წლის პრეცედენტით.

თავის მხრივ, **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მიესალმა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამ ორგანიზაციის აზრით, „გამოცხადებული მორატორიუმი უცხოელებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს უწესებდა და მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა.** აღნიშნული შეზღუდვა პრობლემებს უქმნიდა უცხოელ ინვესტორებსაც, რომელთა ქვეყანაში მოზიდვა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის“ (ჯი-ეიჩ-ენი).

ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **მორატორიუმი, თავისთავად, არ წარმოადგენდა რაღაც მონუმენტურს და სამარადჟამოს — ეს დროებითი გადაწყვეტილება იყო, რომელიც ქმნიდა პაუზას იმისთვის, რომ მთავრობას ამ სფეროში ახალი პოლიტიკა შეემუშავებინა, კადასტრთან დაკავშირებული პრობლემები მოეგვარებინა და ა. შ.** ამა წლის თებერვალში ხელისუფლებამ მორატორიუმით გათვალისწინებული შეზღუდვები შეარბილა უცხოური ბანკებისთვის და იმ ინვესტორებისთვის, რომელთა პროექტებს მთავრობა მოიწონებდა. პარალელურად მუშობდა უწყებათაშორისი კომისია, თეა წულუკიანის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა, მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო ნორმები შექმნას. **მთავრობა ეძებდა გადაწყვეტილებას, რომელიც, ერთი მხრივ, მოხსნიდა აგრარულ სექტორში უცხოური ინვესტიციების სრული დაბლოკვის საფრთხეს და, მეორე მხრივ, არ დაუშვებდა პრობლემების გადაწყვეტას ქართველი გლეხების ინტერესების ხარჯზე, როგორც ეს სააკაშვილის მმართველობის წლებში ხდებოდა.** მაგრამ ყოველივე ამას ხელისუფლება საზოგადოებასთან სრულფასოვანი კომუნიკაციის გარეშე აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ მიწის პრობლემა (საკუთრების უფლებებს ეხება საუბარი თუ ნებისმიერ სხვა ასპექტს) ნებისმიერი ქვეყნისთვის უმთავრესი საკითხია — ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ეკონომიკის საძირკველი“. მხოლოდ ცალკეულმა ექსპერტებმა იცოდნენ (ისიც ნაწილობრივ) რა მიმართულებით მიდის მთავრობა, მაგრამ მათ ამ საკითხის მიმართ საზოგადოების ინტერესის მობილიზება ვერ მოახერხეს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, უბრალოდ, ვერ გაიგო, რა გააკეთა გასულ კვირას საკონსტიტუციო სასამართლომ. არადა, მან, არც მეტი, არც ნაკლები, სააკაშვილის დროს არსებული მდგომარეობა აღადგინა, თანაც მაშინ, როდესაც მთავრობას ზემოთ აღწერილი სამუშაოები ჯერ არ დაუსრულებია, რის გამოც ქაოტური მდგომარეობის შექმნის წინაპირობა გაჩნდა.



## მყისიერ შეტევას საკონსტიტუციო სასამართლოზე, „ნაციონალების“ კადრებისგან მისი გაწმენდის მიზნით, აზრი არ აქვს, რადგან ეს შეფასდება, როგორც უხეში, არამართლზომიერი ჩარევა მის საქმიანობაში

მნიშვნელობა არ აქვს, როგორ შევაფასებთ პარლამენტის ან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მსგავსი „ნახტომები“ ფუნდამენტურ პრობლემასთან დაკავშირებით, ნებისმიერ შემთხვევაში, დაუშვებელია. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ პერიოდი მორატორიუმის შემოღებამდე — **2013 წლის აპრილში გორის რაიონის სოფელ დიცში მოსახლეობა ინდოელ ფერმერებს დაუპირისპირდა და ვაშლის გასაშენებლად გამზადებული ორმოები მიწით ამოუვსო. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში ადგილობრივები ირანელი ფერმერების მეურნეობაში შეიჭრნენ და მიწის ნაკვეთს ღობე შემოაცალეს. თელავის რაიონის სოფელ ჯულაანში მოსახლეობამ არაბ ინვესტორზე გასხვისებული ნაკვეთების დაბრუნების მოთხოვნით პროკურატურას მიმართა.** მსგავსი ინციდენტები ერთი მეორის მიყოლებით ხდებოდა და კონფლიქტის გაღვივების ალგორითმი ყველგან ერთი და იგივე იყო. ბუნდოვანი, სავარაუდოდ, კორუფციული კომბინაციის შედეგად, მიწა, რომელსაც ადგილობრივები თავის საკუთრებად თვლიდნენ, უცხოელების ხელში გადადიოდა, რასაც გლეხების პროტესტი და მწვავე დაპირისპირება მოსდევდა.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „სამართლიანი“ და „კანონიერი“ საქართველოში ერთმანეთთან ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობაშია. არ არსებობს სოფელი, ბოლომდე გარკვეული რომ იყოს, ვის რომელი ნაკვეთი ეკუთვნის, სხვადასხვა საბუთები, ნორმები და ზეპირი შეთანხმებები ქმნის იურიდიულ ქაოსს და, როდესაც მას უცხოელი მესაკუთრეების ფაქტორი ემატება, ვითარება მკვეთრად იძაბება. სიტუაცია ნელ-ნელა იცვლება, მაგრამ ბოლომდე დარეგულირებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

ახლა, ალბათ, ზურაბ ტყემალაძის განცხადების იმ მონაკვეთს უნდა დავუბრუნდეთ, რომელშიც ის ახსენებს საკონსტიტუციო სასამართლოს რევერანსს „ნაცმოძრაობის“ მიმართ. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ეს უწყება სავსეა სააკაშვილის მიმდევრებით, თუმცა ამ შემთხვევაში ეს მეორეხარისხოვანია. ტყემალაძის ვერსიის ფარგლებში, მთავარია იმის დადგენა, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ამ გადაწყვეტილებამ ყოფილ მმართველ პარტიას და საიდან გაჩნდა ამ „რევერანსის“ აუცილებლობა საერთოდ.

სასამართლომ სააკაშვილის დროინდელი წესი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ აღადგინა. **ადგილებზე ახალი ხელისუფლება მოდის და მის არაერთ წარმომადგენელს შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება, „ნაცჩინოვნიკების“ მსგავსად, ჩაერთოს საეჭვო გარიგებებში და ამა თუ იმ სოფელში სადავო სტატუსის მქონე მიწა (რომელზეც პრეტენზია აქვთ ადგილობრივებს) უცხოელებზე ან სამამულო მაქინატორებზე გაასხვისოს.** ბევრი ამ ცდუნებას, დიდი ალბათობით, ვერ გაუძლებს („ოცნების“ საკადრო პოლიტიკა უნაკლო ნამდვილად არაა, უფრო — პირიქით). ისევ დაიწყება ქაოსი, მსგავსი იმისა, რაც 2013 წლის გაზაფხულზე ვიხილეთ, ოღონდ, სავარაუდოდ, უფრო მასშტაბური, მოსახლეობის იმედგაცრუების გამო, იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ამდენი ხნის განმავლობაში ყველაზე აქტუალური პრობლემა ვერ მოუგვარა.

**არაერთგზის ითქვა, რომ „ნაცმოძრაობას“ მმართველი კოალიციის სერიოზულ დასუსტებამდე რევანშის არანაირი შანსი არ აქვს, ამიტომ უახლეს პერსპექტივაში ის, სავარაუდოდ, დაპირისპირების კერების შექმნით დაკავდება.** საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მას შესაძლებლობას აძლევს, ხელი შეუწყოს კონფლიქტის გაღვივებას ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. გლეხები შეიძლება დაუპირისპირდნენ როგორც უცხოელებს, ისე სამართალდამცავებს, რომელნიც უცხოელების საკუთრებას დაიცავენ. ამა თუ იმ ფორმით ერთმანეთს შეიძლება დაეჯახონ ადგილობრივი კლანები, თავის ლობისტებთან ერთად, და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები რეგიონებში. სხვადასხვა ინციდენტზე ინფორმაციის გავრცელებას, 99% ალბათობით, მოჰყვება ქსენოფობიის ზრდა საზოგადოებაში ზუსტად ისე, როგორც ეს 2013 წლის გაზაფხულზე ხდებოდა და ა. შ. საინფორმაციო ომების თეორიაში ამას „დეზინტეგრაციაზე მიმართული ოპერაცია“ ეწოდება. მარტივად რომ ვთქვათ, მსგავსი ოპერაციების მიზანია მოწინააღმდეგის დასუსტება მის ბანაკში სხვადასხვა ჯგუფის ერთმანეთისგან გაუცხოების და ურთიერთდაპირისპირების ხელშეწყობის გზით.

ხელისუფლებას შეუძლია მიიღოს მორიგი შუალედური ზომები, რომლებიც ახალი კანონის მიღებამდე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ფაქტობრივად, დაბლოკავს. ეს მოხსნის ტაქტიკურ სირთულეებს, მაგრამ არა პრობლემას მთლიანობაში, რადგან მოწინააღმდეგეს მომავალშიც ექნება შესაძლებლობა, „კანონების ომი“ განაგრძოს. **მყისიერ შეტევას საკონსტიტუციო სასამართლოზე, „ნაციონალების“ კადრებისგან მისი გაწმენდის მიზნით, აზრი არ აქვს, რადგან ეს შეფასდება, როგორც უხეში, არამართლზომიერი ჩარევა მის საქმიანობაში.** საკადრო ცვლილებების ხელშეწყობას სჭირდება სიფრთხილე, პროცედურების იუველირულად ზუსტი დაცვა და აქედან გამომდინარე — დრო.

პრინციპში, **ხელისუფლებას პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა აქვს — მიმართოს მოსახლეობას, დეტალურად განუმარტოს მას, რა სიტუაციის მიღწევა სურს სოფლად, მოისმინოს კრიტიკული მოსაზრებები თავის ახალ კანონპროექტებზე და შეეცადოს, რომ საჯარო დისკუსიის კვალობაზე მიაღწიოს კონსენსუსს საზოგადოებაში ახალი პოლიტიკის ძირითად პრინციპებთან დაკაშირებით.** თუ ეს კონსენსუსი მიღწეული იქნება, ვერანაირი იურიდიული დივერსია რეალურ საფრთხეს ველარ შექმნის. მთავრობა არ უნდა „ჩაიკეტოს“, პირიქით, უნდა ესაუბროს საზოგადოებას და მოუსმინოს მის შენიშვნებს — ეს დემოკრატიულ სახელმწიფოში წარმატებული პოლიტიკის გატარების ყველაზე კარგი საშუალებაა.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჭეშმარიტი „ტესტი ევროპულობაზე" არის ხელისუფლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების (სავარაუდო) დანაშაულის მიმართ. თუ ჩვენ თავს ნამდვილ ევროპელებად ვთვლით და, შესაბამისად, კანონის უზენაესობის პრინციპს ვეყრდნობით, სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.**

**27 ივნისს, ხანგრძლივი და ერთობ ნერვული პრელუდიის შემდეგ, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. რას მოუტანს ეს ქვეყანას და რამდენად გამართლებულია ის ეიფორია, რომელშიც პოლიტიკური ელიტის და საზოგადოების ნაწილი ჩავარდა?**

# რამდენად საშიშია «ევროეიფორია»?

## ასოცირება ისე არ მოდის

საქართველოში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებების საპირისპიროდ, **ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირში გაწევრების გარანტიებს არ ქმნის. მართალია, დოკუმენტის პირველ ვარიანტში იყო ჩანაწერი, რომელშიც საუბარი იყო საქართველოს** (აგრეთვე, უკრაინისა და მოლდოვას, მათ ხელშეკრულებებში) **შემდგომ გაწევრებაზე ევროკავშირში, ხოლო ასოცირება განიხილებოდა, როგორც ნაბიჯი ამ გზაზე, მაგრამ შემდგომ ბრიუსელმა ეს ფორმულირება ტექსტიდან ამოიღო.** თუ თვალს გადავავლებთ იმ ქვეყნების სიას, რომელნიც ევროკავშირის ასოცირებაზე თუ თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმდნენ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ მათი დიდი ნაწილი ევროკავშირის წევრი აპრიორი ვერ გახდება, კერძოდ კი: ალჟირი, ეგვიპტე, იორდანია, კანადა, ლიბანი, მაროკო, მექსიკა, ტუნისი, ჩილე, სამხრეთ კორეა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. აგრეთვე, ეკვადორი, კოლუმბია, პერუ, სირია და საუდის არაბეთი, რომლებთანაც მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა. თუ სიტუაციას რეალური პოლიტიკის და გეოგრაფიის ერთობ ცინიკური რაკურსიდან შევხედავთ, ალბათ, დავრწმუნდებით, რომ **საქართველოს არ აქვს შანსი, ევროინტეგრაციის გზაზე ყოფილი იუგოსლავიის „დარჩენილ" ქვეყნებს და, რაც მთავარია, თურქეთს გაუსწროს, რომელსაც ევროკავშირთან ათწლეულების განმავლობაში მჭიდრო თანამშრომლობის მრავალფეროვანი ხელშეკრულებები აკავშირებს, თუმცა ამ დროისთვის მისი ინტეგრაცია ევროკავშირში, ფაქტობრივად, დაბლოკილია.** ასე რომ, ალბათ, გაცილებით მართებული იქნება არა ეიფორიული შეძახილებით, არამედ დაახლოებით ასეთი მოსაზრებით ვიხელმძღვანელოთ: **ასოცირების ხელშეკრულება ხელს უწყობს დაახლოებას ევროკავშირთან (ეკონომიკური თანამშრომლობა, კანონების დაახლოება, რისთვისაც იუსტიციის სამინისტროში სპეციალურ დეპარტამენტს ჩამოაყალიბებენ დაა ა. შ.), მაგრამ მასში გაწევრიანების გარანტიებს არამც და არამც არ ქმნის.**

ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ხელი არ შეუწყოს ცრუ მოლოდინების გავრცელებას, რადგან ეს სტრატეგიულ პერსპექტივაში მოსახლეობის იმედგაცრუებასა და გაღიზიანებას მოუტანს; ტაქტიკური პროპაგანდისტული ეფექტისთვის ეს გაუმართლებლად დიდი საფასურია.

ევროკავშირი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კეთილდღეობასთან და, მარტივად რომ ვთქვათ, „კარგ ცხოვრებასთან" ასოცირდება. თუმცა დეტალური მსჯელობა იმაზე, თუ რას მოგვიტანს ხელშეკრულება ამ კუთხით ჯერჯერობით ნაადრევი ჩანს. ეს ვერც წლის ბოლოს მოხერხდება, რადგან **ახალი ნორმების დანერგვას და ქართული ეკონომიკის ადაპტირებას მათ მიმართ გარკვეული დრო დასჭირდება.** რეალურად, არგუმენტირებული საუბრის დაწყება ამ თემაზე შესაძლებელი მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ, შესაბამისი სტატისტიკის საფუძველზე გახდება. საუბარი ზოგად, სტრატეგიული ხასიათის ტენდენციებზე მოითხოვს შეცვლილ პირობებში სავაჭრო ბალანსის დაკვირვებას, უცხოური ინვესტიციების მოცულობის და მშპ-ს ზრდის ანალიზს. მაგრამ ვინაიდან ცვლილებებს ამ მაჩვენებლებში შეიტანს არა მხოლოდ (და არა იმდენად) ასოცირების ხელშეკრულება, არამედ ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანობაში, ერთმნიშვნელოვანი, **უაპელაციო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა ხელშეკრულების ეკონომიკური ნაწილის ავკარგიანობაზე, სავარაუდოდ, არც რამდენიმე წლის შემდეგ გვექნება.**

თუ ჩვენ ერთგვარ „საშუალო არითმეტიკულამდე" დავიყვანთ ეკონომისტების ოპტიმისტურ და პესიმისტურ პროგნოზებს „ევროასოციასთან" დაკავშირებით, დიდი ალბათობით, მივალთ დასკვნამდე, რომ არანაირი დრამატული, „არიქა, გვეშველა! ან „არიქა, დავიღუპეთ!" ტიპის ცვლილებები არ მოხდება. **ბიზნესმენების ნაწილი შეიძლება დაზარალდეს ევროპული რეგულაციების დანერგვის გამო, ნაწილმა კი ახალ რეალობას ალღო სწრაფად აუღოს და, შესაბამისად, მოგება ნახოს. მაგრამ საბოლოო ჯამში, გზა კეთილდღეობაზე არა რომელიმე, თუნდაც საზეიმოდ ხელმოწერილ, დოკუმენტზე გადის, არამედ ქართული ეკონომიკის გამართულ ფუნქციონირებასა და ზრდაზე, რომლის მიღწევას გაცილებით მეტი რამ სჭირდება, ვიდრე ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში ევროპული რეგულაციების დანერგვა.** ასე რომ, ხელისუფლების ინტერესებშია, არ დაუშვას ნაპრალის გაჩენა ამომრჩეველთა მოლოდინებსა და რეალობას შორის, არც ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით, არც სხვა შედარებით მცირე მასშტაბის საკითხებთან მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, უვიზო მიმოსვლა. მუშაობა მასზე ჯერჯერობით არ დასრულებულა, მაგრამ **მოსახლეობის ნაწილს აქვს განცდა, რომ ყველა ბარიერი ხვალ თუ არა ზეგ მოიხსნება, შესაბამისად, საფუძველი შემდგომი იმედგაცრუებისთვის ამ სივრცეშიც არის.**




**უაპელაციო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა ხელშეკრულების ეკონომიკური ნაწილის ავკარგიანობაზე, სავარაუდოდ, არც რამდენიმე წლის შემდეგ გვექნება**

**ხელისუფლებისთვის, აგრეთვე, მნიშვნელოვანია, სწრაფად და მკაფიოდ განუმარტოს საზოგადოების ეიფორიაში ჩავარდნილ ნაწილს, რომ ასოცირების ხელშეკრულება უსაფრთხოების არანაირ გარანტიებს არ ქმნის, რომ ეს არ არის მაპი, ხოლო ევროკავშირი, შესაბამისად, არ არის ნატო. წინააღმდეგ შემთხვევაში უსაფუძვლო კითხვა „რატომ არ გვიცავს ევროპა?" ფართო მასებში შეიძლება ძალიან მალე გაჩნდეს.**

## დათვი არსად წასულა

გასულ კვირას, როდესაც ქართულ პოლიტიკას სადღეგრძელოების ტალღამ გადაუარა, ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი განცხადება, ალბათ, მაინც გააკეთა პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ: „შეიძლება ითქვას, რომ ნემსის ყუნწში გავძვერით და ეს პერიოდი ძალიან ოსტატურად ჩავატარეთ. ამის მიღწევას ძალიან სერიოზული დანახვა უნდა. იმედი გვაქვს, ამას ჩვენი ოპონენტებიც დაინახავენ, საზოგადოების უდიდესი ნაწილიც დაინახავს, რადგან საზოგადოებაშიც იყო სკეპტიკური განწყობა, რომ იქამდე არ მიგვიშვებენ, ცხვირ-პირს დაგვამტვრევენ და ა. შ. საქართველოს ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ჩვენ ასე მშვიდობიანად მივედით 27 ივნისამდე. რომ არა საქართველოს ხელისუფლების მონდომება, ეს რომ მომხდარიყო წინა ხელისუფლების პირობებში, ერთი პროცენტი არ გვქონდა შანსი, რომ ჩვენ ასოცირებული ხელშეკრულება გაგვეფორმებინა. ასე იქნებოდა, რადგან ასეთი ურთიერთობები იყო მაშინ რუსეთთან — უაღრესად მწვავე, სრული კონფრონტაცია", — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ „პალიტრა ტვ-ს" ეთერში.

ზოგადად, მოლოდინი რუსეთის მკვეთრ საპასუხო ნაბიჯებთან დაკავშირებით საქართველოში თავიდანვე ერთობ გადაჭარბებული იყო. ის ეფუძნებოდა პარალელების გავლებას უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან, იმის გათვალისწინების გარეშე, რომ უკრაინის ეკონომიკის მნიშვნელობა რუსეთისთვის გაცილებით (განუზომლად) დიდია. ამ მხრივ უკრაინისა და საქართველოს შედარება ერთმანეთთან, უბრალოდ, არ შეიძლება. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების პრობლემა გახდა საბაბი „მაიდნისთვის" და რუსეთის ხისტი მოქმედების ერთ-ერთ მიზეზად იქცა — ეს მიზეზი არ იყო მთავარი და მითუმეტეს — ერთადერთი.

თუ კრემლის დამოკიდებულებას პრობლემის მიმართ მარტივ ფორმულამდე დავიყვანთ, ის, ალბათ, დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს: **რუსეთს დიდად არ ანაღვლებს საქართველოს დაახლოება ევროკავშირთან (მითუმეტეს, რომ საუბარი გაწევრებაზე არ მიდის), მაგრამ ძალიან აწუხებს საქართველოს შესაძლო ინტეგრაცია ნატოში, რომლის შესაჩერებლად შეიძლება ყველაფერზე წავიდეს.** ცხადია, კრემლს არ ხიბლავს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების „ევროასოცირება" და თავის გაღიზიანებას გამოხატავს კიდეც, თუმცა ამ შემთხვევაში, რეალური საფრთხე, ალბათ, იმდენად დიდი არ იყო, როგორადაც შეიძლება მოგვეჩვენოს აბაშიძის განცხადების გაცნობის შემდეგ.

თუმცა ზურაბ აბაშიძე, ალბათ, მართალია ყოფილი ხელისუფლების ევროინტეგრაციული პერსპექტივების შეფასებაში — სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, აუცილებლად წარმოაჩენდა ასოცირების ხელშეკრულებას რუსეთთან ბრძოლის აქტად, რის შედეგადაც გაღიზიანებული ევროპელები, დიდი ალბათობით, პროცესს დაამუხრუჭებდნენ, ხოლო რუსები საპასუხო, საკმაოდ მტკივნეულ ზომებს მიიღებდნენ. **რამდენიც უნდა ვაკრიტიკოთ ახალი** ▶

## ქართველების გამოქცევა გერმანიიდან «ასოცირების» დღესასწაულის წინ

**ბავარიის საზოგადოებრივი ტელერადიოკომპანია იუწყება, რომ 24 ივნისს ახალი დიდი ქართული ეროვნული „დღესასწაულის", ე. წ. ევროასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე სამი დღით ადრე, პოლიციამ 21 წლის ქართველი ქალი სამი მცირეწლოვანი ბავშვით ბავარიის ქალაქ ჰამელბურგიდან პოლონეთში გააძევა. მათი ბედი გაურკვეველია.** ბავარიის პოლიციის განცხადებით, ქართულმა ოჯახმა თავშესაფრი პოლონეთში უნდა მოითხოვოს. პოლიციელები არ დაელოდნენ ქალის მეუღლისა და ბავშვების მამის გამოჩენას, რომელიც, სავარაუდოდ, სამართალდამცველთა დანახვისას გაიქცა. ასე რომ, მცირეწლოვანი ბავშვები და ახალგაზრდა ქალი ოჯახის უფროსის გარეშე გააძევეს. პოლიციის ქმედება ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გაამართლა. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ასოცირების ხელშეკრულების წარმოჩენა ქვეყნის მხსნელად, დანაშაულია. საქართველოს არც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ელის ევროპის მხრიდან, არც სხვა რეალური მხარდაჭერა. ასოცირების ხელშეკრულება საქართველოში ბიუროკრატიისთვის არის მომგებიანი; იმ ბიუროკრატიისთვის, რომელიც საკუთარ თავს უზარმაზარ პრემიებს უნიშნავს და რომელსაც, ამასთანავე, ქვეყნის მართვის სადავეები თითქმის უკვე გაშვებული აქვს ხელიდან.

geurasia .org



უკვე მერამდენედ ჩაიქროლა ვაგონმა, რომელსაც თითქოს შევახტით და უკვე მერამდენედ აღმოვჩნდით პარტერში. უკვე მერამდენედ ხდება, რომ სხვები გვითითებენ, როგორ უნდა მოვიქცეთ და სხვები ამბობენ, უნდა გვიხაროდეს თუ არა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის მოიქცა სწორად და აქტიურად შეეწინააღმდეგა „ევროასოცირების“ განხილვას რუსეთთან კონფრონტაციის კონტექსტში.** ამასთანავე, მან რუსეთს შესთავაზა კონსულტაციების გამართვა (აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე) ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების მომავალზე, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ შეიქმნება. შეიძლება ითქვას, რომ კრემლი ამ ინიციატივით სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა (და ეს რუსულ მედიაშიც აისახა). იმ ვითარებაში, როდესაც მოსკოვი ჩივის, რომ დასავლეთი და უკრაინის ახალი ხელისუფლება მისი ინტერესების სრულ იგნორირებას ცდილობენ, ქართული დიპლომატიის სიფრთხილე და ტაქტიკური წინდახედულობა, კრემლის გადასახედიდან, ასე თუ ისე, კონსტრუქციულად გამოიყურება. **რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ რუსეთი სავაჭრო ურთიერთობებში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს და მის ბაზარზე შეღწევა ქართული ბიზნესისთვის გართულდება, თუმცა დეტალური საუბრის გამართვა ამ თემაზე უმჯობესი მას შემდეგ იქნება, რაც 7 ივლისს პრაღაში ორი ქვეყნის ექსპერტი ეკონომისტები ერთმანეთს შეხვდებიან და შექმნილ სიტუაციას განიხილავენ.**

კონფრონტაციისთვის თავის მაქსიმალური არიდება, სწრაფვა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური „ხიდის“ როლის შესრულებისკენ და ორივე მხარისგან მაქსიმალური ბონუსების მიღებისკენ დღევანდელი საქართველოსთვის, პრინციპში, ერთადერთი შესაძლებელი გონივრული ტაქტიკაა. ამ გზაზე მას ახალი გამოწვევა ელოდება, რომელიც თბილისში ჯერჯერობით სრულად გააზრებული არ არის. საქმე ისაა, რომ **უთანხმოება ვაშინგტონსა და ბერლინს შორის, კერძოდ კი, აღმოსავლეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით სულ უფრო თვალშისაცემი ხდება და მისი იგნორირება უკვე შეუძლებელია.** სინამდვილეში, უკვე დიდი ხანია, საქართველოსთვის და „ჩვენს ლიგაში მოთამაშე“ ქვეყნებისთვის საუბარი ეხება არა ლავირებას აბსტრაქტულ „დასავლეთსა“ და „აღმოსავლეთს“ შორის, არამედ ლავირებას სამკუთხედში „ვაშინგტონი-ბერლინი-მოსკოვი“. ამ სამიდან ნებისმიერი პოლუსის იგნორირება ჩვენისთანა ქვეყნისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. სააკაშვილის ხელისუფლება ამ ნიუანსს ვერ აცნობიერებდა და მკაცრად ბიპოლარულ, „ცივი ომის“ დროინდელ მოდელს ეყრდნობოდა (რა ჩიხშიც შეიყვანა ამის შედეგად საქართველოს საგარეო პოლიტიკა და რითაც დაასრულა, ყველამ ერთად ვიხილეთ). საინტერესოა, რამდენად ადეკვატურად აღიქვამს მას ახალი ხელისუფლება? ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ ქვეყანამ ევროინტეგრაციის (ან ნებისმიერი სხვა) მიმართულებით რამდენადმე ღირებული ნაბიჯების გადადგმა შეძლოს.

## ევროპის ქვაკუთხედი

გასულ კვირას საქართველოში იმდენს საუბრობდნენ „ევროპულ არჩევანზე“, რომ ორიოდე სიტყვა, ალბათ, იმ შინაარსზეც უნდა ვთქვათ, რომელსაც ამ სიტყვებს ვუკავშირებთ. მიუხედავად იმისა, რომ „ევროპული ფასადის“ ცალკეულმა ელემენტებმა შეიძლება მოგვხიბლოს და მათ აღწერაზე უამრავი დრო დავხარჯოთ, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე ევროპის ქვაკუთხედია კანონის უზენაესობის პრინციპი და მის გარეშე მთელი შენობა რამდენიმე წამში ჩამოიშლება. ევროპული არჩევანი, უპირველეს ყოვლისა, არის არჩევანი კანონის უზენაესობის სასარგებლოდ.

დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯის პრობლემის მიმართ თანამედროვე მსოფლიოში ორი ძირითადი მიდგომა არსებობს. ერთ-ერთის, პირობითად „ევროპულის“, ფარგლებში ყველა საქმე, ყოველ მიზეზ გარეშე გამოძიებული უნდა იქნას, ხოლო ყველა დამნაშავე დაისაჯოს (ცხადია, დამოუკიდებელი სასამართლოს განაჩენის საფუძველზე). აფრიკულ და ლათინოამერიკულ ქვეყნებში კი, კაციჭამია დიქტატურების დამხობის შემდეგ, ხშირად სხვა გზით მიდიან — ქმნიან „ჭეშმარიტების დადგენის და შერიგების კომისიებს“ და ყოფილი მაღალჩინოსნების დანაშაულს, სასამართლოს ნაცვლად, იქ სწავლობენ და განიხილავენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიების მუშაობის შედეგი (შესაბამის მასალებთან ერთად) საზოგადოებისთვის ნაწილობრივ მაინც ხელმისაწვდომი ხდება, დამნაშავეთა დიდი ნაწილის გასამართლება, როგორც წესი, ვერ ხერხდება — ისინი ფორმალური თუ არაფორმალური ამნისტიით პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან. ამას, ხშირ შემთხვევაში, დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო დაპირისპირების არდაშვების სურვილით ხსნიან.

ხელისუფლებას, რომელიც განხილულ პრობლემაზე ევროპულ არჩევანს არ აკეთებს, არ იძიებს უკლებრივ ყველა საქმეს, რომელიც ძველი რეჟიმის მსახურების სავარაუდო დანაშაულს ეხება და არ ასამართლებს მათ, ევროპულ ღირებულებებზე, გზაზე, არჩევანზე და ა. შ., საუბრის არანაირი უფლება არ აქვს. **თუ ის კანონზე მაღლა ნებისმიერ პოლიტიკურ ფაქტორს აყენებს, ამით ქვეყანას არა ევროპისკენ, არამედ „მესამე სამყაროს“ ჯუნგლებისკენ მიაქანებს.**

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ძირითადი იდეა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **ჭეშმარიტი „ტესტი ევროპულობაზე“ არის ხელისუფლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების (სავარაუდო) დანაშაულის მიმართ. თუ ჩვენ თავს ნამდვილ ევროპელებად ვთვლით და, შესაბამისად, კანონის უზენაესობის პრინციპს ვეყრდნობით, სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.** ყველაფერი დანარჩენი ბელეტრისტიკაა, თავისი გადაჭარბებული ეიფორიით, უსაფუძვლო ფანტაზიებითა და პოლიტიკოსების პროპაგანდისტული ხრიკებით, რომელთა განხილვაზე დროის დახარჯვა ნამდვილად არ ღირს.

**დიმიტრი მონიავა**

**მოსახლეობის ნაწილს აქვს განცდა, რომ ყველა ბარიერი ხვალ თუ არა ზეგ მოიხსნება... საფუძველი შემდგომი იმედგაცრუებისთვის ამ სივრცეშიც არის**



# ევროპისკენ სავალი გზა მაინც რუსეთზე გადის

**ბევრ ქართველს უყვარს ნადირობა. ადამიანის სამეწარმეო მოღვაწეობის ეს უძველესი დარგი, რომელიც ახლა გართობად იქცა, სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს. სხვაა, მწყერსა და ხოხობზე ნადირობა, და, საერთოდ, სხვა — დათვზე ნადირობა, რომელსაც განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება. დათვი ძალიან საშიშია — თუ ერთი გასროლით ვერ დააგდებ, ჯიქურ მიიწევს ყველას და ყველაფრის გასანადგურებლად, რაც წინ გადაეღობება...**

ბოლო წლებში ისე მოხდა, რომ საქართველოს უწევს კბილმტკივან დათვთან ურთიერთობა და არ აქვს მნიშვნელობა, მას ვინ აღიზიანებს — ჯოხი მაინც ჩვენზე ტყდება. როგორც ჩანს, საქართველოს „მეგობრებმა“ საქმეში უკრაინაც ჩართეს და პასუხიც მიიღეს — ეს ქვეყანა მარტივ მამრავლებად არის დაშლილი და მისი გაერთიანება (ისევე, როგორც ჩვენი) თავიდან ბოლომდე იმ დათვის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, რომლის გაღიზიანებას კიდევ ერთხელ შევეცადეთ.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაზე მოგახსენებთ, ერთი შეხედვით ერი და ბერი აღფრთოვანებით რომ შეხვდა, სინამდვილეში კი **კაცმა არ იცის, რას გვიქადის ეს ხელშეკრულება და რა შედეგს მოიტანს ხვალ და ზეგ. ის, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ჩვენს მეზობელს არ მოსწონს, რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერის, დიმიტრი პესკოვის, განცხადებაშიც ჩანს:**

„ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის სუვერენული უფლებაა, მაგრამ რუსეთი თავდაცვით ზომებს მიიღებს, თუ ამ დოკუმენტების რეალიზებას ნეგატიური შედეგი ექნება რუსეთის ბაზარზე. პრეზიდენტმა უკვე არა ერთხელ განაცხადა, რომ ყველაფერი ამ დოკუმენტების ძალაში შესვლაზე, მათ რატიფიკაციასა და რეალიზაციაზე იქნება დამოკიდებული. საქმე ისაა, თუ როგორ აისახება ეს დოკუმენტები ჩვენს ბაზრებზე და, ნეგატიური ასახვის შემთხვევაში, ჩვენ ზომებს მივიღებთ“, — განაცხადა პესკოვმა.

ისე როგორ იქნებოდა, ამ განცხადებას საქართველოს ხელისუფლება არ გამოხმაურებოდა და, სამწუხაროდ, ეს ისევ მაია ფანჯიკიძის პირით გააკეთა. **ფანჯიკიძემ ღიმილით აღნიშნა, რუსეთის ბაზარი ვის რაში სჭირდება, დღე-დღეზე საქართველო ევროკავშირის ბაზარს დაიპყრობს, ყველაზე დიდ ბაზარს მსოფლიოშიო.** რა თქმა უნდა, ამ განცხადებას ოვაციები მოჰყვა, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ რუსეთის ბაზარი საქართველოსთვის უფრო მისაღები და სახეიროა, ვიდრე ევროპის და ახლავე აგიხსნით, რატომ. **ჯერ ერთი, ქართული ღვინო ევროპაში არავის სჭირდება და, თუ სჭირდება, ისე ცოტა რაოდენობით, რომ სათვალავში ჩასაგდები არ არის. არც ჩვენს წყლებზე ირევიან, რადგან ევროპულ ბაზარზე მონოპოლია ფრანგულ და შვეიცარიულ წყლებს აქვთ (არ თქვათ ახლა, ევროპაში მონოპოლია არ არისო). და მესამეც — ჩვენი ხილი ვერ იფუთება ისე, ევროპული ბაზრის დახლებზე კვირების განმავლობაში რომ იდოს.** შესაბამისად, **ჩვენ სწორედაც რუსეთის ბაზარზე ვართ ჩამოკიდებული და ფიქრი იმაზე, რომ ამ ბაზრის გარეშე წინ წავალთ, აბსურდულია.**

ამას გარდა, მთავარი მიზანი ხომ ევროკავშირში გაერთიანებაა და გავიხსენოთ საბერძნეთის მაგალითი, ქვეყნისა, რომლის ეკონომიკასთან ახლოსაც ვერ მივალთ. სწორედ ევროკავშირში შესვლის შემდეგ წავიდა საბერძნეთის საქმე უკან და ელადელები დღემდე გონს ვერ მოსულან, რა უნდოდათ ევროკავშირში, სად არის დაპირებული სიკეთე და რატომ წავიდა მათი ეკონომიკა უკან, წინსვლის ნაცვლად.

**ხელისუფლებამ ცდუნებას ვერ გაუძლო და კონცერტი გამართა. ვერ გეტყვით, რამდენი ათასი დაჯდა „ტანციმანცი“ და ქართული „ბომონძლის“ ხზოს აღფრთოვანება, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც გვახსოვს, 2008 წელს სამხრეთ ოსეთში ქართველი ბიჭები რომ იხოცებოდნენ, ჩვენ კი რუსთაველზე ვმღეროდით „ვაგონი მიქრის“...**

უკვე მერამდენედ ჩაიქროლა ვაგონმა, რომელსაც თითქოს შევახტით და უკვე მერამდენედ აღმოვჩნდით პარტერში. უკვე მერამდენედ ხდება, რომ სხვები გვითითებენ, როგორ უნდა მოვიქცეთ და სხვები ამბობენ, უნდა გვიხაროდეს თუ არა. ფაქტი კი არის ის, რომ ამ ყველაფერს რუსული დათვი მშვიდად უყურებს და კბილებს იჩიჩქნის, იმ კბილებს, რომლებიც პერიოდულად სტკივა ხოლმე და მერე ალარავის ინდობს. ეჭვი გვაქვს, ევროპასა და ამერიკას საქართველოში გამოსაგზავნი წყალი და პამპერსი კიდევ აქვს გადანახული და ახლა ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული, კიდევ რამდენ ხანს შევანახვინებთ. დიდი ნაბიჯებით ევროპისკენ სიარული, ერთი შეხედვით, კარგია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს გზა რუსეთზე გადის და ისე უნდა ვიაროთ, მეზობელი არ გავაღიზიანოთ. როგორ ეხმარება ევროპა მეგობრებს, უკრაინის მაგალითზე უკვე ვიხილეთ და ევროპელებისთვის ჩვენც ზუსტად ასეთი მეგობრები ვართ.

**დავით მინდიაშვილი**

**ქართული ღვინო ევროპაში არავის სჭირდება და, თუ სჭირდებათ, ისე ცოტა რაოდენობით, რომ სათვალავში ჩასაგდები არ არის. არც ჩვენს წყლებზე ირევიან, რადგან ევროპულ ბაზარზე მონოპოლია ფრანგულ და შვეიცარიულ წყლებს აქვთ. და მესამე — ჩვენი ხილი ვერ იფუთება ისე, ევროპული ბაზრის დახლებზე კვირების განმავლობაში რომ იდოს. შესაბამისად, ჩვენ სწორედაც რუსეთის ბაზარზე ვართ ჩამოკიდებული და ფიქრი იმაზე, რომ ამ ბაზრის გარეშე წინ წავალთ, აბსურდულია**

## «მასტერა» ჰოლანდიაში დააკავეს

**ჰოლანდიაში დააკავეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსი გიორგი დგებუაძე („მასტერა“).** როგორც პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჰოლანდიელმა სამართალდამცველებმა გიორგი დგებუაძე საქართველოს მთავარი პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე დააპატიმრეს. „მასტერა“ ამჟამად საპატიმრო დაწესებულებაშია მოთავსებული და მისი ექსტრადიციის საკითხი განიხილება.

მთავარმა პროკურატურამ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროს გიორგი დგებუაძეს ბრალი გასული წლის 7 მარტს წაუყენა. მას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ორგანიზებაში ადანაშაულებენ. დგებუაძე ასევე ფიგურირებს რეინჯერ დავით ცინდელიანის, თავდაცვის სამინისტროს მზვერავ პაატა ქარდავასა და ბათუმელ მზვერავ როინ შავაძის მკვლელობის სქმეში. როგორც შავაძის ადვოკატი როინ პაპიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, 15 აგვისტოს, მკვლეობიდან ერთი დღით ადრე დათა ახალაიას დავალებით, ადგილზე ჩასული იყო გია დგებუაძე, იგივე „მასტერა“. დათა ახალიას მარჯვენა ხელმა, გიორგი დგებუაძემ, საქართველო არჩევნების შემდეგ დათა ახალაიასთან ერთად დატოვა. „მასტერა“ საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც ზონდერ ჯგუფების ხელმძღვანელი.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბოევიკების“ რეკრუტირება, არსებული ინფორმაციით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერთ-ერთი ყოფილი „გვარდიელის“ საშუალებით ხდება, რომელიც ფინეთში ცხოვრობს.**

# როგორ ხვდებიან ქართველი ბოევიკები უკრაინაში





**თავიდანვე აშკარა იყო, რომ „ვარდების რევოლუციის“ ბელადებს საქართველოს პოლიტიკური ასპარეზი ევიწროებოდათ და „დიდი საქმეებისთვის“ დებდნენ თავს — მოლდოვათი დაწყებული, ყირგიზეთით დამთავრებული, შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, საკუთარი პერსონების მნიშვნელობა წარმოეჩინათ „ფერადი რევოლუციების“ წარმატების საქმეში.**

ბუნებრივია, ნაცბელადები არ თაკილობდნენ და დღესაც არ თაკილობენ, რომ ამერიკის ხელისუფლების მიერ აშკარად მართვადი თოჯინები არიან. მით უმეტეს, მათ არ აწუხებთ ის, რომ აშშ-მა ისინი საქართველოს ინტერესების საზიანოდ, მეზობელ რუსეთთან ურთიერთობის ხელოვნურად დასაძაბავად გამოიყენა. პირიქით, **ნაცრევოლუციონერებმა პატრიოტების იმიჯი მოირგეს და „აგრესორი“ რუსეთის წინააღმდეგ სიტყვიერი ომი გააჩაღეს, რომელიც, როგორც ცნობილია, 2008 წლის აგვისტოში მათივე მიზეზით ცხელ ბლიცკრიგში გადაიზარდა საქართველოსთვის გამანადგურებელი შედეგებით.**

დღეს ეს ნაცბანდა ისევ არ ცხრება და რუსეთის „ჩხიკინს“ ახლა უკვე უკრაინიდან განაგრძობს. **სააკაშვილისა და მისი დამქაშების ტრიალი კიევში, მათ მიერ რუსეთისადმი გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები კრემლისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ყოველივე ეს განიხილება უკრაინული „მაიდნის“ ანტირუსულ კონტექსტში — რუსეთის ხელისუფლებისთვის სააკაშვილი და მისი დამქაშები დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორია, რომელთა თუნდაც სიმბოლური მონაწილეობა უკრაინულ პოლიტიკაში კიდევ უფრო გაართულებს კიევსა და მოსკოვს შორის პოზიციების დაახლოების ისედაც სუსტ შესაძლებლობას. ეს ხელს აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მფარველობს უკრაინის ყველაზე რადიკალურ ძალებს, ე. წ. მემარჯვენე სექტორის ჩათვლით.** უკრაინის ბუნებრივი ინტერესები რუსეთთან პარტნიორობას მოითხოვს, **რაც უნდა პროდასავლურად იყოს განწყობილი პოროშენკო, ადრე თუ გვიან იგი რუსეთთან პარტნიორობას მიანიჭებს უპირატესობას, რადგან მაინც რაციონალურად მოაზროვნე სუბიექტია პოლიტიკისა.** რუსეთთან ბრძოლა მისი აკვიატებული აზრი არ არის, მაგრამ სხვა საქმეა „მემარჯვენე სექტორი“, დასავლეთ უკრაინის ნაციონალისტები და მათთან ერთად ჩვენი „მშობლიური“ ნაცბანდა, რომელსაც ამთავითვე დანგრეული აქვს ყველა ხიდი რუსეთის მიმართულებით. ისინი ვერასოდეს გახდებიან რუსეთთან უკრაინის პარტნიორობის ინიციატორები. **ამერიკა ხელს არ უშლის პოროშენკოს, მაგრამ იმაზე ზრუნავს, რომ ებრაული წარმოშობის უკრაინელ ოლიგარქს რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი არ გაუჩნდეს, უკრაინის საჭირბოროტო ინტერესებიდან გამომდინარე.** ასეთ თანამშრომლობას თავის დროზე თვით იულია ტიმოშენკოც დათანხმდა და, შესაძლოა, არც პოროშენკო იყოს გამონაკლისი.

გამომდინარე აქედან, „ნაცების“ აქტიურობა უკრაინაში გასაკვირი არ არის, მაგრამ ამჯერად საყურადღებოა ერთი ნიუანსი — **„ნაცებმა“ უკრაინაში ქართველი „ბოევიკების“ გაგზავნა დაიწყეს. ამის შესახებ ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აპრილში შემთხვევით შევიტყვეთ, შემდეგ კი ჩვენს ხელთ ჩავარდნილი ინფორმაცია რუსულმა მასმედიამ გახმაურა.** ბოლო ხანს კი „ფეისბუქზე“ რამდენიმე ქართველი „ბოევიკის“ ფოტოსურათიც გამოჩნდა, მათი ვინაობა საიდუმლოს აღარ წარმოადგენს (იხ. ფოტოები). **„ბოევიკების“ რეკრუტირება, არსებული ინფორმაციით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერთ-ერთი ყოფილი „გვარდიელის“ საშუალებით ხდება, რომელიც ფინეთში ცხოვრობს.**

**საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ ნაცბანდა გამოცხადდეს იმად, რაც არის — ტერორისტულ ორგანიზაციად! «ნაცების» «გლობალური პოლიტიკა» საქართველოსთვის ზიანის მომტანია როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ქვეყნის შიგნით. უახლოეს მომავალში უნდა დაინიშნოს გამოძიება, ვინ და რა პირობებით აგზავნიდა და აგზავნის დაქირავებულ ბოევიკებს უკრაინაში, დამნაშავეები კი საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად დაისაჯონ!**

**პირადად მე ნაკლებად მჯერა ამ ნაცბოევიკების ეფექტიანობისა და ბრძოლისუნარიანობის. ისინიც ნაცპარტიელებივით უფრო მსახიობები და პოზიორები არიან, მათი ნაომარი მოწინააღმდეგეს სასაცილოდაც არ ეყოფა. მათ რამე რომ შეეძლოთ, თავს საქართველოში, ცხინვალის ან აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოიჩენდნენ.** მაგრამ ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, მათ შორის, სამხედრო ოპერაციებში სიმბოლურ მონაწილეობასაც. შეიარაღებული ნაცბანდის ყოფნას უკრაინის ტერიტორიაზე ორნაირი დატვირთვა აქვს: სიმბოლური და პრაქტიკული ხასიათის. ბოევიკების გაგზავნას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს საკუთრივ უკრაინის ნაციონალისტურ წრეებში „ნაცების“ პრესტიჟის გამყარებისთვის, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ ბოევიკების გამოყენება „ნაცებს“ საქართველოში შეეძლებათ, თუკი აქ საამისო წინაპირობები შეიქმნება.

**ალბათ, უაზრობაა, „ნაცებს“ მორალზე ესაუბრო, აუხსნა, რა ტრაგედია დაატრიალა უკრაინის ფაშისტოიდურმა „მემარჯვენე სექტორმა“ ჯერ ქალაქ ოდესაში, შემდეგ კი აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონებში; აუხსნა, რომ ამ ომში ფაშისტების მხარეს ნებისმიერი ფორმით მონაწილეობა სირცხვილია. მათ არც ის შეაწუხებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ ქალაქ ანთრაციტის დაბომბვისას დაიღუპა 10 თვის ბავშვი ეგორ ალექსანდროვი.**

ამიტომ **საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ ნაცბანდა გამოცხადდეს იმად, რაც არის — ტერორისტულ ორგანიზაციად! ნაცების „გლობალური პოლიტიკა“ საქართველოსთვის ზიანის მომტანია როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ქვეყნის შიგნით.** უახლოეს მომავალში უნდა დაინიშნოს გამოძიება, ვინ და რა პირობებით აგზავნიდა და აგზავნის დაქირავებულ ბოევიკებს უკრაინაში, დამნაშავეები კი საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად დაისაჯონ.

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

# ნიკოლა სარკოზი დააკავეს

**„1 ივლისს საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სისხლის სამართლის სამძებროს კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის ცენტრალურ ოფისში გამოცხადდა, სადაც დააკავეს და დაჰკითხეს“, — წერს გაზეთი „ლე მონდი“.**

გამომძიებლები ცდილობენ, გაარკვიონ, დაჰპირდა თუ არა 59 წლის სარკოზი, რომელიც 2007-2012 წლებში იყო საფრანგეთის პრეზიდენტი, სააპელაციო სასამართლოს მაღალი რანგის მოსამართლე ჟილბერ აზიბერს მონაკოში ახალ თანამდებობას საჭირო ინფორმაციის სანაცვლოდ.

უფრო ადრე კი სამართალდამცველებმა ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატი ტიერი ერცოგი დააპატიმრეს. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ სარკოზის ადვოკატმა რამდენიმე ფრანგ იურისტთან ერთად დამალა სიმართლე იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ლიბიის ლიდერის — მუამარ კადაფის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში ნიკოლა სარკოზის არალეგალურად დაფინანსებას ეხებოდა.

გასული წლის მარტში ნიკოლა სარკოზის მიმართ აღიძრა საქმე მისი წინასაარჩევნო კამპანიის (2007 წელს) არალეგალური დაფინანსების ბრალდებით.

სარკოზი ეჭვმიტანილი იყო საფრანგეთის ყველაზე მდიდარი ქალის — ლილიან ბეტანკურისგან რამდენიმე ათასი ევროს აღებაში, რომლის სანაცვლოდ ლილიან ბეტანკური გადასახადებისგან გაათავისუფლა.



2012 წლის დეკემბერში კი ფრანგმა ბიზნესმენმა ზაიდ ტაკიემენმა განაცხადა, რომ აქვს ლიბიის ხელისუფლების მიერ სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მტკიცებულებები. მოგვიანებით ფრანგულმა ონლაინგამოცემა MediaPart-მა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ ლიბიის ხელისუფლებამ 50 მილიონი ევრო გადარიცხა სარკოზის საარჩევნო შტაბში.

# რასმუსენი: უელსის სამიტზე მაპის შესახებ საუბარი არ იქნება

**„უელსის სამიტზე არ იქნება მაპზე საუბარი“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე.**



„უელსის სამიტზე არ იქნება საუბარი მაპზე, თუმცა ალიანსი მხარდაჭერას გამოუცხადებს საქართველოს ნატოსთან დაახლოებას. ეს იქნება ძირითადი პაკეტი, რომელიც შემუშავდება საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით სამიტამდე დარჩენილ პერიოდში. მე, სამწუხაროდ, ვერ დაგისახელებთ ელემენტებს, რომლებზეცაა საუბარი, მაგრამ შეგახსენებთ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას — საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“, — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

**ახლა ისეა, ბოდიშს მოვიხდი და, „მიჩმორებული“ ჩემი ეკლესია, რომ, რასაც ხელისუფლება „დაუკრავს“, არ მოსწონთ, მაგრამ ნაძალადევი ღიმილით მაინც ტაშს უკრავენ. ჩვენდა საუბედუროდ, უზნეობა ეკლესიიდან მოდის.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამა ელიზბარი საქართველოდან მიდის

**სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარი (დიაკონიძე), რომელიც ყოველთვის შეუპოვარი განცხადებებით გამოირჩეოდა, საქართველოდან მიდის. ქვეყნის დატოვების მიზეზებს მამა ელიზბარი „საქართველო და მსოფლიოს“ უმხელს.**



**— მამაო, რატომ გადაწყვიტეთ საქართველოდან წასვლა?**

— საქართველო — ეს არის ქვეყანა, რომელშიც პატრიოტული მოსაზრებით გამსჭვალულ ადამიანებს ან ტყვიას ესვრიან, ან ტალახს. ამ ქვეყანამ თავი გასწირა ჭაობში ჩასახრჩობად. **მცირეოდენი იმედი მქონდა, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ ამ არჩევნების შემდეგ ყველა იმედი გამიცრუვდა.** მე რომ საქართველოდან მივდივარ, ეს, ალბათ, არავისთვისაა ტრაგედია, მაგრამ მართლა მირჩევნია, ქვეყნიდან წავიდე და საკუთარ სულს მივხედო. ისე ნუ მიიღებთ, რომ გავრბივარ, ხმლის გასალესად მივდივარ, რადგან სხვაგან უკეთესი ხმლის ოსტატები მეგულება.

ჩემი სამშობლო გმირებს ვერ აფასებს, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღიარეს ილია ჭავჭავაძე, ხომ კარგად გვახსოვს, როგორ მოექცნენ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას? მე რატომ უნდა ველოდებოდე უკეთესს, თუ ასეთ ღირსეულ ადამიანებს ასე მოექცნენ?!

**— ისეთი მაგალითები მოიყვანეთ, მამაო, ვინმე ხომ არ დაგემუქრათ, რაიმე საშიშროება ხომ არ გელით?**

— საფრთხე ჩემს ქვეყანას ემუქრება. მე არაფერს წარმოვადგენ. მუქარის რომ არ მეშინია, ესეც ყველამ კარგად იცის. მშიშარა რომ ვიყო, ჯერ კიდევ წლების წინათ, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, უსამართლობის წინააღმდეგ ხმას არ ავიმაღლებდი. **უბედურება ის არის, რომ მუქარა ეკლესიიდან დაიწყო, იქიდან, საიდანაც არ ველოდი. მოკვლით კი არავინ დამმუქრებია, მაგრამ ზოგიერთი სასულიერო პირი ზურგს მაქცევს, ვითომ ვერ მამჩნევს.** ისეთმა ადამიანმაც კი, რომლებთანაც ყმაწვილობიდან თანაშეზრდილი ვარ და ჩვენი ოჯახის წევრები ერთმანეთთან მეგობრობდნენ, ასეთი რამ განაცხადა, ელიზბარ დიაკონიძეს, ამ სახელის და გვარის ადამიანს, საერთოდ არ ვიცნობო. ის ჩვენი ეკლესიის წევრი არ არის და საერთოდ ანაფორის ტარების უფლებაც არ აქვსო.

**— მამა მიქაელ ბოტკოველს გულისხმობთ?**

— დიახ. ყველაზე მეტად მისმა ნათქვამმა მატკინა გული. სხვათა შორის, **მიშა ხელაშვილი 25 წლის იყო, როცა დიაკონად აკურთხეს, მაგრამ, როდესაც საქართველოს ბედი აირია, მღვდლის სამოსი გაიხადა და საბრძოლველად წავიდა, რადგან ეს ქვეყანას სჭირდებოდა.** 27 წლისა უკვე მოკლეს. მიშა ხელაშვილი საკუთარ მეგობრებს მოაკვლევინეს. **მე ასე შევუთვალე მამა მიქაელ ბოტკოველს, მიშა ხელაშვილობა მირჩევნია მიქაელ ბოტკოველობას-მეთქი,** თუმცა ბედნიერი კაცი ვიქნები, თუ ძველებურად, ძმებივით გადავეხვევით ერთმანეთს.

**— წინა ხელისუფლების დროს, როდესაც ბევრს ეშინოდა, თქვენ შეუპოვარი განცხადებებით გამოირჩეოდით, მაგრამ ქვეყნიდან წასვლა ახლა გადაწყვიტეთ...**

— ჩემი წასვლის მიზეზი ქვეყანაში გამეფებული ინდიფერენტიზმია. არც იმ ხელისუფლების დროს მეშინოდა და არც ახლა მეშინია. რამდენი ხანია, ხან ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, ხან — სამღვდელოებას და ღია დებატებს ვითხოვ. ვისაც სურვილი ექნება, საერო პირი იქნება თუ სასულიერო, ნებისმიერ ტელეარხზე დაჯდეს ჩემთან დებატებში და ვინ მტყუანია და ვინ — მართალი, საზოგადოებამ განსაჯოს. ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება, თუ მე მტყუანი აღმოვჩნდები, მაგრამ მესამე თუ მეოთხე წელია, რასაც ვლაპარაკობ, ჩვენდა საუბედუროდ, მართლდება.

**— თქვენ მხარს უჭერდით და დიდი იმედი გქონდათ ახალი ხელისუფლების, ასე მალე რატომ გაგიცრუვდათ იმედი?**

— მხოლოდ მე გამიცრუა იმედი ახალმა ხელისუფლებამ? თუ მარტო მე ვარ ასეთი, მაშინ მტყუანი ვყოფილვარ. ეს ხალხი ისე ღრმად წევს ჭაობში, წამოდგომას არც აპირებს და როგორც კი მიუთითებ, — მოყვასო, ჭაობში ნუ წევხარ, ადექიო, იმის მაგივრად, რომ მადლობა გადაგიხადოს, იქით გეჩხუბება, ნუ მახსენებ, რომ ჭაობში ვწევარო. ჩემი ერი, ჩემდა საუბედუროდ, კიკუს დაემსგავსა. დღეს ბევრი იხდის ხუთ მანეთად, მე ვერ გავიხდი. ეს ის ხალხია, რომელმაც დურუ ძიგუა დიდი პატივით დაკრძალა, დათა თუთაშხია კი შვილს მოაკვლევინა.

**— მერე წასვლა გამოსავალია, მამაო?**

— წასვლა არ არის გამოსავალი, მე არ მივდივარ იმისთვის, რომ ხორცი გადავირჩინო. მე მივდივარ, რათა ხმალი ავლესო, შემდეგ ჩამოვიდე და უფრო ფხიანი ხმალი ვატრიალო.

**— რომელ ქვეყანაში აპირებთ გამგზავრებას?**

— ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ვაპირებ წასვლას. ჯერ არ დავაკონკრეტებ. **მანანა კობახიძის აზრით, საქართველოში მართლმადიდებლობა და ქართული კულტურა თურმე ერს ღუპავს; დავით უსუფაშვილის აზრით კი, ბიბლია საერთოდ ბოროტებაა. ეს ორი ადამიანი რომ განასახიერებს ჩემი ერის ავტორიტეტს, იმ ევროპაში მივდივარ, რათა დავანახვო ევროპელებს, ვინ არის ქართველი და ვინ არიან ესენი.**

**უბედურება ის არის, რომ მუქარა ეკლესიიდან დაიწყო, იქიდან, საიდანაც არ ველოდი. მოკვლით კი არავინ დამმუქრებია, მაგრამ ზოგიერთი სასულიერო პირი ზურგს მაქცევს, ვითომ ვერ მამჩნევს**

**— მამაო, მართალია, ევროპაში აპირებთ საცხოვრებლად გამგზავრებას, მაგრამ სასულიერო პირების უმრავლესობა ევროპული წეს-ჩვეულებებისა და ცხოვრებისადმი სკეპტიკურად ხართ განწყობილნი.**

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ევროპის „ბიჟუტერია“ მხიბლავს? მე ჩემი მოვალეობის განსამტკიცებლად მივდივარ.

**— ფიქრობთ, ევროპიდან უკეთესად შეძლებთ ქვეყნის სამსახურს?**

— დიახ, მე იქ ძალას მოვიკრებ.

**— ახლახან საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს?**

— ეს არის ჩვენი ქვეყნის საბოლოო დაღუპვა და განადგურება. ბოდიშს ვიხდი ყველას წინაშე, მაგრამ **ერს ასე უხაროდეს, რომ ხვალ გააუპატიურებენ, პირველად ვნახე.** უბედურება ისაა, რომ ამ ხელშეკრულების ტექსტს არ გვაკითხებენ და არ ვიცით, რაზე ვაწერთ ხელს. ხალხის სახელით პრემიერი ღარიბაშვილი რომ გავუშვით ხელის მოსაწერად, ამიხსნას, რას მოაწერა ხელი და ამიერიდან რა ვალდებულებების შესრულება მოგვიწევს.

112 დეპუტატმა მოაწერა ხელი ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს, რადგან თურმე ისე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს ვერ მოვაწერდით. მაშინ ვიხუმრე, ასოცირებისთვის ჩვენი ერის „ასთორმეტირება“ რატომ იყო საჭირო-მეთქი.

ევროპას იქით უნდა ვასწავლოთ, რას ნიშნავს მამულიშვილი. ახლა პოლონელი სტუმრები მყავს, პოლონეთს ნაკლებად ვიცნობთ ქართველები, ძალიან კულტურული ხალხი ყოფილა. შარშან ისე მოეწონათ საქართველო, წელს მეორედ ჩამოვიდნენ. აი, ამ კუთხით მივესალმები ევროპას.

სხვათა შორის, მიხეილ-გელა სალუაშვილმა მთხოვა, მისი პარტიის „უფლის სახელით“ არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო, თავიდან დავთანხმდი, მაგრამ შემდეგ ისეთი სიტუაცია დამხვდა, საარჩევნო კამპანია საერთოდ არ ჩამიტარებია, ჩემი საარჩევნო პლაკატიც არ გამომიკრავს.

**— სასულიერო პირებს პოლიტიკაში ჩარევაში ხშირად ადანაშაულებენ, შეიძლება სასულიერო პირი არჩევნებში მონაწილეობდეს?**

— რატომ არ შეიძლება? სად წერია და ვინ კრძალავს? **ეკლესია არ უნდა ჩაერიოს არაფერშიო, რომ იძახიან, ესაა სწორედ ერის „გადურაკება“.** როდესაც საერო პოლიტიკა მოისუსტებდა, სწორედ ეკლესია იღებდა მართვის სადავეებს ხელში. **ახლა ისეა, ბოდიშს მოვიხდი და, „მიჩმორებული“ ჩემი ეკლესია, რომ, რასაც ხელისუფლება „დაუკრავს“, არ მოსწონთ, მაგრამ ნაძალადევი ღიმილით მაინც ტაშს უკრავენ. ჩვენდა საუბედუროდ, უზნეობა ეკლესიიდან მოდის.**

დღეს საქართველოში ასეთი სიტუაციაა — იყვირე და გააპროტესტე, რამდენიც გინდა, არავის აინტერესებს.

მე ცოტა ხნით გტოვებთ, ერთეულების ვაჟკაცობის იმედი მაქვს და გპირდებით, აუცილებლად ალესილი ხმლით დავბრუნდები.

ესაუბრა **შორენა ციჯქარაშვილი**

## პოლ კრეიგ რობერტსი: «გულუბრყვილოები» ცხოვრების ბოლომდე ინანებენ მაიდანს!

**ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა და პუბლიცისტმა პოლ კრეიგ რობერტსმა თავის ვებგვერდზე უკრაინაში შექმნილი ვითარების ანალიზი გამოაქვეყნა.**



**რობერტსის აზრით, კიევში საპროტესტო აქციების ორგანიზება ვაშინგტონს რუსეთის საზღვრებთან ნატოს ბაზების განსალაგებლად და უკრაინის „გასაძარცვად“ სჭირდებოდა. ეს ძარცვა, რომელსაც მსოფლიო სავალუტო ფონდის კრედიტი დაარქვეს, უკვე დაიწყო. იდეალისტები კი, რომლებიც მაიდანზე საპროტესტო აქციებს მართავდნენ, „მიმნდობი გულუბრყვილოები“ აღმოჩნდნენ.**

„უკრაინა ამჟამად უამრავი პრობლემის წინაშეა. თვითონ ქვეყანა უკრაინისა და რუსეთის ტერიტორიების „შეუძლებელი შენაერთია“, რომელიც ლენინმა და ხრუშჩოვმა ერთ საზღვრებში მოაქციეს. ყირიმი უკვე შეუერთდა რუსეთს, ამ გზით შეიძლება წავიდეს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთიც, თუკი „მარიონეტული“ ხელისუფლება განაგრძობს რუსულენოვანი მოსახლეობის მტრობას. გარდა ამისა, მწიფდება კონფლიქტი „მემარჯვენე სექტორსა“ და აშშ-ის „მარიონეტებს შორის“. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, ვაშინგტონი შეიძლება დაეხმაროს მის დასმულ ხელისუფლებას და უკრაინაში ნატოს ჯარების გამოჩენა პუტინს აიძულებს, უკრაინის დანარჩენი რუსულენოვანი ნაწილიც მიიერთოს. გარდა ამისა, დასავლური მედია სრულ სიმართლეს არ წერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) „დახმარების პაკეტის“ შესახებ. მედია ავრცელებს ინფორმაციას და მას უკრაინელებიც ენდობიან, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მილიარდებს გამოყოფს და ქვეყანას გადაარჩენს. „მაგრამ რეალურად, — წერს რობერტსი, — უკრაინა საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ერთ დოლარსაც ვერ მიიღებს. სსფ უკრაინისთვის განკუთვნილ ფულს გადასცემს დასავლეთის ბანკებს, ისინი კი ამ თანხებით უკრაინის ვალებს შეამცირებენ. შედეგად უკრაინა სსფ-ს მოვალე იქნება. სსფ კი მკაცრ პირობებს აყენებს: შემცირდება პენსიები, სამთავრობო ხარჯები, სუბსიდიები, მაგალითად, ბუნებრივ აირზე; საბოლოო ჯამში კი უკრაინაში ცხოვრების ისედაც დაბალი დონე კიდევ უფრო დაქვეითდება. სახელმწიფო ქონებასა და კერძო საწარმოებს მიჰყიდიან დასავლელ ბიზნესმენებს, დაეცემა უკრაინული ფულის — გრივნას კურსი და ქვეყანა ვალებში ჩაეფლობა. მაიდნელთა გულუბრყვილო პროტესტის პირდაპირი შედეგი იქნება ცხოვრების გაცილებით დაბალი დონე, კორუფციის აყვავება, ეკონომიკურ პოლიტიკაში სუვერენიტეტის დაკარგვა და სახელმწიფო და კერძო ქონების დასავლეთის ხელში ჩაგდება. ამასთანავე, ნატოს კლანჭებში მოქცეული უკრაინა რუსეთის საწინააღმდეგო კავშირში აღმოჩნდება და რუსეთის რაკეტების სამიზნე გახდება.

რუსეთისა და უკრაინისთვის, მათი მჭიდრო კავშირებისა და საერთო ისტორიის გათვალისწინებით, ეს ტრაგედია იქნება. „გულუბრყვილოები“ ცხოვრების ბოლომდე ინანებენ მაიდანს“, — ასკვნის პოლ კრეგ რობერტსი.

## გიგი უგულავას 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება



**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროსი გიგი უგულავა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვას ედავება.**

საქმე ეხება 2007 წლის 7 დეკემბერს „სითი პარკსა“ და თბილისის მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. სამართალდამცველთა განცხადებით, უგულავამ სახელმწიფოს კუთვნილი 1 086 718 ლარი გაფლანგა.

გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რომლებიც სასჯელის ზომად 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შორეულ პერსპექტივაში რუსეთს ხელს არ უნდა აძლევდეს პატარა საქართველოს ისე დაჩაგვრა, რომ თვითონაც მიადგეს ზიანი. რუსეთი შეეცდება, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით, კონკურენცია გასწიოს საქართველოს მოსაპოვებლად“.**

# გია ვოლსკი: გარკვეულ საკითხებში არ ვეთანხმები გუნდის წევრებს

**რამდენიმე დღის წინათ საქართველომ ევროკავშირთან ნანატრ ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. საზოგადოებაში ამ ,,ისტორიულმა მოვლენამ “აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: ზოგი გახარებულია, თავი უკვე ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ჰგონია; ზოგი კი მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს.**
**არის თუ არა საქართველო მზად იმ ცვლილებებისთვის, რომელთაც ევროკავშირი ჩვენგან მოითხოვს, როგორ აფასებს ამ ხელშეკრულებას — ქვეყნისთვის დადებით მოვლენად თუ პირიქით, რას მივიღებთ უელსის სამიტზე — მაპს, „მაპზე უკეთესს“ თუ სულაც ნატოზე უკეთესს და რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი გია ვოლსკი ესაუბრა.**



**— ბატონო გია, ქართული პოლიტიკა საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართულიო, — განაცხადა დემურ გიორხელიძემ ამ ხელშეკრულების შეფასებისას. ისიც ითქვა, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმებით აფხაზეთისა და ცხინვალის საბოლოოდ დაკარგვის საფრთხის წინაშე ვდგებით. ამაზე რას იტყვით, ესეც სპეკულაციაა?**

— დემურ გიორხელიძეს კატეგორიულად არ ვეთანხმები, მაგრამ პატივს ვცემ მის მოსაზრებას, ვინაიდან არავის დაკვეთით და არავისთან საკეკლუცოდ არ ამბობს ამას, უბრალოდ, ასეთი მოსაზრება აქვს, მაგრამ მცდარია ეს მოსაზრება. ცხადია, რუსეთის აზრი ანგარიშგასაწევია, მაგრამ ყველასთვის უნდა იყოს ნათელი, რომ საქართველო მოკავშირესთან ერთად უფრო ძლიერი პოზიციით საუბრობს, ვიდრე მარტო.

**— არანაირი გარიგება არ არსებობს საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლეთს შორის? ამბობთ, რომ ეს ხელშეკრულება ტერიტორიების დაკარგვას არ გამოიწვევს?**

— რა გარიგება, რის გარიგება, საქართველოს ინტერესების ხარჯზე ვინმე ვინმეს როგორ უნდა გაურიგდეს?! რატომ, რა მიზეზით შეიძლება იყოს ასეთი გარიგება? ასეთ მტრულ გადაწყვეტილებას არავინ მიიღებს. მსოფლიოში მიმდინარეობს პროცესები, რომელთა ღრმა ანალიზია საჭირო. ასეა თუ ისე, საბოლოოდ, **მსოფლიოს დიდი მოთამაშეები სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით მივლენ საერთო აზრამდე, პლატფორმამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან დიდი საფრთხე შეიქმნება, რომ ის დაპირისპირებები, რომლებიც არსებობს დასავლეთსა და რუსეთს შორის „ცხელ ფაზაში“ გადავიდეს.** იმედია, საქართველოს თემა ერთ-ერთი იქნება, რომელთან დაკავშირებითაც მოინახება კონსენსუსი. ეს არის დიდი პოლიტიკური მიზანი და გიორხელიძე ან თუნდაც ხელისუფლებაში მყოფი ვოლსკი ამ პროცესებს ვერ შეაჩერებს. მიხეილ ბულგაკოვს აქვს ნათქვამი, ერთსა და იმავე საგანზე სხვადასხვა პოზიცია არსებობს, მაგრამ ამით ამ საგნის ბუნება არ იცვლებაო. შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისი გვქონდეს, მაგრამ ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომლებსაც ჩემი, თქვენი და დემურ გიორხელიძის განსხვავებული აზრი ვერ შეცვლის.

**— შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ მაინტერესებს, რამ გამოიწვია ეს აჟიოტაჟი? რესპუბლიკელებიც არ წავიდოდნენ ასეთ გარიგებაზე? მოგეხსენებათ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება...**

— არ ვიცი, რამ გამოიწვია. ზოგჯერ არის პოლიტიკური ამბიციები, ნუ დავმალავთ, რომ ადამიანებს სურთ, თავი წარმოაჩინონ, **ხშირად ეს პოლიტიკური სპეკულაციებია, რომ მოწინააღმდეგეს დაუპირისპირდე და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილი გადაიბირო ამ თემით. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია.** ასეთი რამ მსოფლიოსთვის უცხო არ არის, ეს ყველა ქვეყანაში ხდება.

**«სოსო ჯაჭვლიანს მიაჩნია, რომ პარლამენტში არ უნდა იყოს «ნაციონალური მოძრაობა» და ამიტომ რიგგარეშე არჩევნებია საჭირო. ეს არის და ეს. რა გაუგებრობა, რის გაუგებრობა?!»**



ამ სპეკულაციების გარდა, შეიძლება ადამიანს ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება და ეს გასაკვირი არ არის. **იმასაც ამბობდნენ, ეს ხელშეკრულება ერთსქესიანთა ქორწინებას გვავალდებულებსო, როგორ შეიძლება საქართველოში, რა ხელშეკრულებაც უნდა გააფორმო, ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდეს?** გარდა ამისა, კონსტიტუციური ნორმით, ქორწინება, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

**— ამბობენ, ამას რესპუბლიკელები ეწინააღმდეგებიანო...**

— რა სისულელეა. დავანებოთ თავი რესპუბლიკელებს. ნებისმიერი ჯგუფის პოზიცია, რომელიც დაუჭერს ამას მხარს, წარმატებული არ იქნება. როგორი პოლიტიკური წყობაც უნდა იყოს საქართველოში დღეს ან 100 თუ 200 წლის შემდეგ, ასეთი რამ არ მოხდება იმიტომ, რომ ეს სხვა ტრადიციების ქვეყანაა. საქართველოში, ვიდრე არსებობს ეს ქვეყანა, ერთსქესიანთა ქორწინება ვერ დამკვიდრდება.

**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გამო რუსეთი „თავდაცვით ზომებს“ მიიღებსო... რას ელით? შეძლებს ჩვენი, ისედაც დაქცეული ეკონომიკა რუსეთის ბაზრის გარეშე არსებობას?**

— რუსეთს რომ არ უხარია ეს, რასაკვირველია, ვიცით, მაგრამ იქაც პრაგმატულად უყურებენ. აქ არ არის ლაპარაკი სიყვარულზე ან ისტორიულ ურთიერთობაზე ერთა შორის და ა. შ. წავიდა ეს დრო, მოსკოვს ცრემლების არ სჯერა, ისევე, როგორც ბრიუსელს, ვაშინგტონს და, თუ გნებავთ, თეირანსა და ანკარას. შორეულ პერსპექტივაში რუსეთს ხელს არ უნდა აძლევდეს პატარა საქართველოს ისე დაჩაგვრა, რომ თვითონაც მიადგეს ზიანი. რუსეთი შეეცდება, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით, კონკურენცია გასწიოს საქართველოს მოსაპოვებლად. ყველამ უნდა იცოდეს, რომ გარანტირებული ხვალინდელი დღე არ არსებობს, ამიტომ მუდმივად მუშაობის პროცესში უნდა ვიყოთ — ეს არის ერთადერთი და შეუცვლელი ფორმულა. თუ ამას არ გავითვალისწინებთ, ჩვენი საქმე ცუდად იქნება.

**— უელსის სამიტისგან რას ელით, ისევ „მაპზე უკეთესს“ მივიღებთ? ხომ ვნახეთ, რომ ეს „მაპზე უკეთესი“ სინამდვილეში იმას ნიშნავდა, რომ 2008 წელს არავინ დაგვეხმარა?!**

— ეს მაპის თემაც პოლიტიკური სპეკულაციების თემად აქციეს — მაპი გვექნება თუ არა, თითქოს ამაზე იყოს ყველაფერი ჩამოკიდებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ნატოსთან, მის წევრ ქვეყნებთან გვქონდეს მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობები. ურთიერთობების ხარისხი უნდა იყოს მაღალი და, როცა იქნება ამის რეალური წინაპირობები, მაშინ იქნება მაპი და იქნება წევრობაც. რაც ხელს აძლევს საქართველოს, ის უნდა მიიღოს, და აუცილებლად მივიღებთ იმას, რაც ხელს გვაძლევს. ჩვენთვის რა არის მთავარი: უსაფრთხოება, ურთიერთობა და მოკავშირეთა ძლიერი გუნდი ხომ?! და ამას მივიღებთ აუცილებლად.

**— დასასრულ, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“? სოსო ჯაჭვლიანი, ნუკრი ქანთარია, დათო ლორთქიფანიძე საჯაროდ გამოთქვამენ უკმაყოფილებას და უპირისპირდებიან გუნდის ზოგიერთ წარმომადგენელს...**

— არაფერიც არ ხდება. **სოსო ჯაჭვლიანს მიაჩნია, რომ პარლამენტში არ უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობა“ და ამიტომ რიგგარეშე არჩევნებია საჭირო. ეს არის და ეს. რა გაუგებრობა, რის გაუგებრობა?!** ამ ადამიანებს აქვთ მოსაზრებები, მეც მაქვს ჩემი მოსაზრება და გარკვეულ საკითხებში არ ვეთანხმები გუნდის წევრებს და, ეს რომ გამოვიტანო მედიაში, ატყდება აჟიოტაჟი... ეს არის და ეს.

**— რაში არ ეთანხმებით?**

— მე, მაგალითად, არ მიმაჩნია დიდ ცოდვად, სოსო ჯაჭვლიანმა თავის თვალსაზრისი საჯაროდ რომ გამოხატა, მეტს ვერაფერს გეტყვით.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**«როგორი პოლიტიკური წყობაც უნდა იყოს საქართველოში დღეს ან 100 თუ 200 წლის შემდეგ, ასეთი რამ არ მოხდება იმიტომ, რომ ეს სხვა ტრადიციების ქვეყანაა. საქართველოში, ვიდრე არსებობს ეს ქვეყანა, ერთსქესიანთა ქორწინება ვერ დამკვიდრდება»**

მოკლედ

## საქართველოს პროკურატურამ ყოფილი «მხედრიონელი» ქალი დააკავა

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, აზერბაიჯანის გენერალურ პროკურატურასთან ერთად გატარებული ღონისძიებების შედეგად, ბანდიტიზმისა და 4 პირის განზრახ მკვლელობის ორგანიზებისთვის კახეთის რეგიონის „მხედრიონის“ ყოფილი უფროსი, 1949 წელს დაბადებული მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილი დააკავა.**

ჩადენილი დანაშაულების გამო 2014 წლის 25 ივნისს მადლენა ზვორიკინა-ბერძენიშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქართველოს მთავარი პროკურატურა განაგრძობს გამოძიებას საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ძველი რედაქცია) და 78-ე მუხლით (ძველი რედაქცია), რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 15 წლამდე ვადით.



## C ჰეპატიტით დაავადებული პირებისთვის ძვირად ღირებული მედიკამენტი ფასდაკლებით გაიცემა

**1 ივლისიდან C ჰეპატიტით დაავადებული პირებისთვის ძვირად ღირებული მედიკამენტის გაცემა 60%-იანი ფასდაკლებით მოხდება.** ძვირად ღირებული მედიკამენტების — პეგილირებული ინტერფერონისა და რიბავერინის ფასდაკლებით შეძენა შესაძლებელია მხოლოდ პე-ეს-პე-ს აფთიაქში მისამართზე — იოსებიძის ქ. №60.

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ისეთი რესურსი გვაქვს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, განვვითარდეთ, რა თქმა უნდა, თუ ხელისუფლების ნება იქნება. ტვინი უნდა გაანძრიონ და სერიოზულად მოეკიდონ საქმეს, მაგრამ, თუ ის იძახეს, — ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერსო, არ ვიცი, რა მოხდება. არ გიკვირთ, როდესაც ამბობენ, რა სპეციალობები გვჭირდება უმაღლეს სასწავლებლებში, ბაზარი გვიკარნახებსო? ამ დროს ქვეყანაში გაუქმებულია აგრონომია, ვეტერინარია, არ ვიცი, რომელმა ბაზარმა უთხრა, რომ აგრონომია და ვეტერინარია არ გვჭირდება.“**



**დავით იაკობიძე:**

# ფასები გაიზრდება და ევროპულს გაუტოლდება!

**27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ხელმოწერიდან რამდენიმე საათში გამოვიდნენ ეკონომისტები და დაიწყეს ახსნა, რომ წინ ურთულესი პროცესები გველის, რომლებზეც 27 ივნისამდე არ საუბრობდნენ. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თქვა, ქართული წარმოება ევროპულ ბაზარზე გასასვლელად მზად არისო, პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩეველი იყო. „საქართველო და მსოფლიო“ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ დავით იაკობიძეს ესაუბრა. შევეცადეთ, სწორედ მისგან შეგვეტყო სიმართლე, არის თუ არა მზად ჩვენი ხალხი და წარმოება ევროპულ ბაზარზე გასასვლელად.**



**— ბატონო დავით, პრეზიდენტის მრჩეველმა განაცხადა, საქართველოში არსებული საწარმოები მზად არიან ევროპულ ბაზარზე გასასვლელადო.**

— არ ვიცი, პრეზიდენტის მრჩეველი რას გულისხმობდა, როცა ამას ამბობდა. ალბათ, უფრო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ვთქვათ, უნიკალურ ღვინოებს ან პროდუქციის დეფიციტურ სახეობებს, მაგალითად, მწვანილიდან, თორემ ევროპულ ბაზარზე ისედაც გასული ვართ, დაახლოებით 300-400 ათასი ადამიანი გვყავს დასაქმებული ევროკავშირის მასშტაბით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ლეგალურად მუშაობის საშულება არ აქვთ, ბაზარზე ხომ მაინც არიან?

**ვუსმენდი გადაცემას და საუბარი ძირითადად იმაზე იყო, — ხალხი ვიზებს მიიღებს, თავისუფლად გადაადგილებას შეძლებს და ევროპაში სამუშაოს იშოვისო... ვფიქრობ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მზად ვართ ევროპის ბაზარზე გასასვლელად.**

ასოცირების ხელშეკრულება მნიშვნელოვანია მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველო დაიწყებს მზადებას ევროპულ ბაზარზე გასასვლელად, მხედველობაში მაქვს ჩვენი საწარმოებისა და პროდუქციის ევროპული სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. **იმ მეწარმეებმა, რომლებიც ევროპულ ბაზარზე გასვლას დააპირებენ, უნდა იცოდნენ, რომ მათი პროდუქტი ან ძალიან ეროვნული უნდა იყოს, ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.** ავიღოთ „კოკა-კოლა“, რომელიც ჩვენი წყლით იქნება დამზადებული, რაც მის ხარისხზე დადებითად იმოქმედებს — ის აჯობებს სხვა თანაბარ პირობებში დამზადებულს. ასეთი პროდუქციით თუ გავალთ ბაზარზე, სტაბილურად გვეყოლება მომხმარებელი, თანდათან მოვახდენთ ჩვენი ეკონომიკის სპეციალიზებასაც ევროპული სტანდარტების შესაბამისად, გაღრმავდება წარმოების პროცესების ინტეგრაცია, მაგრამ ამას დრო სჭირდება.

**— ასეთ ვითარებაში, ალბათ, ყველაფერი გაძვირდება. გლეხი, რომელსაც ყველზე სტანდარტის დაცვას მოსთხოვენ, აუცილებლად გააძვირებს თავის პროდუქციას.**

— **კი, ფასები აუცილებლად აიწევს და ევროპულ ფასებს გაუტოლდება. სურსათის უსაფრთხოების ნორმები ევროპულ სტანდარტს უნდა მიუახლოვდეს.**

როდესაც შექმნეს სურსათის უვნებლობის სამსახური, პირველი, რაც გააკეთეს, იყო ლიცენზირებული სასაკლაოები თბილისის ახლო-მახლო ტერიტორიებზე, რამაც ვნებათაღელვა გამოიწვია. კერძო მეწარმეები იძულებულნი შეიქნენ, საქონელი სასაკლაოებზე მიეყვანათ, ამით გაიზარდა პროდუქტის უსაფრთხოება, მაგრამ ეს იყო დარტყმა მეწარმეებზე. ასეთი რამ მოხდა ბევრ ქვეყანაში, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ. **საუბარი მქონდა ლატვიელებთან, ისინი ამბობდნენ, რომ მათ, ვისაც 3-4 ძროხა და ღორი ჰყავდა, თავი დაანებეს სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ მთლიანობაში ღორისა და ძროხის სულადობა გაიზარდა, ვეტმომსახურეობა გაიაფდა, ხელმისაწვდომი გახდა, საქართველოში კი ამან მახინჯი ფორმა მიიღო — დარგის მონოპოლიზაცია მოხდა, ვიღაცეებმა ხელში ჩაიგდეს ბიზნესი მხოლოდ იმ მოტივით, რომ ფული ეშოვათ.**

**«იმ მეწარმეებმა, რომლებიც ევროპულ ბაზარზე გასვლას დააპირებენ, უნდა იცოდნენ, რომ მათი პროდუქტი ან ძალიან ეროვნული უნდა იყოს, ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი»**

**— რამდენი წელი დაგვჭირდება, ფეხი რომ ავუწყოთ ამ სტანდარტებს? თავდაპირველად ხომ ძალიან გაგვიჭირდება?**

— კი, გაგვიჭირდება. დარტყმა ფასების გაზრდა იქნება. ეს რთული პროცესია. რა ეშველება პროდუქციას, რომელიც ჩვენს ეროვნულ პრეისკურანტში სტაბილურად არის ჩაწერილი, ვთქვათ, იმერულ ყველს, სულგუნს, როგორ დავიცავთ ამ პროდუქტს? ფასების ზრდა მათზეც გავრცელდება. **ცელოფანში შეფუთულ რძეში ვიხდით 3 ლარს, ხოლო იმერულ ყველში — 6 ლარს. 1 კგ. იმერული ყველის მომზადებას იმ რძით, რომელშიც ჩვენ 3 ლარს ვიხდით, 10 ლიტრი რძე სჭირდება, ანუ 30-ლარიანი 10 ლ. რძისგან დამზადებულ ყველს 6 ლარად ვყიდულობთ. ეს ფოკუსი მოისპობა. ასეთ შემთხვევაში, ვზარალდებით ჩვენ — მომხმარებელი. მეწარმე, რომელიც სწორადააწყობს თავის საქმეს, ყველა შემთხვევაში, მოგებული დარჩება. ეს წარმოების კულტურის განვითარების გზაა.**

**— საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უმუშევარია. გავუძლებთ კი პროდუქტებზე ფასის მომატებას?**

— თუ სახელმწიფო ნორმალურ პოლიტიკას გაატარებს, გათვლები ექნება სწორი, ვადებს შეათანხმებს ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან, თუ ამ ყველაფერს ის ბიჭები არ ჩაუდგებიან სათავეში, რომლებიც ცდილობენ, კარიერაში პლუსები ჩაიწერონ და არ ადარდებთ, მათ უკან ვინ გაკოტრდა, მაშინ კიდევ არა გვიშავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვიცი, რა მოხდება. ამ საქმეს ხელი სპეციალისტებმა უნდა მოჰკიდონ, მათ, ვისაც ეს პროცესები ესმით.

**ქართულ ბაზარზე სომხური სტაფილო ბატონობს. ხაშურის მიდამოებში სტაფილოს წარმოების განვითარებას რა უნდა?! ეს ხომ საუკეთესო მიწაა, არსად არ მოდის ხაშურზე უკეთესი სტაფილო, სირცხვილია სომხეთიდან სტაფილოს შემოტანა. ხალხი უმუშევარია, მიწები ყველას აქვს, ხელის შემშლელი ფაქტორი არ არსებობს, უბრალოდ, საჭიროა მონდომება, რომ გაკეთდეს ერთი საწარმო, რომელიც გლეხებისგან სტაფილოს ჩაიბარებს, გაასუფთავებს, სტანდარტულ ზომებს მისცემს და თბილისის ბაზარზე შემოიტანს, როგორც დისტრიბუტორი. ვიღაცამ ეს უნდა უკარნახოს, უთხრას: ბიჭებო, გააკეთეთ წარმოება და წითელი ჭარხალი და სტაფილო სომხეთიდან შემოსატანი აღარ გექნებათო. ქვეყანა თავს ვერ იკმაყოფილებს ხახვითა და ნიორით. ე. ი. რეფორმებია გასატარებელი, ამიტომ სპეციალისტები უნდა ჩართონ.**

**— ბატონო დავით, ამბობთ, რომ ჩვენ მიერ ნაწარმოები პროდუქცია ჩვენვე არ გვყოფნის და ევროპულ ბაზარზე რას გავიტანთ?**

— საქართველო ევროპულ ბაზარზე სტაფილოს მასობრივად ვერც გაიტანს. **წინათ მესხური და გორული ვაშლი რუსეთში გადიოდა. ყველას ჰგონია, რომ ახლა ევროპაში წაიღებენ. ეს ასე არ არის. ჩვენი ვაშლი ისეთ დროს მწიფდება, რომ ევროპას უკვე თავისი ვაშლი აქვს. ჩვენი ვაშლი გამძლე კი არის, მაგრამ გაზაფხულზე ევროპას ვაშლი ახალი ზელანდიიდან და ჩილედან შეაქვს. გლეხს ასეთი რაღაცები უნდა ავუხსნათ. ქართული ვაშლი საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, სომხეთის ბაზრებზე უნდა გავიტანოთ.**

**— მაშინ რა უნდა გავიტანოთ ევროპულ ბაზარზე?**

— ვაშლის მწარმოებელმა, თუ მაინდამაინც „ჭიპი ვაშლზე აქვს მოჭრილი“, სპეციალიზაცია უნდა მოახდინოს. ხალხმა ეს პროცესები მომხმარებლის დონეზე იცის, არადა, ეს ძალიან ღრმა პროცესია, ამას სჭირდება ფიქრი.

საქართველოში გლეხს რომ ჰკითხო, შენი ძროხა რამდენს იწველისო, ვერ გიპასუხებს, არ იცის. შეიძლება, ის ევროპის ბაზარზე გაუშვა?

**დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი ევროპაში არსებული საბაზრო და სამომხმარებლო პრინციპების გასაცნობიერებლად, თუმცა ხელისუფლება ამბობს, ყველაფერს ბაზარი გაარკვევს, ჩვენ კი ხალხს კრედიტებს მივცემთო. ბაზარი არაფრის გამრკვევი არ არის. ხელისუფლება ამ საკითხს არაჯანსაღად უდგება, ჩვენ გვჭირდება რეალურად ჩამოყალიბებული მსოფლიო აგრარული გამოცდილების იმ ნაწილის გადმოტანა, რომელიც ჩვენთვის მისაღები იქნება.**

**— თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც თქვენ ამბობთ, და საქმეში სპეციალისტები ჩაერთვებიან, რამდენ წელიწადში შეიძლება წინსვლა დაგვეტყოს?**

— სოფლის მეურნეობა ისეთი სფეროა, რომ მის განვითარებას, სულ ცოტა, ხუთი წელიწადი დასჭირდება, მაგრამ **ჩვენ ისეთი რესურსი გვაქვს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, განვვითარდეთ, რა თქმა უნდა, თუ ხელისუფლების ნება იქნება. ტვინი უნდა გაანძრიონ და სერიოზულად მოეკიდონ საქმეს, მაგრამ, თუ ის იძახეს, — ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერსო, არ ვიცი, რა მოხდება.**

**არ გიკვირთ, როდესაც ამბობენ, რა სპეციალობები გვჭირდება უმაღლეს სასწავლებლებში, ამას ბაზარი გვიკარნახებსო? ამ დროს ქვეყანაში გაუქმებულია აგრონომია, ვეტერინარია, არ ვიცი, რომელმა ბაზარმა უთხრა, რომ აგრონომია და ვეტერინარია არ გვჭირდება...**

**— როგორ აჰყობთ, არიან ხელისუფლებაში ადამიანები, რომლებსაც პრობლემებთან ღირსეულად გამკლავების ამბიცია აქვთ?**

— არ მიმუშავია ამ ხალხთან და არ ვიცი, ვინ როგორია. ვიცი, რომ ქართველ ხალხში არის პოტენციალი, არიან ადამიანები, რომლებმაც იციან, როგორ უნდა წარიმართოს პროცესები, ამ ხალხს საქმე უნდა მისცენ, უნდა დაასაქმონ.

ეს პროცესები გარდაუვალია, მაგრამ უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

მოკლედ

## როდის დაიწყება ახალი სასწავლო წელი?

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრის — თამარ სანიკიძის განცხადებით, საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი 10 სექტემბრის შემდეგ პირველ ორშაბათს, ანუ 15 სექტემბერს დაიწყება.**

მინისტრმა პირველკლასელთათვის კომპიუტერების დარიგების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი ტიპის კომპიუტერები საზღვარგარეთ დამზადდა და ტექნიკა უკვე გამართულად მუშაობს.

**„ტექნიკა, რომელსაც ჩვენ შევთავაზებთ წელს პირველკლასელებს, იქნება თვისობრივად ახალი, გაუმჯობესებული. ეს არის ჩვეულებრივი კომპიუტერი, თანამედროვე, პატარა ზომის, შესაბამისი წონის. ქართული წარმოების არ იქნება, ეს იქნება ინტელის პროცესორზე აწყობილი ტექნიკა“,** — განაცხადა თამარ სანიკიძემ.

ახალი კომპიუტერები საჯარო სკოლების პირველკლასელებს უფასოდ გადაეცემათ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არწივის კლანჭმა“ შეიწირა კარტერის პრეზიდენტობა, რომელიც არჩევნებში რონალდ რეიგანთან დამარცხდა. ირანელებმა კი ამერიკელთა კატასტროფის ადგილას „მადლიერების მეჩეთი“ ააგეს, ნიშნად იმისა, რომ ღმერთმა ისლამური რესპუბლიკა აშშ-ისგან დაიცვა.




# აშშ-ის სპეცრაზმის ყველაზე სამარცხვინო მარცხი

**აშშ, როგორც ზესახელმწიფო, მიჩვეულია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სამხედრო ოპერაციების ჩატარებას — ზოგჯერ ფართომასშტაბიანის, ზოგჯერ კი გასაიდუმლოებულის, სპეცრაზმების მონაწილეობით. ამ სპეცოპერაციებიდან ბევრი წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ისეთი გამაოგნებელი ჩავარდნა, როგორიც 1980 წელს ირანის ტერიტორიაზე მოხდა, აშშ-ის სპეცსამსახურებს არასოდეს განუცდიათ. ოპერაცია „არწივის კლანჭი“ იქცა აშშ-ის ეროვნულ სირცხვილად, რომლის გახსენებასაც ყველა ამერიკელი ერიდება.**




## რევოლუციის მძევლები

1970 წლამდე ირანი დასავლეთზე ორიენტირებული მონარქია იყო. შაჰი **მოჰამედ რეზა ფეჰლევი** კულტურის სფეროს ვესტერნიზაციასაც კი ეწეოდა. ნებისმიერი ოპოზიცია აკრძალული იყო — უკმაყოფილოთა გამოსვლებს მკაცრად ახშობდნენ. 1970-იანი წლების ბოლოს ვითარება გაამწვავა ეკონომიკურმა კრიზისმა — არნახული ინფლაციისა და კორუფციის გამო რეჟიმი მომხრეებს კარგავდა.

დასავლეთის ზემოქმედებით, შაჰმა კომპრომისული ნაბიჯები გადადგა: გაათავისუფლა პოლიტპატიმართა ნაწილი და დაუშვა ოპოზიციის მოღვაწეობა. ოპოზიციის ყველაზე ძლიერ ნაწილს კი სასულიერო პირები წარმოადგენდნენ, რომლებსაც მხარს უჭერდნენ სტუდენტები და მოსახლეობის ღარიბი ფენა. 1978 წლის იანვარში ქვეყანას დემონსტრაციების ტალღამ გადაუარა, რომელიც სასტიკი მეთოდებით ჩაახშეს, თუმცა ხელისუფლების სისასტიკემ სახალხო მოძრაობის კიდევ უფრო გაძლიერება გამოიწვია. ირანის ხელისუფლებას ვერც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ უშველა და 1979 წლის დასაწყისში რეზა ფეჰლევი გაიქცა. ქვეყანაში კი დაბრუნდა **აიათოლა ჰომეინი**, რომელიც 15 წლის განმავლობაში განდევნილი იყო. რეფერენდუმის საფუძველზე ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა, ხელისუფლების სათავეში კი სასულიერო პირები მოექცნენ.

**1979 წლის 4 ნოემბერს სტუდენტების ჯგუფი თავს დაესხა აშშ-ის საელჩოს თეირანში. ახალგაზრდები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აშშ-მა ხალხის მიერ შერისხული შაჰი შეიფარა, და მის გადაცემას მოითხოვდნენ.**

ათამდე საზღვაო ქვეითმა, რომლებიც საელჩოს იცავდნენ, ბრბოსთან ვერაფერი გააწყო და შედეგად ირანელებმა 66 კაცი მძევლად აიყვანეს. მათგან 13 ქალი (აფროამერიკელები) და ერთი მძიმედ ავადმყოფი მოგვიანებით გაათავისუფლეს. ექვსმა დიპლომატმა თავი კანადის ელჩის სახლს შეაფარა და ტყვეობა აიცილა. აღსანიშნავია, რომ **ბოლო ეპიზოდი საფუძვლად დაედო „ოსკარის“ მფლობელ ფილმ „ოპერაცია „არგოს“ (რეჟისორი ბენ აფლეკი. 2012 წ.), რომელშიც მოთხრობილია, შესანიშნავად ჩატარებული სპეცოპერაციის წყალობით, როგორ დატოვა ირანი ზემოაღნიშნულმა 6 დიპლომატმა ყალბი დოკუმენტებით.**

დანარჩენი 52 მძევლის გათავისუფლებაზე ამერიკელები მხატვრული ფილმის გადაღებას მოერიდნენ, თუ რატომ, ქვემოთ შეიტყობთ.

## არწივმა კლანჭები გამოაჩინა

მძევლების გათავისუფლება დიპლომატიური მეთოდებით ვერ შეძლეს. შედეგი ვერც პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მიერ დაწესებულმა სანქციებმა მოიტანა: ამერიკის ბანკებში ირანის ანგარიშების გაყინვა და ირანის ნავთობზე ემბარგოს დაწესება ფუჭი აღმოჩნდა, ამიტომ აშშ-მა გადაწყვიტა, ჩაეტარებინა სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით „არწივის კლანჭი“.

**სპეცოპერაცია „არწივის კლანჭი“ ამერიკელებმა საელჩოში ირანელთა შეჭრისთანავე დაგეგმეს. 1979 წლის დეკემბერში საიდუმლო ბანაკში დაიწყეს სამხედრო სპეცრაზმ „დელტას“ მომზადება. უშუალოდ ადამიანების გათავისუფლებაში მონაწილეობა უნდა მიეღო მებრძოლთა სამ ჯგუფს კოდური სახელწოდებებით: „წითელი“, „ცისფერი“ (40-40 კაცი თითოეულში) და „თეთრი“ (13 სამხედრო).**

**პირველ ორ რაზმს აშშ-ის საელჩოზე უნდა მიეტანა იერიში, მესამეს — ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაზე, სადაც სამი ამერიკელი მძევალი ჰყავდათ.** სპეცრაზმელთა მოქმედებების დეტალურად დასამუშავებლად საელჩოს შენობის ზუსტი მაკეტიც (სართულებით) კი შექმნეს. მებრძოლებს საინჟინრო ნაგებობის შიგნით ფანჯრებიდან უნდა შეეღწიათ. ყველა მებრძოლი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და უხმაურო იარაღით აღჭურვილი. ქურთუკების სახელოებზე დაკერებული ჰქონდათ აშშ-ის პატარა დროშა, რომლითაც სპეცრაზმელებს თავიანთი წევრები სხვებისგან უნდა გაერჩიათ. სპეცოპერაციისთვის 45 წუთი იყო განსაზღვრული, რომლის შემდეგაც სპეცრაზმისა და მძევლების ევაკუაცია დაიწყებოდა.

მაგრამ სპეცრაზმს ჯერ თეირანამდე უნდა მიეღწია. დამუშავდა ქვეყანაში შეღწევის რამდენიმე ვარიანტი. ძირითადი პრობლემა იყო უზარმაზარი მანძილი, რომელიც მებრძოლებს უნდა გადაელახათ. ირანის დედაქალაქი აშშ-ისა და მისი პარტნიორების სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზებისგან შორს მდებარეობდა. ავტოტრანსპორტით შეღწევაზე (მაგალითთად, თურქეთიდან) კი ფიქრიც არ შეიძლებოდა — რისკი იმისა, რომ სპეცრაზმელებს ირანში შესვლამდე დააპატიმრებდნენ, ძალიან დიდი იყო.



ამიტომ სპეცოპერაციაში მთავარი როლის შესრულება ვერტმფრენებს დააკისრეს. ირანის სიღრმეში სამხედრო ძალის გადასროლა ორ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო. პირველ ღამეს ომანის კუნძულ მასირაზე (თეირანიდან დაშორებულია თითქმის ათასი კმ-ით) განლაგებული ავიაბაზიდან სამი სატრანსპორტო თვითმფრინავით (C-130 „ჰერკულესი“) ჯგუფ „დელტას“ წევრები უნდა გადაეყვანათ ირანიდან 370 კმ-ის დაშორებით, წერტილში, რომელსაც პირობითად „უდაბნო-1“ უწოდეს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იქ ბრიტანეთის აეროდრომი იყო. ამ წერტილში კიდევ სამ თვითმფრინავს მოგვიანებით საწვავი უნდა ჩაეტანა 8 ვერტმფრენისთვის (RH-53D), რომლებზეც ამოსაცნობი ნიშნები წაშლილი იყო. ეს ვერტმფრენები ავიამზიდ „ნიმიციდან“ უნდა გადმოფრენილიყვნენ. არჩევა ამ საჰაერო აპარატებისა, რომელთა დანიშნულება საზღვაო ნაღმების განადგურებაა, განპირობებული იყო მათი ტვირთამწეობის დიდი შესაძლებლობებით. გარდა ამისა, მსგავსი ვერტმფრენები ჰყავდა ირანის სამხედრო-საზღვაო ფლოტსაც და იმ შემთხვევაში, თუკი ირანელები შენიშნავდნენ, შესაძლო იყო, თავიანთ ვერტმფრენებად ჩაეთვალათ.

საწვავის დამატების შემდეგ ვერტმფრენებით სპეცრაზმი მეორე პუნქტში („უდაბნო-2“) უნდა გადაეყვანათ, თეირანთან ახლოს, თვითმფრინავები კი კუნძულ მასირას ავიაბაზაზე უნდა დაბრუნებულიყვნენ. **ამერიკელები ვარაუდობდნენ, რომ ამ ოპერაციას ირანის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ხელს ვერ შეუშლიდა, რადგან მის მოძველებულ რადარებს დაბალ სიმაღლეზე მფრენი საჰაერო აპარატების აღმოჩენა არ შეეძლო.**

სპეცრაზმს დღე თავშესაფარში უნდა გაეტარებინა, საღამოს კი ამერიკელი აგენტების მიერ მიყვანილი სატვირთო ავტომობილებით თეირანის ცენტრში უნდა წასულიყვნენ. საელჩოს შენობის შტურმი შუაღამეს უნდა დაწყებულიყო. ოპერაციის დასრულების შემდეგ კი სპეცრაზმი ვერტმფრენებს პირდაპირ შენობასთან ან ახლომდებარე სტადიონზე გამოიძახებდა. ვერტმფრენები სპეცრაზმელები და მძევლები ვერტმფრენებით გადაფრინდებოდნენ მანზარიიას მიტოვებულ აეროდრომზე, რომლებსაც მანამდე მებრძოლების სხვა ჯგუფი დაიკავებდა. იქიდან კი C-141 თვითმფრინავებით ყველა ადამიანი ეგვიპტეში უნდა გადაეყვანათ.

## პანიკა და გაქცევა

ოპერაციაში მონაწილე ადამიანებისა და ტექნიკის მხოლოდ ჩამოთვლაც კი საკმარისია, რათა მივხვდეთ, რომ გეგმა იდეალურად ვერ განხორციელდებოდა. აუცილებელი იყო მკაფიო და შეთანხმებული მოქმედება არმიის სპეცქვედანაყოფების, ფლოტისა და ავიაციისა, ადამიანური ფაქტორის სრულად გათვალისწინება კი შეუძლებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ ირანელი სამხედროების მოქმედებასა და სხვა სიურპრიზებზე, რომლებიც შეიძლება მომხდარიყო ხალხმრავალი თეირანის ცენტრში. მაგრამ **ის, რაც სინამდვილეში მოხდა, ამერიკელებს კოშმარშიც არ უნახავთ.**

სპეცოპერაცია 1980 წლის 24 აპრილის საღამოს დაიწყო. როგორც იყო ჩაფიქრებული, 6-მა სატრანსპორტო თვითმფრინავმა დაბალ სიმაღლეზე გადაუფრინა ომანის ყურეს და ირანის ტერიტორიაზე შევიდა. წერტილ „უდაბნო-1“-ში დაჯდომის შემდეგ მოულოდნელად გაირკვა, რომ ამ ტერიტორიასთან ახლოს სატრანსპორტო მაგისტრალი გადიოდა. ამერიკელი სამხედროები იძულებულნი შეიქნენ, დაეკავებინათ ავტობუსი 40 მგზავრით, მათ გათავისუფლებას გაფრენის შემდეგ აპირებდნენ. გზატკეცილზე მიმავალი ბენზინმზიდის მძღოლი კი ამერიკელთა ბრძანებას არ დაემორჩილა. მისიის გამჟღავნების შიშით, სპეცრაზმმა მანქანა ყუმბარმტყორცნებით გაანადგურა. ცეცხლის ალი ათეულობით მეტრის სიმაღლეზე ავარდა და შორიდან ჩანდა. გასაგები იყო, რომ მოულოდნელობის ეფექტის იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ. ამის კვალდაკვალ, ამერიკელებს ტექნიკამაც უღალატათ — შეკრების ადგილას მიმავალი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ვერტმფრენები ქვიშის ქარიშხალში მოყვნენ. ერთ-ერთი პილოტი დაიბნა, გზა ველარ გაიგნო და იძულებული შეიქნა, ავიამზიდზე დაბრუნებულიყო. კიდევ ერთი ვერტმფრენი, ვიდრე „უდაბნო-1“-მდე მიაღწევდა, გაფუჭდა. მესამე აპარატმა კი მიაღწია დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ ისიც გაფუჭდა. საბოლოოდ მწყობრში დარჩა 5 ვერტმფრენი, რაც საკმარისი არ იყო თეირანიდან ყველა სპეცრაზმელისა და მძევლის გამოსაყვანად.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ოპერაციის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა **ბეკვიტმა** უკანდახევის ბრძანება გასცა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამერიკელებს ყველაზე დიდი უბედურება წინ ელოდათ. **ერთ-ერთმა ვერტმფრენმა ჰაერში აფრენის შემდეგ მტვრის ღრუბლებში ორიენტაცია დაკარგა და საწვავმზიდ თვითმფრინავს შეეჯახა. მყისიერი აალებისა და შემდეგ აფეთქების შედეგად 8 პილოტი დაიღუპა. გადარჩენილი სპეცრაზმელები ვერ მიხვდნენ, რა მოხდა; იფიქრეს, რომ ირანელმა სამხედროებმა შეუტიეს და უმისამართო სროლა ატეხეს. დაიწყო პანიკა.** პილოტებმა ვერტმფრენები მიატოვეს და სატრანსპორტო თვითმფრინავებისკენ გაიქცნენ. თვითმფრინავის პილოტები კი ცდილობდნენ, საფრენი აპარატები ხანძარს გაერიდებინათ. **ამერიკული სპეცრაზმი ოპერაციის საწყისი ადგილიდან თვითმფრინავებით გაფრინდა, უდაბნოში კი დატოვა 5 გამართული ვერტმფრენი, მათთან ერთად — საიდუმლო დოკუმენტები, რუკები, უახლესი მოწყობილობები, ფული. ინსტრუქციის მიხედვით, ეს ყველაფერი უნდა გაენადგურებინათ, მაგრამ პანიკური შიშით შეპყრობილმა ამერიკელმა სპეცრაზმელებმა ირანის არმიას ჩაუგდეს ხელში.**

ამ ღამის პერიპეტიები მალე შეიტყო საზოგადოებრიობამ — მსოფლიო შემოიარა დამწვარი და მიტოვებული ტექნიკის კადრებმა. ამერიკულმა სპეცრაზმმა მრავალი წლის განმავლობაში ვერ ჩამოირეცხა სირცხვილი. ამასთანავე, აშშ-ს წაეჩხუბა ომანი, რომლის ხელისუფლებამაც არაფერი იცოდა სპეცოპერაციის შესახებ — ამერიკელებს ავიაბაზის გამოყენება აუკრძალეს.

**6 მაისს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ქვეყანაში გლოვა გამოაცხადა მფრინავების დაღუპვის გამო. მძევლები კი დიპლომატიური არხებით გაათავისუფლეს 1981 წლის 20 იანვარს — დატყვევებიდან 444 დღის შემდეგ. პოსტი ვერ შეინარჩუნა არმიის რამდენიმე მაღალჩინოსანმა, რომლებსაც პასუხისმგებლობა დაეკისრათ ოპერაციის სამარცხვინოდ ჩაფლავების გამო. „არწივის კლანჭმა“ შეიწირა კარტერის პრეზიდენტობა, რომელიც არჩევნებში რონალდ რეიგანთან დამარცხდა. ირანელებმა კი ამერიკელთა კატასტროფის ადგილას „მადლიერების მეჩეთი“ ააგეს, ნიშნად იმისა, რომ ღმერთმა ისლამური რესპუბლიკა აშშ-ისგან დაიცვა.**

**მომზადებულია უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**

„ყოველ თვე პენსიიდან 100 ლარს ვურიცხავ ანგარიშზე და კვირაში ერთხელ მირეკავს. რომ დამირეკავს ხოლმე, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ქვეყანა უკვე ჩემია. რა მოხდება, ჩვენ, 2 უპატრონო ადამიანს, ამქვეყნად ერთმანეთის მეტი არავინ რომ არ გვყავს, ეს თხოვნა შეგვისრულონ?!“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანჟელა არუთუნიანი:

# ჩემი შვილი ამერიკელების პირადი პატიმარია!




**საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს ვოვა არუთუნიანი, რომელსაც 2005 წლის 10 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტებზე, ჯორჯ ბუშსა და მიხეილ სააკაშვილზე, თავდასხმის ბრალდებით, უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი.**
**ორიოდე დღის წინათ ვოვა არუთუნიანის დედა, ანჟელა არუთუნიანი, დაგვიკავშირდა, რომელმაც თავისი გულისტკივილი გაგვიზიარა და დახმარება გვთხოვა.**
**რა საფრთხე ემუქრება პატიმარ ვოვა არუთუნიანს და რას სთხოვს ხელისუფლებას გაუბედურებული ანჟელა არუთუნიანი, ინტერვიუდან შეიტყობთ.**


ანჟელა არუთუნიანი

**«არ დაგავიწყდეთ, რომ ვოვა არუთუნიანიც უვადო პატიმარია და ყოველთვის ზის განცალკევებით. მიბრძანდით, ნახეთ ჩემი შვილიც. ნახეთ, რა საგნებს აკეთებს სანთლისგან, ოქროს ხელი აქვს, შეიძლება ასეთ კაცს ხალხი დაეხოცა?»**

**«ეს გააკეთეს ამერიკელებთან «პადხალიმობის» მიზნით. დაანახეს ამერიკელებს, — აი, როგორ გვიყვარხართ და როგორ გიცავთო. ახლა «ოცნებაც» განაგრძობს «პადხალიმობას»**

— 9 წელია, ჩემი შვილი ორთაჭალის მე-7 დაწესებულებაში, მკაცრი რეჟიმის ციხეში იხდის სასჯელს. ის სულ მარტო ზის საკანში. ვიდრე ჩემს გულისტკივილს მოგახსენებთ, შევახსენებ საზოგადოებას, რომ ეს ე. წ. ტერორისტი — ვოვა არუთუნიანი უკანონო პატიმარია, მას არანაირი ტერაქტი არ მოუწყვია. **ვოვას მიერ ხელყუმბარის სროლის ფაქტი არსად არის დაფიქსირებული და ეს ამერიკელებმაც იციან.** სააკაშვილის დაცვის უფროსის მოადგილე ამბობს, რომ ვოვას გვერდით იდგა პოლონელი ჟურნალისტი, რომელმაც მას ფოტო გადაუღო. შემდეგ ამ ჟურნალისტმა ხელისუფლებას გადასცა ეს ფოტო, რომლის საფუძველზეც ვოვა დააკავეს. ეს იყო და ეს. ის ხელყუმბარა იქ ეგდო, კაცმა არ იცის, ვინ დააგდო, მათ კი დაასკვნეს, რომ ჩემი შვილის იყო. სხვათა შორის, ეს ხელყუმბარა იყო სასწავლო დანიშნულების და, რაც მთავარია, სიძველისგან მწყობრიდან გამოსული — არ აფეთქდებოდა. იქ უამრავი თვალი და ყური ტრიალებდა, იმდენი აპარატურა იყო და რამე ხომ დაფიქსირდებოდა? არადა, არსად არაფერი დაფიქსირებულა. რაც შეეხება ჩემს პრობლემას, **ყველა უვადო პატიმარს ეკუთვნის წელიწადში ორჯერ 24-საათიანი პაემანი, თუმცა ჩვენთვის ესეც აკრძალულია. ჩვენ, როგორც დედაშვილს, 24 საათი არ გვინდა, გვინდა 5 საათი, რომ ერთად დავსხდეთ, თითო ლუკმა პური ვჭამოთ, ვისაუბროთ, მეტი არაფერი გვინდა და ამის მისაღწევად, ნახევარი წელია, დავრბივარ უშედეგოდ.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტი უარს მეუბნება. 6 წერილი მივწერე, მეუბნებიან, ამ ციხეს არ აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა, პაემანი რომ მოგიხერხოთო. კი, ბატონო, ამ ციხეს არ აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა, მაგრამ ხომ შეიძლება რუსთავის მე-6-ში ან გლდანის მე-8 საპყრობილეში გადაიყვანონ მხოლოდ პაემნისთვის, სადაც ამისთვის არის ინფრასტრუქტურა?! არა, არ შეიძლება, ეს უსაფრთხო არ იქნება ვოვა არუთუნიანისთვისო, — ასე მეუბნებიან.

**— რას ნიშნავს „უსაფრთხო არ იქნება“, რატომ?**

— არ ვიცი, რატომ. არადა, შარშანწინ პაემანი რუსთავის მე-6 საპყრობილეში მოგვიწყვეს, 5 საათი ერთად გავატარეთ, არაფერი მომხდარა, არაფერი დაგვიშავებია. სოციალურად დაუცველი ვარ, არ უნდა გადავიხადო ამ პაემანში 60 ლარი, მაგრამ გადავიხდი, ოღონდაც დაუშვან ეს პაემანი. არ შეიძლება, 5 საათი მე და ჩემი შვილი ერთად ვიყოთ, შვილს მოვეხვიო და ვუთხრა: შვილო, ძალიან მიყვარხარ-მეთქი?! ნუთუ, შვილები არ გყავთ, ნუთუ, გული არ გაქვთ? ხომ არ ვითხოვ, გამოუშვით ჩემი შვილი-მეთქი. კანონით მონიჭებული 24-საათიანი პაემნიდან 5 საათს ვითხოვ და ამაზეც უარს მეუბნებიან. ვოვაც ამას ითხოვს, იმასაც, რომ უფრო ხშირად დაურეკოს დედას, მაგრამ უარს ეუბნებიან. **ყოველ თვე პენსიიდან 100 ლარს ვურიცხავ ანგარიშზე და კვირაში ერთხელ მირეკავს. რომ დამირეკავს ხოლმე, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ქვეყანა უკვე ჩემია. რა მოხდება, ჩვენ, 2 უპატრონო ადამიანს, ამქვეყნად ერთმანეთის გარდა არავინ რომ არ გვყავს, ეს თხოვნა შეგვისრულონ?!** ხომ დაუშვეს ასეთი რამ, წელს რატომ გვეუბნებიან უარს?! ვიმეორებ: ჩვენ არაფერი დაგვიშავებია, გაუგებარია ამათი უარი. იანვრიდან ჩვენ მიმართ რაღაც შეიცვალა და რა არის ამის მიზეზი, არ ვიცი. გაუგებარია, რა საფრთხეზეა საუბარი. მესმის, ვოვა ჩვეულებრივი პატიმარი არ არის, ამერიკელების პირადი პატიმარია. ალბათ, რაღაცაშია საქმე, მეშინია... სულ ვკითხულობ, ვინმეს რამე დაგემართათ იმ დღეს, ყველა ხომ იქ იყავით, ვინმე დაშავდა, მოკვდა, დაიჭრა, პანიკა იყო-მეთქი? მსგავსი არაფერი მომხდარა. ე. ი. ეს ტერაქტი არ იყო. ან როგორ დაწერეს სიტყვა „ტერაქტი“ ვოვას განაჩენში, გაუგებარია. ტერაქტის მცდელობაც არ ყოფილა, მცდელობა რომ ყოფილიყო, სხვა საქმეა. ამ საქმის გადახედვას ვითხოვდი, ამაზეც უარი მითხრა ახალმა ხელისუფლებამ, პროკურატურამ, — ხანდაზმულია, არ განიხილებაო. არადა, უკანონო პატიმარია ჩემი შვილი, მას არაფერი დაუშავებია.

**— გქონდათ იმედი, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საქმე გადაიხედებოდა? ფიქრობთ, თქვენს შვილს რაიმე საფრთხე მართლაც ემუქრება?**

— მივრბოდი არჩევნებზე, ივანიშვილისთვის ხმა რომ მიმეცა. რა თქმა უნდა, მქონდა იმედი, მაგრამ ჩვენი **საქმე ისევ ისეა, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო, მგონი, უარესადაც.** არ ვიცი, რა ვქნა. ვფიქრობ, ჩემს შვილს საფრთხე ემუქრება და მეშინია. ბოლოს რომ ვნახე, არ მომეწონა, ცუდად გამოიყურებოდა, რაღაცაზე ნერვიულობდა. დროებით რომ გადაიყვანონ სხვა ციხეში, არ შეიძლება? რა მოხდება, რუსთავის მე-6-ში ან გლდანის მე-8-ში რომ გადაიყვანონ, სადაც უვადოები სხედან? მაგრამ არა, არ აკეთებენ ამას. **ვიმეორებ, ჩემი შვილი ამერიკელების პირადი პატიმარია. რატომ შეირჩა ჩემი შვილი? იმიტომ, რომ უპატრონოა. ვოვა 8 წლის იყო, მამა რომ მოუკვდა, მარტომ გავზარდე. იცით, რა დღეები გვაქვს გადატანილი?** მატერიალურად ძალიან გვიჭირდა. **წვალებით გაზრდილი შვილი წამართვეს, სამუდამოდ დამაშორეს არაფრის გამო.** იცით, როგორი განათლებულია ჩემი შვილი?! ასეთი განათლებული და უბოროტო ადამიანი ტერორისტად შერაცხეს. ვოვას არ სძულდა ამერიკელები, პოლიტიკაში საერთოდ არ ერეოდა, არც არავის თანამდებობა უნდოდა, არც არავის პოლიტიკის გამტარებელი ყოფილა. როგორც ყველაზე უპატრონო, ისე იქნა შერჩეული. იფიქრეს, ვერავინ დაიცავდა და პრობლემა არ შეექმნებოდათ. იმ დღეს, როგორც ყველა, ვოვაც იქ იყო. იქ ყოფნა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ბოროტება ჩაიდინა? მითხრა, დედა, იქ ვიყავიო, აღელვებისა და ნერვიულობის არაფერი ეტყობოდა. ასეთ რაღაცას თუ ჩაიდენ, ხომ შეგეშინდება? იმ ე. წ. ტერაქტის დღიდან ვოვა 4 თვეს სახლში იყო, 4 თვის შემდეგ სადარბაზოში დაიჭირეს. ბრალდებაში ჩაუწერეს ტერაქტი, მცდელობა მაინც დაეწერათ. **ეს გააკეთეს ამერიკელებთან „პადხალიმობის“ მიზნით. დაანახეს ამერიკელებს, აი, როგორ გვიყვარხართ და როგორ გიცავთო. 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, ასე იყო. ახლა „ოცნებაც“ განაგრძობს „პადხალიმობას“.**

ვოვას არაფერი ჩაუდენია, მას საქართველო არ გაუნადგურებია და არ გაუყიდია. ეკა ბესელიამ არაერთხელ ნახა უვადო პატიმრები, მაგრამ ჩემი შვილი — არა. **ქალბატონო ეკა, არ დაგავიწყდეთ, რომ ვოვა არუთუნიანიც უვადო პატიმარია და ყოველთვის ზის განცალკევებით. მიბრძანდით, ნახეთ ჩემი შვილიც. ნახეთ, რა საგნებს აკეთებს სანთლისგან, ოქროს ხელი აქვს, შეიძლება ასეთ კაცს ხალხი დაეხოცა?** ნორვეგიაში ბრეივიკმა 77 კაცი გამოასალმა სიცოცხლეს და იკითხეთ, რა პირობებში იხდის სასჯელს. ჩემმა შვილმა ვინმე მოკლა? მითხრეს, ეს სხვა ქვეყანაა, ის — სხვაო. ერთხელ ვთქვი, ჩემი შვილი პოლიტპატიმარია-მეთქი და ნანა კაკაბაძემ, — ეს კი თქვა არუთუნიანის დედამ, მაგრამ განცხადება არ აქვს დაწერილიო. არადა, არაერთხელ დავწერე. არავინ მეხმარება, არავინ! პარლამენტში გაზეთებს არ კითხულობენ, ვინმე გამომეხმაუროს მაინც. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რით დავეხმარო ჩემს შვილს.

**«საქმე ისევ ისეა, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო, მგონი, უარესადაც»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

წერილი რედაქციას

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონო ბიძინა, ბატონო ირაკლი!**
**გადახედეთ თქვენს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების წარსულს. გაარკვიეთ, რა საქმიანობით იყვნენ დაკავებული ისინი, ვიდრე მაღალ თანამდებობებზე დანიშნავდით და დარწმუნებული ვარ, თვითონ აღმოაჩენთ, რომ შს სამინისტრო სავსეა ყოფილი ზონდერებით, მკვლელებით, მწამებლებით, პროკურატურა მთლიანად ნაცმოძრაობისდროინდელი პროკურორების ხელშია, რომლებსაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი, სასამართლო სისტემას კი მთლიანად „ნაცმოძრაობა“ განაგებს. საკვირველია, როგორ ენდობა თქვენი ხელისუფლება ამ კადრებს.**



# ზურაბ ჯორბენაძე: 2011 წლის ბოლოს, დაზვერვის სამმართველოს დავალებით, შემაგზავნეს «ქართულ ოცნებაში». მოვახერხე და დავუახლოვდი არჩილ კბილაშვილს, ვუსმენდი და ვუთვალთვალებდი მას...

**პატივცემულო რედაქციავ!**

მე, ზურაბ ჯორბენაძე, ვარ ადვოკატი, რომელმაც ხელისუფლების მიერ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გამო ჩემი პროტესტი არაერთ საგაზეთო წერილსა და სატელევიზიო გამოსვლაში გამოვხატე. იმედი მაქვს, თქვენი რედაქცია დაბეჭდავს ჩემს გულისტკივილის, რომელიც მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს ჩემსავით აწუხებს. წინასწარ გიხდით მადლობას!

პატივისცემით, ზურაბ ჯორბენაძე



## ბატონო ბიძინა! ბატონო პრემიერმინისტრო!

**როცა ამ წერილს ვწერ, საკუთარ თავზე აღარ ვფიქრობ, რადგან ახლა ისეთი საფრთხის წინაშე ვდგავართ, რომ საკუთარ თავზე ფიქრი დანაშაულად მიმაჩნია. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ — სახელმწიფოს მმართველებმა და პოლიტიკოსებმა, ჩემზე კარგად იცით ამ საფრთხის რეალურობა და გამოდის, ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს ღალატობთ. და თუ არ იცით და ვერ გრძნობთ საფრთხეს, მაშინ გთხოვთ, საქართველოს შიგნით და გარეთ მიმოიხედოთ და ის რეალობა დაინახოთ, რომელიც საქართველოს გაქრობით და ქართველ ხალხს გადაშენებით ემუქრება.**

**რუსეთი არ გვაპატიებს მისი სტრატეგიული ინტერესების გაუთვალისწინებლობას და ნატოსთან დაახლოებას, რაც დასრულდება იმით, რომ რუსეთი უკვე დე იურე, რეფერენდუმის გზით, მიიერთებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, რაც ნიშნავს იმას, რომ ვერანაირი ძალით ვეღარ დავიბრუნებთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებს. ძალიან მაშინებს ამის თქმა, მაგრამ მგონია, რომ თქვენ უკვე დათანხმდით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ევროპასა და ნატოში შესვლას, რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ**

მე მძულდა „ნაციონალური მოძრაობა“, მძულდა არა იმიტომ, რომ პიროვნულად არ მომწონდა რომელიმე ადამიანი, არამედ იმიტომ, რომ ისინი არაადამიანური მეთოდებით ებრძოდნენ ყოველივე ეროვნულს, ქართულს, ტრადიციულს, ზნეობრივს, აწამებდნენ, კლავდნენ და აუბედურებდნენ საქართველოს მოქალაქეებს. მათგან გაუბედურებული ადამიანების რაოდენობამ ნახევარ მილიონს გადააჭარბა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში 330 ათასი პრობაციონერი იყო. მე ერთ-ერთი ვარ, ვინც დაუფარავად ებრძოდა იმ უსამართლობას და ტერორს, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ახორციელებდა წლების განმავლობაში საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. საკუთარი-თქო, ვამბობ, თორემ ეს ქვეყანა და ხალხი მათთვის საკუთარი არასდროს ყოფილა, რადგან ისინი საქართველოს, როგორც სამშობლოს, არ აღიქვამენ და ხალხს კი საერთოდ არაფრად თვლიან.

ბატონი ბიძინას პოლიტიკაში შემოსვლამ ძალიან დააფრთხო „ნაცმოძრაობა“ და 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე სახელმწიფო მანქანა — სოდი, კუდი და დაზვერვა, თავდაცვა და ყველა სხვა უწყება მომართული იყო ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. გარდა ამ უწყებებისა, **„ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ უამრავ დანაშაულს, აგრეთვე, აკანონებდა და ბეჭედს უსვამდა ფინანსური პოლიცია, პროკურატურის ყველა ეშელონი და სასამართლო თავისი „სახელოვანი“ უსამართლო თავმჯდომარით — კოტე კუბლაშვილით, ასევე, ზაზა მეიშვილით, ვალერი ცერცვაძითა და უამრავი უსამართლო მოსამართლით, რომელთა გვარებიც საქართველოს მოქალაქეებმა კარგად იციან. ამ უზნეობაში იყო ჩართული სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავისი მოხელეებით.**

რამდენიმე დღის წინათ ნათია მოგელაძე შემხვდა მთავარი პროკურატურის მისაღებში. ეს ის ქალბატონია, რომელიც ხელაღებით ებრძოდა „ქართულ ოცნებას“. იმ დღეს ნათია მოგელაძე თავის სტუდენტებს მიუძღოდა წინ იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩასატარებლად. რომ დამინახა, გაღიზიანდა და პროვოკატორი მეძახა. **ვაი, იმ ქვეყანას, რომელშიც ნათია მოგელაძე განსასჯელის სკამზე არ ზის ან მისი მეუღლე გ. კონდახიშვილი, რომელიც ადეიშვილის დავალებით აუბედურებდა ხალხს, ახლა ამაყად დააბიჯებს და ჭკუას გვასწავლის!** რამდენი ასეთი ფაქტი ჩამოვთვალო.

ბევრჯერ მითქვამს პრესით თუ ტელევიზიით, რომ მე არ ვარ „ქართული ოცნების“ მტერი. ბატონ ბიძინას და ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია, სიმართლე რომ არ გითხრათ, არ შემიძლია, ხალხის გულისტკივილი რომ არ მოვიტანო თქვენამდე.

**ბატონო ბიძინა,**
**ბატონო ირაკლი!**

**გადახედეთ თქვენს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების წარსულს. გაარკვიეთ, რა საქმიანობით იყვნენ დაკავებული ისინი, ვიდრე მაღალ თანამდებობებზე დანიშნავდით და დარწმუნებული ვარ, თვითონ აღმოაჩენთ, რომ შს სამინისტრო სავსეა ყოფილი ზონდერებით, მკვლელებით, მწამებლებით, პროკურატურა მთლიანად ნაცმოძრაობისდროინდელი პროკურორების ხელშია, რომლებსაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი, სასამართლო სისტემას კი მთლიანად „ნაცმოძრაობა“ განაგებს. საკვირველია, როგორ ენდობა თქვენი ხელისუფლება ამ კადრებს.**

არ მინდოდა, მაგრამ უნდა გავიხსენო: როდესაც პატიმრობიდან გამათავისუფლეს, 2010 წლის 29 ოქტომბერს, ალკვეთის ღონისძიება შემიცვალეს თანამშრომლობის ხელწერილის დაწერის შემდეგ. **გარკვეულ ხანს კუდის დავალებებს ვასრულებდი. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ, 2011 წლის ბოლოს, დაზვერვის სამმართველოს დავალებით, შემაგზავნეს „ქართულ ოცნებაში“. მოვახერხე და დავუახლოვდი არჩილ კბილაშვილს, ვუსმენდი და ვუთვალთვალებდი მას, ასევე მოვახერხე და მოვხვდი „ქართული ოცნების“ დიდუბის ოფისში, სადაც კენჭს იყრიდა ბატონი ვახტანგ ხმალაძე, ასევე ვუსმენდი და ვუთვალთვალებდი მას და აუდიო და ვიდეოჩანაწერები მიმქონდა კუდში და სადაზვერვო სამმართველოში. მაგრამ მანამდე პირადად ვესაუბრე ეკა ბესელიას და ვთხოვე, შევეხვედრებინე ბიძინა ივანიშვილთან, რომელსაც მივაწვდიდი ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას.** ასევე, რამდენიმეჯერ შევხვდი არჩილ კბილაშვილს და მასაც ვთხოვე, რომ მოეხერხებინა ჩემი შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან, რათა მისთვის სიმართლე მეთქვა. **ახლა ვხვდები, რომ მათ არ აძლევდათ ხელს ჩემი შეხვედრა ბატონ ბიძინასთან, რადგან პარტია „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ არ იყო დაფუძნებული და ჩემი შეხვედრა თავდაყირა დააყენებდა ყველაფერს, რადგან ბატონ ბიძინას ვეტყოდი, ვინ ვისთან იყო შეკრული და გარიგებული.** შემდეგ შეიქმნა „ქართული ოცნება“, რომლის I ყრილობის დელეგატიც ვიყავი და II-ისაც. მანამდე კიდევ ერთხელ ვცადე სიმართლის თქმა და სოლოლაკში, შუშის სასახლეში მოქალაქეთა მისაღებში შევიტანე განცხადება და ვითხოვე ბატონ ბიძინასთან შეხვედრა. განცხადება შევიტანე „ქართული ოცნების“ ოფისშიც. **„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისა და არჩილ კბილაშვილის მთავარ პროკურორად დანიშვნის შემდეგ, ისე, რომ არავის დაუძალებია, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, მივედი არჩილ კბილაშვილთან და, როგორც მთავარ პროკურორს, მივაწოდე ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დაიწყო გრიფით „საიდუმლო“ გამოძიება და მე გამომძიებელს მივეცი 32-ფურცლიანი ჩვენება.** მაგრამ **ახლა ვხდები, რომ არც არავის აინტერესებდა გამოძიება, ვინაიდან „კოაბიტაცია“ და დამნაშავე „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნების გადარჩენა გქონ-** ▶

# სად არის ფიროსმანის საფლავი

**„კუკიის სასაფლაოზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია საფლავის ქვა, წარწერით — „შეიწყალე, უფალო, ნიკალა!„ — ნათქვამია კულუტრის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.** სამინისტროს ინფორმაციით, ჟურნალისტმა მაია რამიშვილმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ფოლკლორისტები ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული, ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე, მწერალი კოტე ჯანდიერი და ხელოვნებათმცოდნე ეკა კიკნაძე იმ ადგილას მიიწვია, სადაც, სავარაუდოდ, ნიკო ფიროსმანის საფლავი ეგულება.

**„მაია რამიშვილის მოსაზრება გარკვეულ არგუმენტებს ეფუძნება. ჟურნალისტის მონათხრობით, ამ საფლავს დაახლოებით ერთი თვის წინათ წააწყდა კუკიის სასაფლაოზე, მშობლების საფლავების შორიახლოს. მისი ვარაუდი რამდენიმე ძალიან თვალშისაცემ ფაქტს ეყრდნობა“,** — აცხადებენ კულტურის სამინისტროში. მაია რამიშვილი გადაჭრით არ ამბობს, რომ ნიკო ფიროსმანის საფლავი აღმოაჩინა, ქვა სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ. მის თვალსაზრისს იზიარებს ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე, აგრეთვე, ცნობილი მკვლევარები — ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული.



# ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამ კიდევ უფრო გაზარდა საფრთხე, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა. ამ საფრთხეს ზრდის ისიც, რომ თურმე თქვენი ხელისუფლებაც, ისევე, როგორც „ნაცმოძრაობა“ საკუთარ ხალხს ატყუებს და უმალავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამ ხელშეკრულებით აიღეთ.

ღია წერილი რედაქციას

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თქვენმა ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო იმ ათასობით მოქალაქისა და ბიზნესმენის საჩივარი, რომლებიც წართმეული ფულის, ქონებისა და ბიზნესის დაბრუნებას ითხოვდნენ. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ საზოგადოებაში ხმები დადის, რომ თქვენი ხელისუფლების წარმომადგენლები გაურიგდნენ დამნაშავეებს, გაიყვეს მათთან ფული და ბიზნესი და ამიტომაც არ შეიცვალა არაფერი**

◀ **დათ დავალებული უცხოელი პატრონებისგან.** ამას ახლა მივხვდი, რადგან **თქვენმა ხელისუფლებამ ისე ლამაზად და უმტკივნეულოდ გადაარჩინა „ნაცმოძრაობის“ მთლიანი შემადგენლობა, რომ ვანო მერაბიშვილისა და ბაჩანა ახალაიას გასამართლება ან თუნდაც უკვე თავშესაფარმიღებული ზურაბ ადეიშვილის პასუხისგებაში მიცემა იყო ხალხის თვალში ნაცრის შეყრა, რომ არაფერი ვთქვათ სხვა უამრავ დამნაშავეზე, რომლებიც პარლამენტში გიზით, რომლებიც პროკურატურაში დატოვეთ და დააწინაურეთ, რომლებიც პოლიციაში დააწინაურეთ და რომლებიც სასამართლოში დღესაც „ნაცმოძრაობას“ ემსახურებიან.** არ გეწყინოთ, მაგრამ **თქვენმა ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო იმ ათასობით მოქალაქის საჩივარი, რომლებიც პროკურატურაში შევიდა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, თქვენმა ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო იმ ათასობით მოქალაქისა და ბიზნესმენის საჩივარი, რომლებიც წართმეული ფულის, ქონებისა და ბიზნესის დაბრუნებას ითხოვდნენ. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ საზოგადოებაში ხმები დადის, რომ თქვენი ხელისუფლების წარმომადგენლები გაურიგდნენ დამნაშავეებს, გაიყვეს მათთან ფული და ბიზნესი და ამიტომაც არ შეიცვალა არაფერი.** ძალიან გამიხარდება, თუ კი დაამტკიცებთ, რომ ეს ასე არ არის. ახლა კი ძირითად საკითხზე ვისაუბროთ, რის გამოც ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე.

**ასოცირების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. გილოცავთ!**

მინდა, მიხაროდეს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, აღარ მიხარია. რადგან ვაცნობიერებ, რომ **ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამ კიდევ უფრო გაზარდა საფრთხე, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა. ამ საფრთხეს ზრდის ისიც, რომ თურმე თქვენი ხელისუფლებაც, ისევე, როგორც „ნაცმოძრაობა“ საკუთარ ხალხს ატყუებს და უმალავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამ ხელშეკრულებით აიღეთ.** კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არ ვარ „ქართული ოცნების“ მტერი, არც არავის დავალებების შემსრულებელი. თუ დაინტერესდებით და ჩემს მდგომარეობას შეისწავლით, ნახავთ, რომ ოთხი წელიწადია, მძიმე მდგომარეობაში ვარ — ყველაფერი დაყადაღებული მაქვს და არც ჩემთვის არ აღდგენილა სამართლიანობა. მაგრამ ჩემი თავი ჯანდაბას, თქვენ ქვეყანას და ხალხს მიხედეთ.

ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილი ლონდონიდან გვმოძღვრავდა, გულზე მჯიღს ირტყამდა სიხარულით, ასოცირების ხელშეკრულება ჩემი დამსახურებააო, გულს მირევს. **სააკაშვილი თქვენს ხელისუფლებას უნდა გაესამართლებინა ყველა იმ დანაშაულისთვის, რომლებიც მან და მისმა ხელისუფლებამ ჩაიდინეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე,** მაგრამ არ გაასამართლეთ და ახლა ლონდონიდან, ამერიკიდან, კიევიდან დაგვცინის და ხელისუფლებაში დაბრუნებით იმუქრება, ხოლო **მასზე არანაკლებ დამნაშავე ადეიშვილი და კეზერაშვილი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობენ ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო საქმიანობას.** ესეც შერჩათ, ასევე შერჩათ ის მილიონობით დოლარი, რომელიც ქვეყანასა და ხალხს მოპარეს. თუ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მობრუნდა, არც თქვენ და არც თქვენი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს არაფერი გემუქრებათ, რადგან, როგორც ჩანს, თქვენც და მათაც ერთი დამრიგებლები და პატრონები გყავთ ევროპასა და ამერიკაში. ასე რომ, **თუ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მობრუნდა, თქვენი ხელისუფლების მაღალჩინოსნებსაც შერჩებათ ის ასიათასობით პრემიები, ის ასიათასიანი მანქანები და სხვა კომფორტი, რომლებიც ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში ხალხის ხარჯზე მიიღეს, მაგრამ ჩვენ რაღა ვქნათ, იმ მოქალაქეებმა რაღა ქნან, რომლებმაც ხელისუფლებაში მოგიყვანათ?** თუ მხოლოდ იმით დავკმაყოფილდეთ, რომ აღარ გვაპატიმრებთ, აღარ გვაწამებთ, აღარ გვცემთ და რუსეთის აგენტებს აღარ გვეძახით?! თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, **თქვენი ხელისუფლება უკვე აღარ მალავს, რომ „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა აუცილებელია. მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, სადამდე ველოდეთ დაპირებულ სამართლიანობის აღდგენას?!**

მაგრამ ამაზე ბოლოს გეტყვით. ახლა ისევ ასოცირების ხელშეკრულებას დავუბრუნდეთ. გარდა იმისა, რომ ეს ხელშეკრულება „ნაცმოძრაობის“ დროს ყოფილა მომზადებული, **საქართველოს მოსახლეობისთვის სრულიად უცნობია, რა ვალდებულებებზე მოაწერეთ ხელი.** ჩემი აზრით, იგი შეიცავს ორ ძირითად საფრთხეს: **ერთი წმინდა ეკონომიკურია და ბევრი კვალიფიციური ეკონომისტი დამეთანხმება, რომ ჩვენს ქვეყანას არ აქვს არც მძიმე და არც მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა კი თითქმის განადგურებულია.** ასეთ პირობებში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოიტანს უკუშედეგს — **უცხოური პროდუქცია წალეკავს ჩვენს ბაზრებს, ადგილობრივი პროდუქცია კი ჩაკვდება.** ასევე უშედეგოა ექსპორტი ჩვენი ქვეყნიდან ევროპაში, ვინაიდან **ჩვენთან წარმოებული, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქტები საერთოდ ვერ მოხვდება ევროპის ბაზრებზე, რადგან, ჯერ ერთი, ევროპულ სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებს, და მეორეც — არც ერთი ევროპული ქვეყანა არ შეუშვებს თავის ბაზარზე ჩვენთან წარმოებულ იაფ პროდუქციას.**

მეორე საფრთხე კი წმინდა პოლიტიკურია — ეს არის ევროპისა და ნატოსკენ სწრაფვის გამო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიის საბოლოოდ დაკარგვის საფრთხე. არ ვარ რუსეთის ინტერესების გამტარებელი, მაგრამ ვხედავ, რომ **რუსეთი არ გვაპატიებს მისი სტრატეგიული ინტერესების გაუთვალისწინებლობას და ნატოსთან დაახლოებას, რაც დასრულდება იმით, რომ რუსეთი უკვე დე იურე, რეფერენდუმის გზით, მიიერთებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, რაც ნიშნავს იმას, რომ ვერანაირი ძალით ვეღარ დავიბრუნებთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებს.** ძალიან მაშინებს ამის თქმა, მაგრამ **მგონია, რომ თქვენ უკვე დათანხმდით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ევროპასა და ნატოში შესვლას, რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ.** ეს კი უფრო საშიშია, რადგან რუსეთის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, **თუ ნატო და ევროპა არ დაგვეხმარება, რაც უკვე მოხდა 2008 წლის აგვისტოში, რუსეთი რამდენიმე საათში გადაგვივლის; ხოლო, თუ ნატო და ევროპა სამხედრო დახმარებას გაგვიწევს, მთელი ერი ამოწყდება ამ უთანასწორო ომში. მერე კი ჩვენს მიწაზე დასახლდებიან ჩინელები, თურქები, არაბები, ირანელები და ასოცირებული ევროპელები და ამერიკელები... ასეთი პერსპექტივა არ გვაძლევს ხელს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს, თორემ, თქვენ რა გიჭირთ, გაიქცევით საზღვარგარეთ, „ნაცმოძრაობასავით“ შეგვატოვებთ მტერს და ბაქრაძესავით ჩანგლებითა და ჯოხებით ბრძოლისკენ მოგვიწოდებთ.** მგონი, ამას მაინც ისწავლიდით „ნაცმოძრაობისგან“ ამ წელიწადნახევრიანი კოაბიტაციის პერიოდში.

ამ ყველაფერში კი სამწუხაროა ის, რომ **„ნაცმოძრაობამ“ გაიმარჯვა და ჩვენ დავმარცხდით. საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ჩვენი სამშობლო ჩვენი აღარ არის და უცხო ქვეყნის, კერძოდ, ამერიკის კარნახით იმართება. ახლა ევროპელები კი არა, უფუნქციო მონები ვართ, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში აღარაფერი გვეკითხება.**

მივმართავ ხალხს: **ჩემო თანამემამულენო, არ აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნების ბრძანებით და რა ენაზე ლაპარაკობთ, მეც ერთი თქვენნაირად გაუბედურებული კაცი ვარ, მჯერა, რომ ჩემს ქვეყანაში ბევრია ვაჟკაცი და პატრიოტი. მე შიშველი ხელებით ვაპირებ ბრძოლას ამ ყველაფრის წინააღმდეგ. ვისაც გული გერჩით, შემომიერთდით! ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტი ბრძოლა, ბრძოლა ჩვენი მომავლის გადარჩენისთვის!**

ეს იქნება ახალი მოძრაობა სახელწოდებით „ქვეყნის მსახური — დიდგორელები“. ჩვენი ბრძოლა იქნება ენის, მამულის და თვითმყოფადობის შესანარჩუნებად, ჩვენი შვილების გადასარჩენად, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად, ქვეყანაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გასავითარებლად და ხალხის დასასაქმებლად. **დამიჯერეთ, ძალა ხალხშია! თქვენ ხართ ის ძალა, რომელმაც „ნაცმოძრაობა“ უსისხლოდ მოიშორეთ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ გიღალატათ და „ნაცმოძრაობის“ კურსი გააგრძელა. დავდგეთ ფეხზე, ნუ მივცემთ ამ „კოაბიტირებულ“ კოსმოპოლიტებს ჩვენი ქვეყნის განადგურებისა და ჩვენი გადაშენების უფლებას. გვჯერა, რომ ყველაფერი გამოგვივა!**

ხელისუფლებას კი ვთხოვთ, საკუთარ ხალხს მოუსმინოს, საკუთარ ხალხს ელაპარაკოს და ახსოვდეს, რომ ხალხია ხელისუფლება. და თუ ხალხი აბობოქრდა, ძალაუფლებაც ოხრად დარჩებათ, ასიათასიანი ჯიპებიც და ასიათასიანი პრემიებიც!

მე კი, თქვენი მონა-მორჩილი, ვაცხადებ: **ამ ბრძოლაში არაფრის მეშინია, ეს ჩემთვის ბოლო ბრძოლაა — ან გავიმარჯვებ, ან მოვკვდები.** ასე რომ, ბატონო ხელისუფალნო, ნუ დაიღლებით ჩემი თვალთვალით, მოსმენით, დაპატიმრებით, მე თქვენს გასაკეთებელ საქმეს ვაკეთებ, თქვენ არ დამიტოვეთ სხვა გზა და, თუ მოკვდები, ეს ჩემთვის ღირსეული სიკვდილი იქნება.

პატივისცემით,
**ზურაბ ჯორბენაძე**

მსოფლიო



## დასაჯეს მოსამართლე, რომელმაც სადამ ჰუსეინს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა

**მებრძოლებმა დაჯგუფებისა „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფო“ დახვრიტეს მოსამართლე რაუფ რაშიდ აბდელ რახმანი, რომელმაც 2006 წელს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს.**

ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი აბდელ რახმანი ბაღდადის დატოვებას ცდილობდა, მაგრამ ექსტრემისტული დაჯგუფების წევრებმა დააკავეს. მოსამართლე ერაყის საოკუპაციო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობასა და სადამ ჰუსეინის მკვლელობაში დაადანაშაულეს.

**რახმანის დასჯის წინ ისლამისტებმა გაავრცელეს ვიდეომიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ აშშ-ის ყველა მარიონეტს ერაყში ასეთივე ბედი ელის.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„არც ნაპოლეონს, არც სხვა ვინმეს ისტორიაში არ გაუკეთებია იმდენი, რაც სტალინმა გააკეთა. რუსეთი ხომ 1917 წლის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლებოდა, მან კი ნამდვილად გარდაქმნა იგი, დააყენა გზაზე, რომლითაც ორმოცი წელი მიდიოდა და, მგონი, ახლაც მიდის; მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა. ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. ის გენიალურია კიდევ იმიტომ, რომ ბოლო მსოფლიო ომში მან მოახერხა, თავის მოკავშირეებად გაეხადა ინგლისელებიც, ამერიკელებიც, ფრანგებიც“.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი და მეცნიერები

**სტალინი საკითხზე, ღრმა ცოდნის გარეშე, აზრს არ გამოთქვამდა და არც სხვას გამოათქმევინებდა. ამიტომ იყო, რომ პოლიტბიუროზე ძალიან ბევრი მომხსენებელი გაწითლებულა და საკითხიც დღის წესრიგიდან მოხსნილა. ამბობენ, სტალინი ზებუნებრივი გონების ადამიანი იყოო, მაგრამ მისი ფენომენის შესწავლისას მტკიცდება, რომ იგი ამასთანავე ზებუნებრივი შრომისმოყვარეც გახლდათ.**

### სტალინი და ფილოსოფია

1920-იან წლებში სტალინმა, როდესაც გააფთრებით უტევდა ტროცკიზმს, როგორც მიმდინარეობას, აუცილებელ საჭიროებად ჩათვალა, შეესწავლა რაც შეიძლებოდა მეტი მასალა, რომელიც უფრო გაააქტიურებდა ბრძოლას ანტიმარქსისტული შეხედულებების დაძლევაში. ამისათვის მან ჰეგელის ნაშრომები შეარჩია.

**1925-დან 1928 წლამდე კვირაში ორჯერ სტალინთან ბინაზე მიდიოდა „კერძო მასწავლებელი“, პროფესორი იან ერნესტის ძე სტენი, რომელიც მარქს-ენგელსის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა**. სტალინს უზარმაზარი ფილოსოფიური ლიტერატურა ჰქონდა თავმოყრილი, რომლის სისტემური დამუშავება და თავის მასწავლებელთან 3 წლის განმავლობაში კამათი ქმნიდა ფილოსოფიის ცოდნის უზარმაზარ მარაგს, რომლითაც უძლეველი ხდებოდა სტალინის ლოგიკა.

### სტალინი და რადიოელექტრონიკა

სტალინი არ გახლდათ რომელიმე დარგის სპეციალისტი და აღიარებული ავტორიტეტი. მისთვის საინტერესო იყო ყველა დარგი და შეეძლო თავისი კომპეტენტური აზრის გამოთქმა. სტალინი ომის დაწყებამდე დაინტერესდა რადიოლოკაციით და გადაწყვიტა, ღრმად შეესწავლა ეს დარგი. თავისი ქსელის მეშვეობით მან დაადგინა ამ დარგში გამოჩენილი მეცნიერები, მაგრამ საბოლოოდ მაინც ავიაციის მარშალ გოლოვანოვს ენდო და ჰკითხა, ვინ იყო აქსელ ივანეს ძე ბერგი.

მარშალმა იცოდა, რას ნიშნავდა სტალინთან პიროვნების წარდგენა და რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მას, მაგრამ მან გაბედულად უპასუხა, რომ აკადემიკოსი ბერგი შესანიშნავი სპეციალსტი, ნამდვილი საბჭოთა რადიოტექნიკოსი და სანდო ადამიანი იყო.

1943 წელს სტალინმა თავის სამუშაო კაბინეტში მიიღო ბერგი. მცირე მოკითხვის შემდეგ სტალინმა მეცნიერს მიმართა:

— თქვენ დრო განუსაზღვრელი გაქვთ, ნუ აჩქარდებით, ნუ ინერვიულებთ, თუ ეწევით, მოწიეთ, როცა მოგინდებათ, ჩაი მიირთვით. ასე რომ, თქვენ დღეს ლექტორი ბრძანდებით, მე კი — თქვენი სტუდენტი. უნდა ჩამიტაროთ ლექცია თემაზე: „საბჭოთა რადიოტექნიკა დღეს და ხვალ“.

**შემდეგ ბერგი თავის მემუარებში ჩაწერს: „ჩემი მოხსენება ერთი-ერთზე სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. სტალინი კაბინეტში დადიოდა და ჩიბუხს ეწეოდა. შემდეგ მომიახლოვდა, შეჩერდა, შემომხედა. ჩიბუხი ჩატკეპნა და დაასკვნა: „ჩემი აზრით, ბერგი მართალია!“ და სწორედ კურსკის ბრძოლების დაწყების წინა დღეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა რადიოლოკაციის საბჭო, რომლის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მე დავინიშნე“.**

### ვინ გადაარჩინა დახვრეტას აკადემიკოსი რაზმინი

1930-იან წლებში უმაღლესმა სასამართლომ გაასამართლა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანა ადამიანთა ჯგუფს, რომლებსაც სამშობლოს ღალატში ედებოდათ ბრალი. სტალინმა, რომელიც სიკვდილმისჯილთა შეწყალების მასალებს გაეცნო, ცალკე გამოყო ოთხი საქმე და მათ დახვრეტა 10 წლით პატიმრობით შეეცვალათ. მათ შორის იყო **ლეონიდ კონსტანტინეს ძე რაზმინი** — აკადემიკოსი, თბოტექნიკის ცნობილი სპეციალისტი, გოელროს გეგმის ერთ-ერთი ავტორი. რაზმინმა აღიარა თავის დანაშაული და ჩადგა ქვეყნის სამსახურში. მან შექმნა უწყვეტი გამდინარობის ორთქლის ქვაბი, რომელსაც, საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ეწოდა „რაზმინის ქვაბი“. 1943 წელს ლეონიდ რაზმინი დაჯილდოვდა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით; სულ მალე კი პირველი ხარისხის სტალინური პრემიაც დაიმსახურა. რაზმინი უზრუნველყოფილი იყო ყველა სამეცნიერო და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

### აკადემქალაქი

ომის დამთავრების პირველ წელს კომპოზიტორების ქუჩის ერთ-ერთ ბინაში, სადაც **აკადემიკოსი სერგეი ვავილოვი** ცხოვრობდა, ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. „თქვენ ამხანაგი სტალინი დაგელაპარაკებათ“, — მოახსენეს მას.

ცოტა ხნის შემდეგ ყურმილში გაისმა სიტყვები: „გამარჯობა, ამხანაგო ვავილოვ! თუ შეგიძლიათ, ჩემთან მოდით, სალაპარაკო მაქვს. თუ გნებავთ, ხვალ“. მეორე დღეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი სერგეი ვავილოვი სტალინის კაბინეტშია. საუბარი მოკლე და კონკრეტულია:

— ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ დავეხმაროთ მეცნიერებს, მათ დიდი მუშაობა გასწიეს სამამულო ომის პერიოდში.

— ეს სამართლიანი იქნება, ამხანაგო სტალინ.

— ჰოდა, რით? — ეს უნდა გვითხრათ თქვენ.

— იოსებ ბესარიონის ძევ, მეცნიერები ძალიან დაიღალნენ, მივცეთ მათ საშუალება, იმუშაონ წყნარად თავიანთ სახლებში. ძალიან გთხოვთ, აუშენოთ მათ „აკადემქალაქი“ მოსკოვის შემოგარენში.



**«სტალინი – ეს სახელი საუკუნეებს გაუძლებს. ამ ადამიანის საიდუმლოებას თაობები შეისწავლიან!»**



**სტალინი არ გახლდათ რომელიმე დარგის სპეციალისტი და აღიარებული ავტორიტეტი. მისთვის საინტერესო იყო ყველა დარგი და შეეძლო თავისი კომპეტენტური აზრის გამოთქმა**

— ვეცდებით, თქვენი თხოვნა შევასრულოთ.

ცოტა ხანში მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს სამსახურში მიაკითხა არქიტექტორების ჯგუფმა. „სად ისურვებთ მოსკოვის შემოგარენში „აკადემქალაქის“ აშენებას?“ — მორიდებით ჰკითხეს მეცნიერს. ვავილოვი არქიტექტორებს მანქანაში ჩაუჯდა და მისთვის კარგად ნაცნობი ადგილისკენ გაუძღვა — იქ, სადაც მდინარე მოსკოვი მკვეთრად უხვევს, ხოლო ყურეში შესანიშნავი ტყის კორომია. აი, სწორედ აქ მიუთითა ვავილოვმა არქიტექტორებს „აკადემქალაქის“ აშენება. ეს 1946 წელს მოხდა. 1948 წელს კი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა კეთილმოწყობილი „აკადემქალაქი“ ღვაწმოსილი მეცნიერების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

### აკადემიკოს პატონის წერილი სტალინს

ლეგენდარულ ხიდმშენებელსა და შედუღების მამას, აკადემიკოს ევგენი ოსკარის ძე პატონს სამამულო ომმა 71 წლისას მოუსწრო. მხცოვანი მეცნიერი ადგილს ვერ პოულობდა, ცდილობდა, ყოფილიყო იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა სამშობლოს. მან წერილით მიმართა ადამიანს, რომლისკენაც მიპყრობილი იყო მთელი პლანეტის მოსახლეობის იმედის თვალი — ამხანაგ სტალინს:

**„ჩემი ასაკიდან გამომდინარე შეიძლება, ვერ გამოვდგე ფრონტზე, მაგრამ მე მაქვს ცოდნა და გამოცდილება; გთხოვთ, გამომიყენოთ სპეციალისტის სახით იქ, სადაც უფრო საჭირო იქნება, მინდა, ჩემი უკანასკნელი ძალა და ენერგია მოვახმარო სამშობლოს დაცვას“.**

პატონს, თავგამოდებული შრომის შედეგად, 1943 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირობა. ლეგენდარული მეცნიერი პირველი ხარისხის სტალინური პრემიის ლაურეატიც გახდა.

### სტალინი და მეტალურგია

ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი **ბარდინი**, რომელიც საბჭოთა მეტალურგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება, პირუთვნელად ლაპარაკობს სტალინის იმ დამსახურებებზე, რომლებიც მას მიუძღვის ამ მეტად რთული და შრომატევადი დარგის განვითარებაში.

„...სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგი სტალინი საბჭოთა შავი მეტალურგიის შემქმნელია. მეტალურგიის განვითარების ყველა გარდამტეხ ეტაპზე ამხანაგი სტალინი ავლენდა თავის გამჭრიახობას, სახავდა გზას, რომლითაც უნდა გვევლო. ეს გზა ზოგჯერ სარისკოდ გვეჩვენებოდა. იგი ყოველთვის უჩვეულო იყო, მაგრამ სწორი. ეს თანაბარწილად ეხება მეტალურგიული ქარხნების (და არა მხოლოდ მეტალურგიული, არამედ საავტომობილო ქარხნებისა და ელექტროსადგურების), მათი აღჭურვისა და ტერიტორიული განლაგების, აგრეთვე, მეტალურგიული წარმოების ახალი ტექნოლოგიის საკითხსაც. ზოგჯერ გვეჩვენებოდა, რომ ეს სარისკო გადაწყვეტილებები იყო, მაგრამ შემდეგ ყოველთვის მათი გენიალური უბრალოება გვხიბლავდა. ზოგჯერ გვაოცებდა ამხანაგი სტალინის სიმტკიცე და გამბედაობა. არ დაგიმალავთ, რომ ქვეყნის წინაშე დასახული დიდი ამოცანების სტალინისეული გაბედული გადაწყვეტილება ჩვენში გაურკვეველ კითხვებს ბადებდა. ამ კითხვებზე პასუხს ვიღებდით მოგვიანებით — ზოგჯერ ერთი წლის, ზოგჯერ კი რამდენიმე წლის შემდეგ. ყველა შემთხვევაში ვრწმუნდებოდით სტალინის მითითებათა სისწორეში“.

„...1937 წლის ოქტომბრის ერთ ღამეს კრემლის ჭიშკართან გამოვედი. საათმა ორის თხუთმეტი წუთი დარეკა. გრილი და ნესტიანი ღამე იყო. მთვლემარე წითელი მოედანი ლაპლაპებდა. დამცხა. შევჩერდი, რომ სული მომეთქვა და საყელო შემეხსნა. ვფიქრობდი: „როგორი გენიალური გამჭრიახობით შეარჩევს ხოლმე ამხანაგი სტალი- ▶

# 1945 წელს პოტსდამის კონფერენციაზე, როდესაც სტალინს აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა მოახსენა ატომური ბომბის გამოცდის თაობაზე, სტალინმა თითქოს არაფერი შეიმჩნია, მაგრამ საუბრის დამთავრებისთანავე კურჩატოვს დაუკავშირდა და დაავალა, ატომური იარაღის შესაქმნელად მუშაობა დაეჩქარებინა.

◀ ნი მომენტს სახელმწიფო ხომალდის საჭირო მიმართულებით შემობრუნებისთვის! როგორ გაბედულად მიჰყავს მას ქვეყანა პროგრესის გზით! ხალხის აზრის ამოცნობის როგორი უნარი შესწევს! როგორი ენერგიით, როგორი აქტიურობით გამოირჩევა ეს ადამიანი!“

**სტალინი — ეს სახელი საუკუნეებს გაუძლებს. ამ ადამიანის საიდუმლოებას თაობები შეისწავლიან“.**

## შეხვედრა ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობლებთან

ჩრდილოეთ პოლუსის წარმატებით დამპყრობელთ — **ივანე პაპანინს, პეტრე შირშოვს, ერნსტ კრენკელსა და ევგენი ფედოროვს** — არქტიკიდან დაბრუნების შემდეგ კრემლში გრანდიოზული მიღება მოუწყვეს, რომელსაც სტალინიც ესწრებოდა. აი, რას წერს ივანე პაპანინი:

„ ...რამდენიმე ხნის შემდეგ ამხანაგი სტალინი წამოდგა. ყველამ მზერა მას მიაპყრო. იგი დინჯი ნაბიჯით გაემართა მაგიდისკენ, რომელსაც ჩვენი ცოლები უსხდნენ. რაღაც ჰკითხა მათ, რაც არ გვესმოდა. ვხედავდი, როგორ მხიარულად იცინოდა ჩვენს დაბნეულ, შეცბუნებულ მეუღლეებთან საუბრისას. შემდეგ ხელი მოჰკიდა ჯერ ერთს, მერე მეორეს და ოთხივე ჩვენი მაგიდისკენ წამოიყვანა. გვთხოვა, შეგვევსო ჭიქები და ჩვენი ცოლების სადღეგრძელო წარმოთქვა.

ცოტა ხნის შემდეგ იოსებ ბესარიონის ძემ შეიტყო, რომ დარბაზში მამაჩემი იმყოფებოდა. მან ისიც მოიწვია პრეზიდიუმის მაგიდასთან და ძალზე ალერსიანად შეხვდა. შემდეგ მამაჩემის გვერდით დამაყენა (მამაჩემი არაჩვეულებრივად ჯანმაგარი მოხუცი იყო), ორივეს მხრებზე მოგვხვია ხელი და იკითხა:

— აბა, რომელია ამათგან უფროსი — მამა თუ შვილი?

შევხედე მამაჩემს და, მართლაც, ჩემი მოხუცი ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

ხშირად ვიგონებ ყველაფერს, რაც ხდებოდა კრემლში იმ არაჩვეულებრივ საღამოს! შეხვედრა ამხანაგ სტალინთან ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორც ყველაზე ამაღელვებელი, არაჩვეულებრივი მოვლენა. სტალინის უბრალოებით მოხიბლულნი ჩვენ თითქოს ვიფურჩქნებოდით, ვგრძნობდით რა რაღაც საოცარ ბუნებრიობას, კეთილგანწყობას მისი მხრიდან. გაოცებას იწვევდა მისი უნარი, დიდი და მნიშვნელოვანი საქმიდან შეუმჩნევლად გადასულიყო პატარა და ჩვეულებრივ საქმეზე და, უმძიმესი მუშაობით დაღლილს, სულითა და გულით ემხიარულა.

...შარშან ცოტა გულმა მიმტყუნა... სამუშაო კაბინეტში გულის შეტევა მომივიდა. ექიმები დაჟინებით მოითხოვდნენ, დაუყონებლივ ამელო შვებულება და მემკურნალა, მაგრამ ყური არ ვათხოვე მათ, რადგან ბევრი სამუშაო მქონდა. მხოლოდ გვიან შემოდგომაზე გავემგზავრე კისლოვოდსკში სამკურნალოდ. მაგრამ იქ მიტინგებზე მოხსენებით გამოსვლა მომიწია. გულმა ვერ გაუძლო დატვირთვას და ჩავწექი. საქმე ცუდად იყო. მხოლოდ ქაფურს მიკეთებდნენ. ექიმებმა დაკარგეს ჩემი გამოჯანმრთელების იმედი. მოსკოვიდან ჩამოფრინდნენ პროფესორები.



სერგეი ვავილოვი



იგორ კურჩატოვი

და უცებ, ღამით მოდის ამხანაგ სტალინის დეპეშა:

„ამხანაგ პაპანინს. გაუწყებთ ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 29 დეკემბრის გადაწყვეტილებას:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პაპანინს აეკრძალოს კრებებზე გამოსვლა.

2. დაევალოს სანატორიუმის დირექტორს — კოროტკოვს, დაუყონებლივ შეუზღუდოს ან საერთოდ შეუწყვიტოს პაპანინს ნარზანის აბაზანების მიღება. სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი. ცენტრალური კომიტეტის მდივანი სტალინი“.

წავიკითხე დეპეშა, გული ამიჩუყდა და ავტირდი. სტალინის მზრუნველობამ სულის სიღრმემდე შემძრა. სადღაც შორს წევს პაპანინი, ამხანაგ სტალინს კი ვახსოვარ, ზრუნავს, ჩემი მდგომარეობის შესახებ ეთათბირება ექიმებს. რა მეხსიერება და როგორი გული უნდა გქონდეს, რომ უამრავ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეებში ჩაფლული ზრუნავდე ხალხზე, ადამიანზე“.

## სტალინი და ბიოქიმია

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ბიოქიმიის საბჭოთა სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი **ალექსი ბახი** წერდა:

„ ...მე მხოლოდ ერთხელ მომიწია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მესაუბრა ამხანაგ სტალინთან. ვიცოდი, რაოდენ დატვირთული იყო იოსებ ბესარიონის ძე და მიმაჩნდა, რომ არ მქონდა მისი შეწუხების უფლება, თუ ეს უაღრესად საჭირო არ იქნებოდა. საუბარი შეეხებოდა ქიმიის ორგანიზაციის სამეცნიერო საკითხებს. ამ შემთხვევაში, მეგონა, რომ საჭირო იყო პირადად ამხანაგ სტალინის გადაწყვეტილება.

არავინ გამიფრთხილებია, ისე მივედი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ვთქვი, ვინ ვიყავი და ვითხოვე, რომ მივეღე ამხანაგ სტალინს. მიპასუხეს, იოსებ ბესარიონის ძე თათბირზეა და გთხოვათ, ხვალ დილით მოხვიდეთო.

სტალინმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში თავის კაბინეტში მიმიღო. მე მხოლოდ მაშინ გავიცანი ამხანაგი სტალინი. ცხადია, მოუთმენლად ველოდი მიღებას და ძალზე ვღელავდი.

სტალინმა გულთბილად მიმიღო. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მისმა უბრალოებამ, მე ვიტყოდი, ეპიკურმა უბრალოებამ.

ჩემს სათხოვარს ამხანაგმა სტალინმა მკაფიო პასუხი გასცა და არ შემეძლო, არ დავთანხმებოდი მის გადაწყვეტილებას. ვიდრე მე ვლაპარაკობდი, იგი ყურადღებით მისმენდა, დროდადრო კითხვებს მისვამდა. როდესაც დავასრულე, **სტალინმა დინჯად შეაჯამა ჩვენი საუბარი, მითხრა, რაში ვიყავი სწორი და აღნიშნა ჩემი პოზიციის სუსტი მხარეებიც. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ იოსებ ბესარიონის ძის გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო.**

რას შეიძლება შევადარო ამხანაგ სტალინთან საუბარი, რომელიც 45 წუთს გაგრძელდა? ჩემი ხანგრძლივი და შეხვედრებით მდიდარი ცხოვრების განმავლობაში ასეთი საუბარი არასდროს მქონია. ამის მსგავსი არაფერი მახსოვს, აზრის სიცხადის, საქმის არსში ღრმად წვდომის თვალსაზრისით! ამხანაგ სტალინთან ყოველი შეხვედრა ულრმეს კვალს ტოვებს ადამიანის ფსიქიკაზე, სულზე, მიუხედავად იმისა, როგორია მისი განვითარების დონე და რა ადგილი უკავია მას საზოგადოებაში“.

**ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი, პროფესორი დე ჯონდი თავის წიგნში „სტალინი“ წერს:**

„საჭიროდ მიმაჩნია, შეგახსენოთ, რომ ჯერ ერთი, არც საფრანგეთის რევოლუციას, **არც ნაპოლეონს, არც სხვა ვინმეს ისტორიაში არ გაუკეთებია იმდენი, რაც სტალინმა გააკეთა. რუსეთი ხომ 1917 წლის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლებოდა, მან კი ნამდვილად გარდაქმნა იგი, დააყენა გზაზე, რომლითაც ორმოცი წელი მიდიოდა და, მგონი, ახლაც მიდის.** მეორეც, მიმაჩნია, რომ **მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა. ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, უკვე არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც ალიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. ის გენიალურია კიდევ იმიტომ, რომ ბოლო მსოფლიო ომში მან მოახერხა თავის მოკავშირეებად გაეხადა ინგლისელებიც, ამერიკელებიც, ფრანგებიც.** ყველაზე დიდ შეცდომას უშვებ მაშინ, როცა ფიქრობ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაიცნობდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. **სტალინმა კი როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი აიძულა, მის მიერ დასახული მიზნებისკენ ევლოთ“.**

**«ყველაზე დიდ შეცდომას უშვებ მაშინ, როცა ფიქრობ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაიცნობდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. სტალინმა კი როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი აიძულა, მის მიერ დასახული მიზნებისკენ ევლოთ»**

## ატომური ბომბის შექმნა

იგორ ვასილის ძე კურჩატოვი 1925 წლიდან მუშაობდა ლენინგრადის ფიზიკურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, აგრეთვე, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სხვადასხვა დაწესებულებაში.

1942 წელს სხვა მეცნიერებთან ერთად კურჩატოვი შეხვდა სტალინს და დიდხანს ესაუბრა კოსმოსის ათვისების საკითხზე. დაისახა გეგმა, გამოიყო თანხები. იმავე 1942 წლის ბოლოს კურჩატოვი ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად, როგორებიც იყვნენ იოფე, **კაპიცა, სემიონოვი და ხლოპინი**, მეორედ შეხვდა სტალინს.

სტალინი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომაზე იხილავდა ატომური ბომბის შექმნის საკითხს, რომლის გამოც მთელი სამეცნიერო რესურსი კონცენტრირებული იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში, რომელსაც უშუალოდ სტალინი თავმჯდომარეობდა. საკითხის მნიშვნელობა და სიმძიმე ყველასთვის ნათელი იყო. იწყებოდა სრულიად ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — ატომის ერა.

სიტყვით გამოსული აკადემიკოსი იოფე, აღნიშნავდა რა პროექტის უდიდეს მნიშვნელობას და განხორციელების ურთულეს გზებს, აცხადებდა, რომ პროექტის განხორციელებისთვის, სულ მცირე, ათი წელი მაინც იქნებოდა საჭირო.

— არა, ამხანაგო მეცნიერებო, — მტკიცედ განუცხადა სტალინმა, — ჩვენ ამდენი დრო არ გვაქვს, უფრო ჩქარი ტემპით უნდა ვიმუშაოთ. მაგრამ, ვიდრე დროს განვსაზღვრავთ, საჭიროა, პროექტს დავუნიშნოთ ხელმძღვანელი. მე მიმაჩნია, რომ ამხანაგი იოფე შეძლებს ამ პროექტის განხორციელებას“.

იოფემ თავისი კანდიდატურა მოხსნა და ატომური პროექტის ხელმძღვანელად ამხანაგ სტალინს შესთავაზა ახალგაზრდა მეცნიერი კურჩატოვი. სტალინი დიდხანს გამომცდელად შეჰყურებდა იოფეს, შემდეგ კი თქვა, — მე ასეთ აკადემიკოსს არ ვიცნობ.

— კურჩატოვი აკადემიკოსი არ არის, ამხანაგო სტალინ, ის პროფესორია, მაგრამ დიდი იმედის მომცემი. კურჩატოვის სასარგებლოდ ასევე თავის კანდიდატურა მოხსნა კაპიცამ.

— კარგი, ამხანაგო იოფე, მაგრამ ჯერ ის აკადემიკოსად უნდა აირჩიოთ, —პირობა ჩამოართვა სტალინმა.

ცოტა ხნის შემდეგ კურჩატოვი სასწრაფოდ მოსკოვში გამოიძახეს ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ხარიტონოვი, კიკოინა და ზელდოვიჩი. სულ მალე კურჩატოვი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

1943 წლის თებერვალში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბრძანებით, შეიქმნა ლაბორატორია № 2, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა იგორ ვასილის ძე კურჩატოვი. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როდესაც სტალინგრადის მისადგომებთან ბეწვზე ეკიდა, იქნებოდა თუ არა ჩვენი ქვეყანა და იქნებოდა თუ არა თვითონ სტალინი.

**1945 წელს პოტსდამის კონფერენციაზე, როდესაც სტალინს აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა მოახსენა ატომური ბომბის გამოცდის თაობაზე, სტალინმა თითქოს არაფერი შეიმჩნია, მაგრამ საუბრის დამთავრებისთანავე კურჩატოვს დაუკავშირდა და დაავალა, ატომური იარაღის შესაქმნელად მუშაობა დაეჩქარებინა. 1946 წელს სტალინი პირადად შეხვდა კურჩატოვს და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა:**

— ყველა პირობას შეგიქმნით, გამოვნახავთ ყველა საშუალებას, ფინანსებს, მასალებს. მითხარით, რა სიძნელეებს ხვდებით მუშაობაში, რათა ერთად დავძლიოთ ისინი. ხომ არ გჭირდებათ პროექტირების ან ტექნოლოგიის ნაწილში გერმანული სამეცნიერო კვლევებიდან რამ, რაც ომს გადაურჩა.

სტალინი დაინტერესდა, როგორ უყურებდნენ კურჩატოვის მუშაობას აკადემიკოსები: ალიხანოვი, ვავილოვი, იოფე და განსაკუთრებით — კაპიცა. მან ხაზი გაუსვა პროექტის მონაწილეთა მატერიალურ და კულტურულ ცხოვრებას და კატეგორიულად მოითხოვა მათთვის საუკეთესო პირობების შექმნა.

**სტალინმა ღირსეულად დაუფასა კურჩატოვს ის, რომ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ევროპაში პირველი ბირთვული რეაქტორი (1946 წელს), პირველი ატომური ბომბი (1949 წელს), მსოფლიოში პირველი წყალბადის ბომბი (1953 წელს) და პირველი ატომური ელექტროსადგური (1954 წელს).**

აკადემიკოსი იგორ ვასილის ძე კურჩატოვი სამჯერ გახდა სოციალისტური შრომის გმირი, ოთხჯერ კი პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა.

**სტალინმა ღირსეულად დაუფასა კურჩატოვს ის, რომ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ევროპაში პირველი ბირთვული რეაქტორი (1946 წელს), პირველი ატომური ბომბი (1949 წელს), მსოფლიოში პირველი წყალბადის ბომბი (1953 წელს) და პირველი ატომური ელექტროსადგური (1954 წელს)**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ამერიკელი კონგრესმენი ობამას სასამართლოში უჩივლებს

**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი, რესპუბლიკური პარტიის წევრი ჯონ ბეინერი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს პრეზიდენტ ობამას წინააღმდეგ, — იუწყება NBC News-ი.**

ბეინერი სახელმწიფოს მეთაურს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასა და აშშ-ის კანონების დარღვევაში ადანაშაულებს. კონგრესმენი ამბობს, რომ სარჩელი არ იქნება ობამას წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების მცდელობა.

თეთრი სახლის პრესმდივნის — ჯოშ ერნესტის განცხადებით კი, რესპუბლიკელებს სარჩელის შეტანა მხოლოდ იმიტომ სურთ, რომ პრეზიდენტის პოლიტიკას არ ეთანხმებიან.



## დიკ ჩეინი: აშშ-ს 11 სექტემბრის ტერაქტზე უარესი ელის

**„აშშ-ს უახლოეს 5-6 წელიწადში ელის ტერაქტები, რომლებიც უფრო მეტ სიცოცხლეს შეიწირავს, ვიდრე 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენა“, — განაცხადა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ ORA TV-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

**„ვფიქრობ, იქნება მორიგი შეტევა და ამჯერად გაცილებით საშინელი, ვიდრე ბოლო იყო. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ვიღაცამ აშშ-ის ტერიტორიაზე ატომური მოწყობილობა რომ შემოიტანოს და ვაშინგტონთან ახლოს აამოქმედოს“, — თქვა ჩეინიმ.**



## მონაკოს ყველაზე მდიდარი ქალის მკვლელობა მისმა სიძემ შეუკვეთა

**ელენ პასტორის, მონაკოს ყველაზე მდიდარი ქალის, სიძე სიდედრის მკვლელობის შეკვეთაშია ეჭვმიტანილი. გამოძიების ვერსიით, 64 წლის ვოიცეხ იანოვსკი ქილერს 155 ათას ევროს დაჰპირდა.**

77 წლის მილიარდერ ქალს თავს ამა წლის 6 მაისს ნიცაში დაესხნენ. მისი ავტომობილი ბოროტმოქმედებმა მაშინ დაცხრილეს, როდესაც არშეს საავადმყოფოდან გამოდიოდა. ელენ პასტორი იქ ინსულტგადატანილი შვილის, 47 წლის გილდოს, მოსანახულებლად იმყოფებოდა. ქილერმა რამდენიმეჯერ გაისროლა ავტომობილის მიმართულებით, შემდეგ კი თანამზრახველთან ერთად მიიმალა. ელენ პასტორი და მისი მძღოლი, მოჰამედ დარვიში, რამდენიმე დღეში გარდაიცვალნენ.

მკვლელობის შემსრულებლები, სამართალდამცველთა ვერსიით, ქალაქ მარსელის ორი მცხოვრებია, წარმოშობით კამორის კუნძულებიდან — 31 წლის ალჰაირ ამადი და 24 წლის სამინ საიდ აჰმედი. მკვლელები შემთხვევის ადგილზე გარე თვალთვალის რამდენიმე ვიდეოკამერამ აღბეჭდა ფირზე, ერთ-ერთის დე-ენ-ემი კი სასტუმროს ნომერში იპოვეს. დანაშაულის მოტივად ქალიშვილ სილვიასთვის ფულის მიცემაზე ელენ პასტორის უარს ასახელებენ. ადრე ელენი, რომლის ქონებაც 19 მილიარდ ევროდ არის შეფასებული, ქალიშვილს ყოველთვიურად 500 ათასი ევროს დოტაციას აძლევდა. ამ ფულს კი სიძე განკარგავდა.

გამომძიებელთა თქმით, მკვლელი ჯერჯერობით უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, თუმცა მისმა თანამზრახველმა უკვე აღიარა დანაშაული. შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩენილმა იანოვსკიმ სიდედრის მკვლელობისთვის ჯილდოდ 155 ათასი დააწესა. თუმცა თანხის სრულად გადაცემა ვერ მოასწრო.

**ვოიცეხ იანოვსკი 2007 წლიდან პოლონეთის საპატიო კონსულია მონაკოში. საპატიო წოდება მას დიპლომატიურ იმუნიტეტს ანიჭებს. 2010 წელს საფრანგეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ იანოვსკის საქველმოქმედო საქმიანობისთვის ეროვნული ორდენი „დამსახურებისთვის“ გადასცა.**

# აშშ-ის ბიოლოგიური ლაბორატორიები საფრთხეს უქმნის მსოფლიოს



**ამა წლის 16 ივნისს ატლანტაში (ჯორჯიის შტატი, აშშ) აშშ-ის ბიოტერორიზმის თავიდან აცილების სახელმწიფო ლაბორატორიის 80-ზე მეტ მეცნიერსა და მოსამსახურე პერსონალს უცნაურ და ჯერ კიდევ გაურკვეველ ვითარებაში უკონტროლო კონტაქტი ჰქონდათ ციმბირის წყლულის ბაქტერიებთან და არ არის გამორიცხული, ისინი სიცოცხლისთვის ამ ძალიან სახიფათო დაავადებით დასნეულდნენ.**

**ციმბირის წყლულის ბაცილა (BACILLUS ANTHRACIS) ცხოველებისა და ადამიანის სიცოცხლისთვის ძალიან საშიში ინფექციური დაავადების გამომწვევია. ის ხასიათდება გარემო პირობებისადმი მაღალი მედეგობით, მისი სპორები წლობით ინახება, უძლებს მაღალ ტემპერატურას და სადეზინფექციო საშუალებებსაც კი.**

ციმბირის წყლულის ბაქტერიები უკვე გამოიყენეს ტერორისტული მიზნებისთვის, როგორც მასობრივი განადგურების იარაღი: 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ტერორისტებმა ციმბირის წყლულის ბაქტერიებიანი წერილები რამდენიმე მედიასაშუალების ოფისში გაგზავნეს, აგრეთვე, გაუგზავნეს აშშ-ის 2 სენატორს. შედეგად დაავადდა 17 ადამიანი, მათგან დაიღუპა 5. გამოძიებამ დაადგინა, რომ კვალი მიდიოდა ვირუსოლოგთან, რომელიც ცოტა ხნით მუშაობდა ფორტ-დეტრიკში (მერილენდის შტატი) მდებარე ინფექციური დაავადებების სამხედრო სამედიცინო ინსტიტუტში.

**სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 16 ივნისს ბაქტერიების სახიფათო გაჟონვა მოხდა ატლანტის ბიოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში, სადაც დაცვის განსაკუთრებით მკაცრ ზომებს მიმართავენ, რადგან მისი თანამშრომლები ციმბირის წყლულის ცოცხალ ბაქტერიებზე მუშაობენ!**

აღსანიშნავია, რომ **მრავალრიცხოვანი ამერიკული „სამედიცინო დაწესებულები“, რომლებიც პენტაგონის დაკვეთებს ასრულებენ და რომლებსაც ეს უწყება აფინანსებს, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში სენის გავრცელების საფრთხეს ქმნის. ეს ცენტრები, რომლებიც ბიოტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად არიან მოწოდებულნი, თვითონ წარმოადგენენ საფრთხის ახალ წყაროებს და არა მხოლოდ აშშ-ის მასშტაბით.** სუსტი კონტროლის გამო, ასეთი ლაბორატორიებიდან ფსიქიკურად გაუწონასწორებელმა და ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებულმა ადამიანებმა რამდენიმეჯერ მოიპარეს საშიში მიკრობები და ბიოტექნოლოგიები.

ოფიციალური მონაცემებით, 2006 წლისთვის მხოლოდ აშშ-ში აღრიცხული იყო 400-ზე მეტი ასეთი დაწესებულება, რომლებიც პენტაგონისა და ამერიკული სპეცსამსახურების საიდუმლო პროგრამებზე მუშაობენ. გერმანიაში კი ე.წ. ბიოლაბორატორიების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას არ ასაჯაროებენ.

**„ტერორიზმთან ბრძოლის“ ლოზუნგს ამოფარებულმა ვაშინგტონმა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების დამუშავებასთან ერთად აქტიურად დაიწყო თავდაცვის ბიოლოგიური სისტემის შექმნაც — როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.** ამჟამად **ამ პროგრამის განხორციელებაში აშშ-ის პარტნიორები არიან: უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და სომხეთი**, თუმცა თეთრი სახლი რეგულარულად აფართოებს თავდაცვის ბიოლოგიური სისტემის ზონას. სისტემაში აქტიურად არიან ჩართული **ავღანეთი, პაკისტანი, ბურუნდი, კენია, უგანდა, ინდოეთი, ერაყი, ტანზანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვ**. ამ მიზნებისთვის პენტაგონმა მხოლოდ 2012 წელს 60 მლნ დოლარი დახარჯა.




**სააგენტო «როიტერის» მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 16 ივნისს ბაქტერიების სახიფათო გაჟონვა მოხდა ატლანტის ბიოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში, სადაც დაცვის განსაკუთრებით მკაცრ ზომებს მიმართავენ, რადგან მისი თანამშრომლები ციმბირის წყლულის ცოცხალ ბაქტერიებზე მუშაობენ!**



**ზემოაღნიშნული ქვეყნების მოსახლეობა ინფორმირებული არ არის, რა საიდუმლო პროექტებს ახორციელებს მათ ტერიტორიაზე პენტაგონი. თბილისის აეროპორტთან ახლოს მდებარე ლუგარის ბიოლოგიური ლაბორატორიას ხელმძღვანელობს საქართველოს საგარეო დაზვერვის ყოფილი უფროსი ანა ჟვანია, მას კი კურატორობს ატომური, ქიმიური და თავდაცვითი პროგრამების საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ენდრიუ ვებერი.** ცნობილია ისიც, რომ ამ ლაბორატორიაში ამერიკელი სამხედროები მუშაობენ, ცდები კი მკაცრად არის გასაიდუმლოებული. უცხოურ პრესაში ხშირად იწერება ასეთი ლაბორატორიების შექმნის თაობაზე უკრაინაში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. უკრაინაში პენტაგონმა რამდენიმე ბიოლოგიური ლაბორატორია შექმნა, რომლებიც განსაკუთრებით საშიშ ორგანიზმებს იკვლევენ. ამერიკელებმა ეს ლაბორატორიები განალაგეს უკრაინის დიდ ქალაქებში: ლვოვში, ოდესაში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, ვინიცაში, ხერსონში, ლუგანსკში და, რა თქმა უნდა, ეს „ცენტრები“ მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 16 ივნისს ინციდენტი მოხდა ამ ლაბორატორიაში, სადაც კონტროლი გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე, ვთქვათ, უკრაინაში. **იმ ფონზე, რაც ახლა უკრაინაში ხდება, საფრთხე გაცილებით იმატებს, რადგან უკრაინელი ნაციონალისტებით დაკომპლექტებულ რადიკალურად განწყობილ „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლებს ხელს ვერავინ შეუშლის, თუკი ისინი მსგავსი „ცენტრების“ პროდუქციის გასაღებით დაინტერესდებიან**. ისიც აღსანიშნავია, რომ ლუგანსკი, სადაც ამერიკელებმა ბიოლოგიური კვლევების ლაბორატორია შექმნეს, არაერთხელ დაბომბეს უკრაინელმა ნაციონალისტებმა.

**აშშ, რომელსაც მსოფლიოზე ბატონობა სურს, არად დაგიდევთ 1972 წლის კონვენციის მოთხოვნებს ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ და მსოფლიოში მიკრობიოლოგიურ კვლევებზე ტოტალური კონტროლის დაწესებას ცდილობს.**

შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავალი ერთია — უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია აშშ-ის მიერ უცხო ქვეყნებში შექმნილი ყველა „ცენტრისა“ და „ლაბორატორიის“ მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, ამ „ცენტრების“ ფუნქციონირებისთვის პენტაგონისა და ქვეყნების მთავრობებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები. ამ ლაბორატორიების მუშაობაზე მსოფლიოს საზოგადოებრიობამ კონტროლი უნდა დააწესოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ და მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ბიოლოგიური იარაღის მძევალი გახდება.

**„ნოვოე ვოსტოჩნოე ობოზრენიე“**
**ru.journal-neo.org**

ცნობისათვის

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჯო ბაიდენმა ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვა ნაციონალურ კულტურაზე მაღლა დააყენა

**აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა ეროვნულ კულტურასა და სოციალურ ტრადიციებზე მაღლა უნდა დადგეს.** „მე არ მაინტერესებს, როგორი კულტურა გაქვთ თქვენ. არაადამიანურობა არაადამიანურობად რჩება, ხოლო ცრურწმენა — ცრურწმენად“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სექსუალური უმცირესობების უფლებადამცველებთან შეხვედრაზე. „ქვეყნებმა, რომლებიც არ იცავენ ელ-გე-ბე-ტე-საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებებს, „არაადამიანურობის გამო საფასური უნდა გადაიხადონ“, — მიიჩნევს ჯო ბაიდენი.

# რატომ იცავს უკრაინის პრეზიდენტს ბრიტანული კერძო სამხედრო კომპანია?

**პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო, როგორც ჩანს, უკრაინის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს არ ენდობა და საკუთარი უსაფრთხოების დაცვას ბრიტანულ კერძო სამხედრო კომპანიის წარმომადგენლებს ანდობს, თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, რომ ყველაფერი პირიქითაა — თვითონ პოროშენკოს არ ენდობიან და ამიტომ მის გარშემო ყოველთვის არიან ავტომატებით შეიარაღებული ბრიტანელი სამხედროები.**



ფოტოზე ჩანს, რომ პეტრე პოროშენკო ბელგიური ავტომატებით — P90-ებით — შეიარაღებული პირების გარემოცვაშია. ისინი ბრიტანული სამხედრო კომპანია AEGIS DEFENSE SERVICES-ის (ამ კერძო სამხედრო კომპანიაზე ჩვენი გაზეთი ორი კვირის წინათ წერდა. იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №22, 18-24 ივნისი, 2014 წ. მასალა სათაურით „6 კერძო სამხედრო კომპანია, რომლებსაც აშშ-ის ხელისუფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად იყენებს“) თანამშრომლები არიან. AEGIS — ეს არის ბრიტანული კერძო სამხედრო კომპანია, რომელიც კერძო პირებსა და ორგანიზაციებს სამხედრო პერსონალის მომსახურებას სთავაზობს. ეს ორგანიზაცია ასრულებს გაეროსა და აშშ-ის ხელისუფლების დაკვეთებს. AEGIS, რომელიც 2002 წელს დააარსა ბრიტანელმა ოფიცერმა, ფოლკლენდის ომის ვეტერანმა ტიმ სპაისერმა, მოღვაწეობს ერაყში, ავღანეთში, ბაჰრეინში, კენიასა და ნეპალში (ახლა უკვე უკრაინაშიც), სადაც ისინი აფასებენ რისკებს, იცავენ მისიებსა და ნავთობკომპანიების ინტერესებს. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა, ექსპერტთა შეფასებით, 5 ათასს აღწევს.

**2005 წელს AEGIS DEFENSE SERVICES მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა: ბრიტანულმა არხმა Channel 4-მა ეთერში გაუშვა ვიდეოკადრები, რომლებშიც ჩანდა, როგორ ესროდნენ ამ სამხედრო კომპანიის თანამშრომლები ერაყის მშვიდობიან მოსახლეობას, უფრო ზუსტად, მათ ავტომობილებს, რომლებმაც გზაზე გადაუსწრეს.**



## სტუდენტები ჰილარი კლინტონისგან ჰონორარის დაბრუნებას ითხოვენ

**ლას ვეგასის (ნევადის შტატი) უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოითხოვეს, რომ აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სიტყვით გამოსვლისთვის დაწესებული ჰონორარი — 225 ათასი ევრო, რომელიც სპონსორებმა შეაგროვეს, სასწავლო დაწესებულებას დაუბრუნოს.**

წერილში, რომელიც სტუდენტების ჯგუფმა ნიუ იორკში კლინტონების ფონდს გაუგზავნა, ნათქვამია, რომ აშშ-ის პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატი ამ თანხით, სჯობს, უნივერსიტეტს დაეხმაროს.

„მოხარული ვიქნებოდით, თუკი ვილაც შეაგროვებდა თანხას ჩვენი უნივერსიტეტისთვის, მაგრამ, თუკი ეს „ვილაც“ ერთი გამოსვლისთვის 225 ათას დოლარს იღებს, ჩვენი აზრით, მეტისმეტია. ძალიან გვინდა, რომ ქალბატონმა კლინტონმა, მისდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ფული უნივერსიტეტს დაუბრუნოს“, — განაცხადა სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა და დასძინა, რომ ამ ფულით შეიძლება 225 სტუდენტი დაკმაყოფილდეს სტიპენდიით.



## ჩინეთი მსოფლიო ბანკის ალტერნატიულ ორგანიზაციას ქმნის

**ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ პარტნიორ ქვეყნებს ერთობლივი საკრედიტო ორგანიზაციის შექმნა შესთავაზა. კაპიტალი ამ ორგანიზაციისა, რომელიც მსოფლიო ბანკის ალტერნატივად განიხილება, 100 მლრდ დოლარი იქნება.**

ჩინეთის ხელისუფლების აზრით, ალტერნატიული ორგანიზაცია იმიტომ არის საჭირო, რომ მსოფლიო ბანკი აშშ-ისა და მისი პარტნიორების დიდ გავლენას განიცდის. „ჩინეთი ხედავს, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან სარგებლის მიღება ძალიან რთულია, ამიტომ მას სურს, შექმნას საკუთარი „მსოფლიო ბანკი“, რომელსაც თვითონ გააკონტროლებს“, — განაცხადა ოფიციალური პეკინის წარმომადგენელმა.

როგორც გამოცემა Financial Times იუწყება, უკვე 22 სახელმწიფო დაინტერესდა ახალი საფინანსო ორგანიზაციით, რომლის სამუშაო სახელწოდებაა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკი.

10 ქვეყანამ უკვე გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი ჩინეთთან, ბანკის ამუშავება კი 2014 წლის ბოლოს იგეგმება.

# უკრაინელებზე ფსიქოტროპული იარაღით მოქმედებენ?

**საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინაში მოსახლეობის მასობრივი ზომბირების ფაქტები გამოვლინდა.**
**უკვე წელიწად-ნახევარია, წყალსაქაჩ სადგურებში წყლის გასაწმენდად იყენებენ ახალ გამწმენდ ნივთიერებას, რომლითაც უკრაინას ამერიკული ქიმიური კომპანიები ამარაგებენ.**



ამ კომპანიების მუშაობას მსოფლიოში ცნობილი „გრინფისის“ ეკოლოგიური პროექტების განსახორციელებლად მხარს აქტიურად უჭერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

**ახალი თაობის ქიმიური რეაქტივებით წყალს წმენდენ მინარევებისგან, არბილებენ და სასმელად ვარგისს ხდიან ქლორის გამოუყენებლად, თუმცა, გაწმენდილ წყალთან ერთად, უკრაინელებს სახლებსა და ბინებში აწვდიან ქიმიური წმენდის შედეგად დარჩენილ, ერთი შეხედვით უვნებელ „ნალექსაც“.**

**სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს „ნალექი“ მასობრივი ზომბირების ფსიქოტროპული იარაღია, რომელსაც სატელევიზიო საინფორმაციო ზემოქმედებასა და პრესაში გამოქვეყნებულ მასალებთან ერთად, უკრაინელების გონებაში კონკრეტული აზრების, მიზნებისა და მითითებების ჩასანერგავად იყენებენ.**

რეაქტივების ექსპორტის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ახალ ქიმიკატებს 2012 წლის ოქტომბრიდან იყენებენ უკრაინის შემდეგ რაიონებში: ივანო-ფრანკოვსკში, ტერნოპოლში, ლვოვში, ვინიცაში, ლუცკში, ჟიტომირში, კიევში, როვნოში, ჩერნოვცში; 2013 წლის მარტიდან — ნიკოლაევში, დნეპროპეტროვსკში, ჩერკასკში, პოლტავაში, ხარკოვში, ზაპოროჟიეში, კიროვოგრადში, ლუგანსკში, კრივოი როგში, ხერსონში, ოდესასა და დონეცკში ამ ქიმიურ ნაერთებს წყალში ისეთი უმნიშვნელო რაოდენობით ურევენ, რომ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ორგანოებს მათი პოვნა უჭირთ. ასეთი „გაწმენდილი“ სასმელი წყლით ზემოქმედების შედეგად მოსახლეობის ცნობიერი მზად არის 3-4 თვის შემდეგ მითითებების „აღქმისა და შესრულებისთვის“.

**სპეციალისტები ეჭვობენ, რომ ახალი თაობის ქიმიურ რეაქტივებს, ანუ „მასობრივი ზომბირების ფსიქოტროპულ იარაღს“ იყენებენ ამერიკული „კოკა-კოლა“ და შვეიცარიული „ნესტლე“.**

Politikus.ru

## სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს «ნალექი» მასობრივი ზომბირების ფსიქოტროპული იარაღია



## ნატოელი მეზღვაურების საქციელმა ლატვიის პარლამენტი გახლიჩა

**ლატვიის ქალაქ ვენტსპილსში ნატოს ეგიდით ჩასული დებოშირი მეზღვაურების ისტორიას უსიამოვნო გაგრძელება მოჰყვა ამ ქალაქის მერის — აივარ ლესბერგსისთვის. უცხოელთა საქციელით აღშფოთებულმა ქალაქის თავმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან იჩივლა, რის გამოც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საშიში რუსეთის აგენტის ტიტული დაიმსახურა.**

აივარ ლესბერგსის თქმით, მთვრალი მეზღვაურები ღორებივით ჭყვიტინებდნენ, შარდავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაღაზიების ვიტრინებზე, გაზონებზე დარგული ყვავილნარიდან გლეჯდნენ ყვავილებს და ჩუქნიდნენ ლატვიელ მეძავებს. ადგილობრივი მამაკაცები იძულებულნი შეიქნენ, ქალები მთვრალი უცხოელების ძალადობისგან დაეცვათ. ამით აღშფოთებულმა მერმა განაცხადა, რომ „სამხედროები იქცეოდნენ ოკუპანტებივით და არად დაგიდევდნენ ლატვიის სუვერენიტეტსა და კანონებს“.

ამის მიუხედავად, ლატვიის მმართველმა კოალიციამ ვენტსპილსის მერის განცხადებისგან თავი შორს დაიჭირა. სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაზე ქვეყნის პრემიერმინისტრმა ლაიმდოტა სტრაუიუმამ აღნიშნა, რომ მმართველი პარტიები მხარს უჭერენ ნატოს ძალების ყოფნას ლატვიის ტერიტორიაზე. თუმცა სკანდალმა, რომელმაც ვენტსპილსის მერის განცხადება გამოიწვია, ლატვიის პარლამენტი შეიძლება ორად გაყოს. ვენსტპილსის მერს კი აშფოთებს ის, რომ მთვრალმა სამხედროებმა შეიძლება ქალაქი გაანადგურონ.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ფოსტა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს**
**საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ დავით უსუფაშვილს**



## «პრესტიჟული ნომრების» მფლობელებს ახალი ნომრის აღებისას თანხის დამატება მოუწევთ

**ე .წ. პრესტიჟული, ძვირად ღირებული საავტომობილო ნომრის მფლობელებს ძველი ნიმუშის ნომრების ახლით შეცვლისას იმ სხვაობის გადახდა მოუწევთ, რომელიც ძველსა და ახალს შორის იქნება.**

ამ საკითხზე პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში ნათქვამია, რომ „ძველი სარეგისტრაციო ნომრის ახალი ნომრით შეცვლისას, ერთი წყვილი ახალი ნიმუშის სარეგისტრაციო ნომრის საფასური შეადგენს სხვაობას ახალი ნიმუშის ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის გაცემისთვის დადგენილ საფასურსა და იმ საფასურს შორის, რომელიც დადგენილი იყო შესაცვლელი, ძველი ნიმუშის ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის გაცემისთვის, თუ ახალი ნიმუშის ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის გაცემისთვის დადგენილი საფასური იმ საფასურზე მეტია, რომელიც განსაზღვრული იყო ძველი ნიმუშის ნომრისთვის“.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით, შს მინისტრის მიერ განსაზღვრული შემთხვევების გარდა, ძველი ნიმუშის ავტომობილის რეგისტრაციის ნომრებს იურიდიული ძალა 2020 წლის 1 სექტემბრამდე შეუნარჩუნდება. ამავე პერიოდამდე შენარჩუნდება მისაბმელის, სასოფლო-სამეურნეო მანქანის, სპეციალიზირებული თვითმავალი მანქანისა და მოტოციკლის აქამდე არსებული სანომრე ნიშნების იურიდიული ძალა.

ძველი ნიმუშის რეგისტრაციის ნომრის ახალი ნიმუშის რეგისტრაციის ნომრით შეცვლისა და გაცემის წესს და დამატებით პირობებს შინაგან საქმეთა მინისტრი განსაზღვრავს.

უცვლელი რჩება სახელმწიფო სანომრე ნიშნის აღებისთვის, ასევე დაკარგული ან დაზიანებული სანომრე ნიშნების აღდგენისთვის განსაზღვრული საფასური, ის კვლავ 35 ლარს შეადგენს. თუმცა მძღოლებს, რომლებიც უპირატესობას ე. წ. პრესტიჟულ ნომრებს ანიჭებენ, ასეთი სანომრე ნიშნების შეძენა უფრო ძვირი დაუჯდებათ, ვიდრე აქამდე არსებული დიზაინის პრესტიჟული ნომრებისთვის იხდიდნენ.

# რას ითხოვს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი «ქართული ოცნებისგან»?

**ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში მართლმსაჯულება ხორციელდება სასამართლოს, სახელმწიფო ბრალდებისა და ადვოკატურის ინსტიტუტის წარმომადგენელთა მეშვეობით. როგორც პროკურორის, ისე ადვოკატის დასაბუთებული არგუმენტები სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია თვით სასამართლო ხელისუფლება, რომელიც უზენაესი და დამოუკიდებელი რგოლია და არავის აქვს უფლება, ჩაერიოს მის საქმიანობაში და ზეგავლენა მოახდინოს მასზე მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. კანონი ყველა დროში კანონი უნდა იყოს და იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული ცალკეულ პირთა მხრიდან პირადი ანგარიშსწორებისთვის.**



2003 წელს ხელისუფლებაში მოსული „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების და მათთან დაახლოებული პირების: მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილის, დავით ბეჟუაშვილის, თეიმურაზ ალასანიას მითითებით საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ — ი. ოქრუაშვილი, გ. ლაცბიძე, პ. ჯაველიძე, პ. ტყეშელაშვილი (აწ. გარდაცვლილი) — ჩემ მიმართ უკანონოდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღძრა სს საქმე, რითაც დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-17 მუხლის მოთხოვნები. ასევე უხეშად დაირღვა საქ. სსს კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი, მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

**გამოგონილი, დაუსაბუთებული მოტივაციით შექმნეს სს საქმე, წამიყენეს ბრალი, რომელიც არ შეესაბამებოდა მათ მიერვე მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და გადააგზავნეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.** სს საქმეთა პალატის მოსამართლეებმა: ბ. ხიმშიაშვილმა, თ. ლალიაშვილმა, მ. ისაევმა, ა. ტყეშელაშვილმა, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებმა: ნ. ჭანიშვილმა, ტ. ზამბახიძემ, მ. ბებიაშვილმა, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მოსამართლეებმა: შ. კობერიძემ, გ. ქაჯაიამ და ნ. ქადაგიძემ უხეშად დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 82-ე მუხლის 3-ე ნაწილი და 84-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს სსს კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, მე-10 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები, მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი, 49-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილი, 503-ე მუხლის მე-2 და 508-ე მუხლის პირველი ნაწილი, ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ მე-6 და მე-13 მუხლების მოთხოვნები; დაუსაბუთებლად, უკანონოდ გამომიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი და აღმიკვეთეს თავისუფლება 6 (ექვსი) წლით.

„ნაციონალების“ რეჟიმის შეცვლის შემდგომ, როგორც ყველას, მეც გამიჩნდა იმედი, რომ შევძლებდი ჩემი პიროვნების რეაბილიტაციას და ღირსების აღდგენას. წერილობით მივმართე პრემიერმინისტრ ბ. ივანიშვილს, საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე — ე. ბესელიას, იუსტიციის მინისტრ თ. წულუკიანს და საქართველოს მთავარ პროკურორ ა. კბილაშვილს (რომელიც ჩემი ადვოკატი გახლდათ). ქ-ნი ე. ბესელია თავის მიმართვაში მთავარი პროკურატურისადმი გარკვევით მიუთითებს: ... „განცხადების შინაარსიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებულ ლ. კენჭაძის მიმართ სს საქმის გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვისას, სავარაუდოდ, დარღვეული იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება. იგი ითხოვს მის მიმართ სს საქმეზე ხელახლა გამოძიებასა და სასამართლო განხილვის ჩატარებას.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 237-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გეგზავნებათ მსჯავრდებულ ლევან კენჭაძის დედის, ქ-ნ რუსუდან კენჭაძის განცხადება, მასში მოყვანილი ფაქტების შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით!..**

მიუხედავად ამისა, ყოველგვარი მოკვლევის გარეშე პროკურატურის პასუხი „კატეგორიულად სამართლიანი“ და „დასაბუთებული“ იყო: „პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობებს, შეცვალოს სასამართლო გადაწყვეტილება და გიპასუხოთ აღნიშნულზე! შემდეგ წერილობით მივმართე ახალ პრემიერმინისტრს, ბ-ნ ი. ღარიბაშვილს (განცხ. №2650 17-01.2014 წ., 45 ფურცელი), წერილი (23.01.2014 №3300) გადაეგზავნა მთავარ პროკურატურას, დღემდე პასუხიც კი არ მიმიღია.

**ყველას უმორჩილესად გთხოვთ, დამეხმაროთ სამართლიანობის აღდგენაში. იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი თხოვნა არ დარჩება უყურადღებოდ და აღდგება სამართლიანობა. კიდევ მჯერა, რომ საქართველოს მთავრობა გარანტია საქართველოს ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების დაცვისა**

**პირადად შევხვდი სახალხო დამცველს, ბ-ნ უ. ნანუაშვილს, გადავეცი განცხადება, პასუხი არ მიმიღია.**

1978 წლიდან სამართალდამცავ ორგანოებში მსახურობის დროს მივიღე ყველა წოდება ლეიტენანტიდან — გენერლობამდე. გავლილი მაქვს ყველა თანამდებობა ოცმეთაურიდან, შსს დეპარტამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო დაცვის სპეც. სამსახურის უფროსის მოადგილისა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის თანამდებობის ჩათვლით. ვმონაწილეობდი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ვარ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. უშუალო მონაწილეობა მაქვს მიღებული 1978-2000 წლებში საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამართალდამცავ ოპერაციებში, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა თუ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებისა და დაკავების საქმეში. 1991-1992 წლებში პირადად ჩემი და გენერალ თამაზ დუმბაძის დამსახურების შედეგად დაწვასა და განადგურებას გადაურჩა რუსთაველის სახელმწიფო თეატრის შენობა. ასევე, რამდენიმე თანამდებობის პირი გადავარჩინე ფიზიკურ ლიკვიდაციას. წერილობითი მადლობა და სამახსოვრო საჩუქარი მაქვს მიღებული აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ბ-ნ ჯ. ტენეტისგან; ვარ რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტის საპატიო წევრი; პირადად ვხელმძღვანელობდი ოპერაციას, რომელსაც საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზის „ვაზნის“ გაუქმება მოჰყვა. 34-წლიანი სამსახურებრივი კარიერის განმავლობაში გამოცხადებული მაქვს 23 მადლობა, დაჯილდოებული ვარ 3 სიგელით, მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის“ და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. პირადად მაქვს მიღებული მონაწილეობა (ფიზიკური და მატერიალური) სამების ტაძრის, შავნაბადის მონასტრის, იოანე ნათლისმცემლის ტაძრის, ავჭალის მე-10 დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე წმ. ღვითისმშობლის ეკლესიის, საბურთალოს წმ. გიორგის ეკლესიის, წმ. დემეტრე თავდადებულის ეკლესიის მშენებლობებში.

**ყველას უმორჩილესად გთხოვთ, დამეხმაროთ სამართლიანობის აღდგენაში. იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი თხოვნა არ დარჩება უყურადღებოდ და აღდგება სამართლიანობა. კიდევ მჯერა, რომ საქართველოს მთავრობა გარანტია, საქართველოს ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების დაცვისა.**

გამოვხატავ განსაკუთრებულ პატივისცემასა და ბოდიშს ვუხდი შეწუხებისთვის უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს. საპატიმროში თქვენ რომ ჯვარი მაჩუქეთ, მას შემდეგ ვცდილობ, ქრისტეს გზით ვიარო. დიდი მადლობა თქვენი და რასაკვირველია, უდიდესი მადლობა უფალს, რომლის შეწევნითაც, მჯერა, სიმართლე გაიმარჯვებს.

**პატივისცემით,**

**ლევან კენჭაძე**

**P.S. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, არ გამოვრიცხავ, ჩემი „კეთილისმსურველების“ გამოხმაურებებს, ჩემი დანაშაულების გამომზეურებით. ყველას აქვს აზრის გამოხატვის უფლება. ერთს ვიტყვი მხოლოდ: თუ ჩემს რომელიმე ქმედებაში აღმოაჩენენ, რომ ვუღალატე სახელმწიფო ინტერესებს ან რომელიმე მოქალაქის კანონიერი უფლებები შევლახე და ამას დაამტკიცებენ, მზად ვარ, პასუხი ვაგო კანონის წინაშე.**

**„თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე იგი მრავალ თემას შეხებია. გრიშა ონიანი უნიჭიერესი კაცია, სახეებით აზროვნებს, საოცარი მთხრობელია.“**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბაქოში მიფუჩეჩებული სკანდალის შესახებ

**ორი სკანდალური ამბავი აგორდა საქართველოში ადგილობრივი ორგანოების არჩევნების კვალზე. ქრონოლოგიურად პირველი, რომელიც თბილისის მერობის კანდიდატის — დავით ნარმანიას ოჯახის კომპრომენტაციისთვის იყო გამიზნული, მალე ჩაიშალა არჩევნებზე გამოვლენილი წვრილ-წვრილი დარღვევების აჯაფსანდალში. რიგით მეორე, საქართველოს პარლამენტის ნაცდეპუტატების მიერ აზერბაიჯანიდან დიდი ოდენობით არადეკლარირებული დოლარის საქართველოში გადმოტანის შესახებ ისე დაგორავს ჩვენს საზოგადოებრიობაში, როგორც უფესვო ვაციწვერა ნახევრადუდაბნოში. ამ უკანასკნელის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვე უშიშროების პროფესიონალს, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება, და რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა:**

— ინფორმაცია ამ სკანდალური შემთხვევის შესახებ ინტერნეტში ამოვიკითხე და ჩემი მსჯელობაც ამ პუბლიკაციას ეფუძნება, — თქვა კომპეტენტურმა წყარომ, — ერთ-ერთი ქართული საინფორმაციო სააგენტო იუწყებოდა, რომ თითქოს ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ფანჯიკიძემ საქართველოს ელჩს აზერბაიჯანში დაავალა, აღეკვეთა დიდი რაოდენობით (მილიონამდე) აშშ დოლარის გადმოტანის მცდელობა, რომელსაც ნაცდეპუტატები აპირებდნენ და რომლის თაობაზეც მას მიღებული ჰქონდა სარწმუნო ინფორმაცია კომპეტენტური სტრუქტურიდან.

**— ჩვენი სამართალდამცავები ჩართული იყვნენ ამ საქმეში?**

— ვერ გეტყვით. ამაზე ინფორმაციაში არაფერი იყო ნათქვამი. იტყობინებოდნენ, რომ საქართველოს პარლამენტის უმცირესობის ნაცდეპუტატები — ნადირაშვილი და ჯაფარიძე გააჩერეს ბაქოს აეროპორტში, გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩინეს. აზერბაიჯანის მხარე ამის გამო განაწყენებულა და უსაყვედურებია ჩვენებისთვის.

ეს იყო და ეს. ამიტომ მხოლოდ ვერსიებზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. გამოძიებამ, თუ კი დაიწყო, მეტ-ნაკლებად რეალური სურათი უნდა შემოგვთავაზოს.

სავსებით დასაშვებია უშედეგო ჩხრეკის ვერსია, ვერაფერი რომ ვერ აღმოაჩინეს, რადგან რა დონის პროფესიონალები გვყავს თბილისში და როგორ მუშაობენ, გასაგებია.

ეს ერთი.

მეორე. გამორიცხული არ არის, რომ ფულის გადმოტანის მცდელობა მართლაც იყო — „ნაცები“ რომ ამაზე წამსვლელები არიან, თქვენმა მკითხველმა ჩემზე უკეთ იცის. ცხრა წლის განმავლობაში უზარმაზარი თანხები რომ იშოვეს უკანონო გზით, ესეც ვიცით. ამათთვის ერთი მილიონი არაფერია. საზღვარზე დიდი რაოდენობით ფულის გადმოტანა ამ ვაჟბატონებს კანონის დარღვევად არ მიაჩნიათ. მათ ცნობიერებაში მყარადაა გამჯდარი თავიანთი ყოვლისშემძლეობის, კანონზე მაღლა დგომის შეგრძნება. სამწუხაროა, რომ ამას ხელი შეუწყო ახალი ხელისუფლების ავადსახსენებელი კოაბიტაციის პოლიტიკამ, რომელმაც მაინცდამაინც „ნაცებისთვის“ იმუშავა. რამდენიც გნებავთ, იმდენი შემთხვევა შეიძლება გავიხსენოთ, როცა „ნაცებს“ კანონისთვის მიუფურთხებიათ! ეს ნაბიჯიც თავისუფლად გადადგეს, დაგეგმილად და წინასწარგანზრახვით.

შესანიშნავად აქვთ დამუშავებული მსგავსი დანაშაულის ჩადენის შემდეგ უცოდველ კრავებად თავის წარმოჩენის ვერსიები. ჩვენი საზოგადოებრიობა ამ შემთხვევაშიც მოწმე გახდა მათი გველაძუობის, როგორი მონდომებით ცდილობდნენ თავის დაძვრენას და საკუთარი დანაშაულის ისე წარმოდგენას, რომ ბაქოში მოგზაურობა თითქოს აზერბაიჯანელ კოლეგებთან აზრის გაზიარების, პოზიციების შეჯერებისთვის, არჩევნების შედეგების მათთვის გასაცნობად დასჭირდათ.

იმ პრიმიტიზმს, რომლითაც ისინი ჩვენთვის ტვინის არევას ცდილობდნენ, ამჯერად ნუ შევეხებით, ისედაც ნათელია მათი მსჯელობის ელემენტარული ალოგიკურობა და ტენდენციურობა, რომლის გაშიფვრას დიდი ძალისხმევა არასოდეს სჭირდებოდა, ამჟამად — მით უფრო. ახლაც თვალწინ მიდგას ნადირაშვილისა და ჯაფარიძის მწყაზარი სახეები, რომლებიც ყველაზე დამაჯერებელი სამხილი იყო ჩადენილი უკანონობის, იმისა, რომ კუდები დასვრილი ჰქონდათ: უხინჯოდ აწყობილი ვერსია, ყველაზე უფრო საეჭვოს.

**— რატომ მიიჩქმალა ეს სკანდალი?**

— დიახ, სწორედ ეს შეკითხვა. ვის არ აძლევდა ხელს ამ ფაქტის ძირფესვიანად გამოკვლევა? რომელი ძალები ჩაერია ამ კონფლიქტში და მიაფუჩეჩა?

**— ერთი გავრცელებული ვერსიის მიხედვით, ეს ისევ სააკაშვილის ხრიკებია, რომელსაც ბაქოში ჰყავს დიდი მეგობარი მეთიუ ბრაიზა (იგი ამჟამად აზერბაიჯანში მოღვაწეობს). მიშამ სთხოვა მეთიუს, მეთიუმ სთხოვა, ვისაც საჭიროა და — არც დოლარები ყოფილა სადმე, არც სკანდალი არავითარი. „რწყილი ახტა, დახტა და მიადგა მუხას“, — დაახლოებით ასე იყოო.**

— მეთიუ როცა გავიცანი, იგი სახელმწიფო დეპარტამენტის ჩვეულებრივი, საშუალო დონის მოხელე იყო, ძალიან შეზღუდული ინტელექტით. ახლა „დიდი მოღვაწეა“. სააკაშვილთან დაახლოების შედეგად ერთმა მეორე გაზარდა, მეორემ — პირველი. რა ნიადაგზე მოხდა ასეთი მეტამორფოზა, ცნობილია: ეს ბრაიზაც და სენატორი მაკკეინიც სააკაშვილის ბაგიდან რომ იკვებებოდნენ, ამას მტკიცება არ სჭირდება. ეს გობი დღესაც დგას. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, სააკაშვილის ნაპატივები ადამიანები ამ საქმეში თუ ჩაერივნენ.

**— საბაჟოზე მომხდარ კონფლიქტს დავუბრუნდეთ, თუ შეიძლება.**

— მილიონამდე არადეკლარირებული დოლარის საზღვარზე გადატანა, შეუძლებელია, არ დაფიქსირდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოჰქონდა ვიღაცას, ვისაც დიპლომატიური პასპორტი ჰქონდა და არ ექვემდებარებოდა შემოწმებასა და ჩხრეკას. არც გაუჩხრეკიათ. მაგრამ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მარტივად შეიძლება დამალული დოლარების აღმოჩენა. ბარგში, ჩანთაში შენახული დოლარი რეკავს, როცა ამ ბარგსა თუ ჩანთას შესამოწმებელ აპარატურაში გაატარებენ. მარტივი პროცედურაა. სკანერის ეკრანზეც აისახება. მოკლედ, არ დაიმალება.

**— მაშ რა მოხდა?**

— ელემენტარული გარიგება მოხდა. ჩააჩუმეს ეს სკანდალი.

მაგრამ თუ ეს ამბავი ტყუილად ააგორეს, აშკარა ხდება, რომ ჩვენი შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობას დილეტანტები წარმართავენ.

**— ოთხი საათის განმავლობაში ბაქოს აეროპორტში დაკავებულები რომ ჰყავდათ ორი ნაცდეპუტატი ტყუილუბრალოდ?**

— ეს ნიშნავს, რომ მიმდინარეობდა ერთგვარი ჭიდაობა და საქმის ჩაწყობა. სავსებით შესაძლებელია, რომ აღმოუჩინეს დოლარების მასა. „ნაცებმა“ დაიწყეს რეკვა იქით-აქეთ — გვიშველეთ, დაგვეხმარეთო. ჩართეს „ნაცების“ „უმაღლესი ეშელონი“ — ყოფილი და დღევანდელი. ამას დრო დასჭირდა.

ბინძური საქმეა.

საქმე ჩაიფარცხა, მაგრამ ამ წინადადების ბოლოს პუნქტუაციის რომელი ნიშანი უნდა დავსვათ, ესაა გასარკვევი: კითხვის ნიშანი, ძახილის თუ კითხვით-ძახილის ერთად?

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. მე რა? მე არავინ არაფერს მეკითხება, რადგან „ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის, არაფერი ვიცი და არც მსურს ვიცოდე“. ასე ვფიქრობთ ჩვენ — ობივატელები.**

# შეხვედრა მკითხველთან

**საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის — გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდის პრეზენტაცია (რაც თავისთავად უნიკალური ფაქტია) სხვაგან სად, თუ არა სვანურ კოშკში უნდა გამართულიყო. რატომ?**
**იმიტომ, რომ სწორედ სვანეთის სიმაღლეებიდან ფართოდ იშლება და კარგად ჩანს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანი პანორამა, ხოლო გაზეთი, რომლის გვერდზეც ეს თვალსაწიერი გრიგოლ ონიანის წერილებით განსახიერდება „საქართველო და მსოფლიოა“. ორგანული შერწყმაა.**



ამაზე ილაპარაკეს, უწინარეს ყოვლისა, პრეზენტაციაზე გამოსულმა ორატორებმა, მოღვაწე ადამიანებმა, რომლებიც იმდენად არიან ცნობილნი ფართო საზოგადოებრიობისთვის, რომ მხოლოდ სახელებითა და გვარებით მოხსენიება, სამეცნიერო წოდებების, თანამდებობების თუ ტიტულების ჩამოთვლის გარეშეც საცნაურს გახდის თითოეულ მათგანს ჩვენი მკითხველებისთვის.

რადგან მათ შექმნეს საქართველოს ისტორია და დღესაც ღირსეულად ეწევიან ქვეყნის ყოველდღიურობის მძიმე ჭაპანს.

თუნდაც უახლესი ისტორია, რომელიც, აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, გრძელდება — ორი ასწლეულის პლანეტარული მოვლენებით აღნიშნული 50 წელიწადი. ცოტა მეტიც.

**როინ მეტრეველი, ნუგზარ ფოფხაძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, რამაზ ხეცურიანი, დემურ მიქაძე, ანზორ ბურჯანაძე, ივერ ჭელიძე, გრიგოლ ონიანი.**

ამ უკანასკნელით დავიწყებ:

— დიდი ხანია, ვთანამშრომლობ ბეჭდურ და ელექტრონულ პრესასთან. მაგრამ ის თავისუფლება, ის შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც აქ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი თოდუამ შექმნა, არსად შემხვედრია.

ამიტომ გადაწყვიტა და მიილო კიდეც თანხმობა „შეზღუდვის გარეშე“ გაზეთში თანამშრომლობის თაობაზე.

სათქმელი და სალაპარაკო უამრავი დაუგროვდა. მრავალთემიანობაც აქედანაა, ფართო დიაპაზონიც საკითხების მდიდარი წყების. ამ ყველაფერს, ონიანისეულ თვალთახედვაში გარდატეხილს, იხილავს მკითხველი ბატონი გრიშას სპეცგვერდებში.

სწორედ ამ თავისებურებას გაუსვა ხაზი **როინ მეტრეველმა**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა: „თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე იგი მრავალ თემას შეხებია. გრიშა ონიანი უნიჭიერესი კაცია, სახეებით აზროვნებს, საოცარი მთხრობელია. „საქართველო და მსოფლიომ“ მას თავისი გვერდები დაუთმო, იმედი გამოვთქვათ, რომ აქ გამოქვეყნდება ისეთივე საინტერესო მასალები, როგორიც პირველი პუბლიკაციები იყო და იგი მხოლოდ სტალინის თემატიკით არ შემოიფარგლება“.

გრიშა ონიანი ისეთივე მართალი კაცია, როგორც მისი წერილები, — თქვა საქართველოს პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა **ივერ ჭელიძემ**, — დღეს, როცა იგი ღირსეულ ასაკში შევიდა, ისეთ თემატიკას მოჰკიდა ხელი, რომელიც ასე ღრმად და ყოველმხრივ არავის დაუმუშავებია და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა. ინტერესი დიდია.

— სტალინმა 50 წლით მაინც გააჩერა ის შემოტევა, რომელსაც გარყვნილება ჰქვია და რომლის ჩვენთვის თავზე მოხვევა სურთ, — ეს უკვე **დავით მხეიძეა**, ჟურნალისტი, გამოცდილი და უშიშარი მეკალმე, — ღმერთის უარყოფამდე მივიდნენ ნეოლიბერალები, როცა ერთსქესიანთა ქორწინებაზე და ამ უბედურთა გალაღებაზეა ლაპარაკი... მიხარია, რომ დღეს, სიბერის დადგომამდე მოვეგე გონს, გავიგე, ვინ არის სტალინი და ვიქნები მისი დამცველი, უწინარეს ყოვლისა, როგორც ქართველის.

აკადემიკოსმა **ნაპოლეონ ქარქაშაძემ**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც რამდენიმე პოლიტიკური რომანის ავტორია, მათ შორის, წიგნისა „სტალინი“, ილაპარაკა ბატონ გრიშაზე, როგორც მეგობარზე, ნიჭიერ კაცზე, წიგნიერ ადამიანზე, ერისკაცზე, მოღვაწეზე, რომელსაც ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული.

ერთმანეთს შორისაც იყო აზრთა გაზიარება და გულით ნათქვამ ყველა სიტყვაში სხვადასხვა ვარიაციით მეორდებოდა ისეთი შეფასებები, რომელთა ერთი ნაწილი ზემოთ წარმოგიდგინეთ.

პატარა ნოველები ღირსეულ კაცზე — გრიგოლ ონიანზე, რომლებიც იქ მოვისმინეთ, ნუგზარ ფოფხაძემ, ამ პრეზენტაციის წამყვანმა, ერთ ზეპირ წიგნად შეკრა, გამოცემად, რომელიც, ვერსად ველარ გამეორდება.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ გრიგოლ ონიანის სტატიას „სტალინი და მეცნიერება“.**


გენერალისიმუსის პორტრეტისთვის


გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წლის მარტში ჩინეთი შეძრა კუნიმინეს ვაგზალზე მომხდარმა ჟლეტამ. დანებით შეიარაღებული დამნაშავეთა ჯგუფი, რომლის ყველა წევრი შავებში იყო გამოწყობილი, მოსაცდელ დარბაზსა და სალაროებთან მყოფ ადამიანებს დაესხა თავს. შედეგი — 29 მოკლული და 143 დაჭრილი.**



# დიდი ანტიტერორისტული კედელი

**ტერორიზმი ჩინეთისათვის სერიოზული პრობლემა ხდება. მუსულმანი ექსტრემისტების შეტევები ხშირდება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება რადიკალებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებებს ეძებს, მაგრამ მათ მიერ მიღებული ყველა ზომა ეფექტური არ არის, ზოგიერთი კომიკურადაც კი გამოიყურება, ტერორიზმთან ბრძოლაში დაზარალებულებს შორის მშვიდობიანი მოქალაქეებიც არიან.**



25 მაისს ჩინეთის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლიური ოპერატიული კამპანიის დაწყების თაობაზე. ბრძოლის მთავარ ველად გამოცხადდა სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონი, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრ ურუმჩიში სამი დღით ადრე მორიგ ტერაქტს ჰქონდა ადგილი.

დილით, როდესაც მოძრაობა განსაკუთრებით ინტენსიურია, ორი ავტომანქანა ქალაქის ერთ-ერთი პარკის მახლობლად მდებარე ბაზარში შევარდა. ამის შემდეგ ბოროტმოქმედები ხალხს თვითნაკეთ ბომბებს ესროდნენ, ერთ-ერთი ავტომანქანა აფეთქდა. ოფიციალური მონაცემებით, მოკლეს 39 ადამიანი, 90-ზე მეტი კი დაიჭრა. ოთხი ექსტრემისტი ადგილზე დაიღუპა, ერთი ცხელ კვალზე დააკავა პოლიციამ. მოგვიანებით სამართალდამცავი ორგანოები იტყობინებოდნენ, რომ ხუთივე ტერორისტი დიდი ხნის მანძილზე იყო რელიგიური ექსტრემიზმის გავლენის ქვეშ. გასული წლის ბოლოს მათ ჩამოაყალიბეს საბრძოლო ჯგუფი და დაიწყეს აქციისთვის მზადება — შეიძინეს ასაფეთქებელი ნივთიერებები და ავტომანქანები.

## სინძიანის ექსტრემისტული იატაკქვეშეთი

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განხორციელდა ტერაქტების მთელი სერია, რომელსაც ხელისუფლება ისლამისტი ფუნდამენტალისტების მოღვაწეობას უკავშირებს. 2013 წლის ოქტომბერში რადიკალებმა დარტყმა განახორციელეს პეკინის შუაგულში — ტიანანიმენის მოედანზე. იმ დღეს სამი თვითმკვლელი ტერორისტი ჯიპით ტურისტების ბრბოში შევარდა. შეჯახების შემდეგ ჯიპი აალდა და აფეთქდა. შედეგად ორი გამვლელი და ავტომანქანაში მსხდომნი დაიხოცნენ, 40 ადამიანი დაიჭრა.

**2014 წლის მარტში ჩინეთი შეძრა კუნიმინეს ვაგზალზე მომხდარმა ჟლეტამ. დანებით შეიარაღებული დამნაშავეთა ჯგუფი, რომლის ყველა წევრი შავებში იყო გამოწყობილი, მოსაცდელ დარბაზსა და სალაროებთან მყოფ ადამიანებს დაესხა თავს. შედეგი — 29 მოკლული და 143 დაჭრილი.**

30 აპრილს ექსტრემისტების სამიზნედ იქცა ურუმჩის სარკინიგზო ვაგზალი. აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი მგზავრი და ორი თავდამსხმელი, 80-მდე მოქალაქემ სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობა მიიღო. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ანალოგიური ტრაგედია მოხდა გუანჩჟოუს ვაგზალზე, სადაც უცნობმა პირებმა დანით დაჭრეს ექვსი ადამიანი.

მცირე შესვენების შემდეგ ურუმჩის ქუჩებში კვლავ დაბრუნდა ტერორიზმის საშინელება, ამჯერად — ქალაქის ბაზრის რაიონში. ურუმჩიში რადიკალების გამოხდომები განსაკუთრებით თავხედურად გამოიყურებოდა, რადგან სინძიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის საინსპექციო ჩასვლიდან მალევე განხორციელდა. მაშინ სახელმწიფოს მეთაურმა სამართალდამცავი სისტემისგან მოითხოვა, „გამანადგურებელი დარტყმა“ მიეყენებინათ ექსტრემიზმისა და ტერორიზმისთვის. ამის შემდეგ ურუმჩიში ხანმოკლე პერიოდის მანძილზე ორი მსხვილი ინციდენტი მოხდა, რომელიც სინძიანში ექსტრემისტული იატაკქვეშეთის კარგ ორგანიზებულობასა და მომზადებაზე მიანიშნებს.

## სისტემა „ვეივენი“

მზად არის კი ხელისუფლება გადამწყვეტი ზომებისთვის? **ჩინეთის ძალოვან სტრუქტურებს ტექნიკური შესაძლებლობები საკმარისად აქვს. დიდი ხანია, შიდა უსაფრთხოება ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.** 2011-2013 წლებში ქვეყანაში სტაბილურობის მხარდაჭერის ასიგნირება სტაბილურად აჭარბებდა თავდაცვის საჭიროებათა ხარჯებს. მიმდინარე წელი პირველია, როდესაც ხელისუფლებამ ღიად გამოაცხადა მხოლოდ თანხა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტიდან შიდა უსაფრთხოებისთვის გამოიყოფა — 205 მილიარდი იუანი (33,3 მილიარდი დოლარი). აქ ადგილი აქვს ფაქტების გარკვეულ დამახინჯებას, რადგან არ არის გათვალისწინებული პროვინციული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ხარჯები. ცნობისათვის: შარშან „სტაბილურობის გამყარების“ მიზნით 769,1 მილიარდი იუანი (130 მილიარდი დოლარი) გამოიყო. ცხადია, არც წელს გამოიყო ნაკლები.

სისტემა „ვეიბენი“ (ასე ჟღერს ჩინურად ლოზუნგი „სტაბილურობის მხარდაჭერა“), გარდა სამართალდამცავი ორგანოებისა, მოიცავს აქტივისტების მრავალრიცხოვან არმიას — პოლიციელების მოხალისე თანაშემწეებს, მცველებსა და ტაქსის მძღოლებსაც კი. ამასთანავე, მათი დავალებები, შესაძლოა, საკმაოდ ეგზოტიკურიც კი აღმოჩნდეს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, თუ როგორ ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიებების — სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა სესიებისა და პარტიის ყრილობების — უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი წვლილი არა მოხალისეებსა და სახალხო რაზმებს, არამედ პროფესიონალებს მიუძღვით. ბოლო პერიოდში პეკინელებმა ახალი ტექნიკაც იხილეს და ძალოვანი სტრუქტურების ბრძოლის ახალი მეთოდებიც**



ტერაქტი ტიანანმენზე

## ანტი-ტერორისტული სწავლებები

მაგალითად, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობის მიმდინარეობისას, 2012 წლის ნოემბერში, ტაქსის მძღოლები დაავალდებულეს, ფანჯრის ასაწევ-ჩამოსაწევი სახელურები დაეხსნათ სამგზავრო სავარძლებთან. ამ გზით ხელისუფლება აპირებდა, ხელი შეეშალა დისიდენტებისთვის ტაქსების ფანჯრებიდან ფლაერების გადაყრაში. გარდა ამისა, ინსტრუქტაჟის დროს ტაქსის მძღოლებს მოუწოდებდნენ, ყურადღება გაემახვილებინათ იმ მგზავრებზე, რომლებსაც ექნებოდათ საჰაერო ბურთები და აღეკვეთათ იდეოლოგიურად მავნე ლოზუნგებიანი ბურთების ჰაერში გაშვების ნებისმიერი მცდელობა. ეჭვქვეშ აღმოჩნდნენ ვერტმფრენების რადიომართვადი მოდელებიც კი — ყრილობამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე პეკინის მაღაზიებში გაჩნდა განცხადება, რომლის თანახმადაც საბავშვო ვერტმფრენების შესაძენად საჭირო იყო პირადობის მოწმობის წარდგენა. ლოგიკა ისეთივე იყო, როგორიც ბურთების შემთხვევაში: მფრინავ სათამაშოს, შესაძლოა, ჰაერში რაიმე აკრძალული აეფრიალებინა.

არც სამზარეულოს დანებს „გაუმართლათ“ — მნიშვნელოვანი პარტიული ფორუმის დაწყებამდე და მისი მსვლელობისას ისინი გააქრეს დახლებიდან. ჩეცხლსასროლ იარაღზე საკმაოდ მკაცრი კონტროლის გამო ჩინეთში თავდასხმის ყველაზე გავრცელებულ იარაღად სწორედ დანები იქცა, ამიტომ იმისათვის, რომ „დამნაშავეობრივი ელემენტები“ არ ეცდუნებინათ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ჩინეთის დედაქალაქში დანას ვერსად იყიდდით. ეს ჩვეულებრივი ამბავია — ანალოგიური სცენარით „მჩხვლეტავ და მჭრელ“ იარაღს პეკინის 2008 წლის ოლიმპიადისას მოექცნენ.

მომდევნო წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან 60 წლის იუბილის აღსანიშნავი დღესასწაულის დროს დედაქალაქში აიკრძალა მტრედებისა და საჰაერო ფრანების ფრენა. განსაკუთრებული გულმოდგინებით აკონტროლებდნენ ეთერის სისუფთავესაც. **დღესასწაულის კულმინაციამდე — 2009 წლის 1 ოქტომბერს ტიანიანიმენის მოედანზე აღლუმის ჩატარებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე სპეცსამსახურებს დიდი სადარდებელი გაუჩნდათ იმ უცხო გადამცემის გამო, რომელიც საიდუმლოებით მოცულ სიგნალს გადასცემდა.** სიგნალი სამხედრო ავიაციისთვის გამოყოფილ სიხშირეზე გადაიცემოდა. დამნაშავენი აღმოჩნდნენ არა დივერსანტები, არამედ პეკინის შემოგარენში მდებარე ერთ-ერთი მომცრო მონასტრის ბერები. მათ უკაბელო ვიდეოთვალთვალის არარეგისტრირებული სისტემა დააყენეს, ეს სისტემა კი სიგნალის გადაცემისთვის სამხედრო სიხშირეს იყენებდა.

## ურუმჩის ტერაქტის შედეგები

ბერები ახალი ამბების სიუჟეტებში მოხვდნენ ამჟამინდელი ანტიტერორისტული ოპერაციის გამოც. მაგრამ ამჟამად საუბარია არა უყურადღებობაზე, არამედ პირიქით — მოწინავე გამოცდილებაზე. ჩინური მასმედია იტყობინებოდა, რომ ქალაქ ხანჩჟოუში მდებარე ბუდისტურმა მონასტერმა ლინინსიმ რელიგიური დაწესებულებებისგან პირველმა შექმნა საკუთარი ანტიტერორისტული სტრუქტურა. პოტენციურ საფრთხეებთან ბრძოლით ახლა დაკავებულია 20-დან 40 წლამდე ასაკის ოცამდე ბერი და 30-მდე მცველი. რაზმის შეიარაღებაში შედის ხელკეტები, ფარები და გაზის ბალონები. ▶



ანტიტერორისტული სწავლებები

**ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ერთბაშად მოცელა აშშ-ის საერთო შიგა პროდუქტის ზრდის პროგნოზები და განაცხადა, რომ 2014 წლისთვის ზრდა 2,8%-ის ნაცვლად 2%-ს არ აღემატებოდა, მომავალ 2015 წელს კი ზრდა იგივე დარჩება, რასაც ვარაუდობდნენ — 3% და არა მეტი, როგორც ამას ვაშინგტონი იმედოვნებდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ურუმჩის ტერაქტის შედეგები

გასაგებია, რომ **ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი წვლილი არა მოხალისეებსა და სახალხო რაზმებს, არამედ პროფესიონალებს მიუძღვით. ბოლო პერიოდში პეკინელებმა ახალი ტექნიკაც იხილეს და ძალოვანი სტრუქტურების ბრძოლის ახალი მეთოდებიც.**

დედაქალაქში მიღებულია გადაწყვეტილება საკვანძო ადგილებში — სამთავრობო შენობების სიახლოვეს, ხალხმრავალი სავაჭრო ქუჩების გვერდით და ადამიანთა თავშეყრის სხვა ადგილებში მობილური ქვედანაყოფების განლაგების შესახებ. ყოველი საპატრულო მანქანის ეკიპაჟი შედგება ცხრა პოლიციელისგან და ოთხი თანაშემწისგან. ექსტრემალურ სიტუაციებში პატრული შემთხვევის ადგილზე უნდა მივიდეს სიგნალის მიღებიდან არაუგვიანეს სამ წუთში.

### ბენზინისა და ასანთის გარეშე

გამკაცრებულია ტრანსპორტის კონტროლიც. ამასთან დაკავშირებით ჩინურ ინტერნეტში გაჩნდა არაერთი კრიტიკული პოსტი, რომელშიც მგზავრები ჩივიან, რომ შემოწმებების გამო მეტროში შესვლას გაცილებით მეტი დრო სჭირდება.

სირთულეები შეექმნათ მათაც, ვისაც კანისტრებით სჭირდება ბენზინის ყიდვა. როგორც ორგანიზაციებს, ასევე კერძო პირებს ახლა ამისთვის პოლიციისგან წინასწარი ნებართვის მიღება სჭირდებათ. როგორც ჩანს, ეს იმას უკავშირდება, რომ ტიანიანიმენზე ტერაქტის მომწყობ რადიკალებს ავტომანქანაში კანისტრები აღმოაჩნდათ. როგორც პოლიცია ირწმუნება, ტერაქტამდე მათ უპრობლემოდ შეიძინეს 400 ლიტრი საწვავი.

არანაკლებ ირონიული კომენტარები მოჰყვა ცნობას იმის შესახებ, რომ ლიაონინის პროვინციაში ასანთი მხოლოდ მყიდველის პირადობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე იყიდება. „ასანთი მხოლოდ რეგისტრაციით. მალე სიგარეტსაც ვეღარ მოუკიდებ ისე, რომ ტერორისტად არ ჩაგთვალონ“, — ასე ჟღერს ერთ-ერთი ყველაზე ტიპიური ინტერნეტ-რეპლიკა.

**ჩინეთის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ესმის, რომ მრავალრიცხოვანი აკრძალვებით მხოლოდ ნერვოზსა და პანიკურ განწყობას გაამწვავებს საზოგადოებაში.** ანალოგიური რამ მოხდა ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქ ინჩუანში. მოქალაქეებმა სამართალდამცავ ორგანოებს აცნობეს, რომ სინცზიანელმა ორმა უიგურმა ადგილობრივ მაღაზიაში სათლები და დანები შეიძინეს. „ქალაქის სხვადასხვა სამსახურმა ერთობრივი ოპერაცია ჩაატარა. ამჟამად ორივე სინცზიანელი ნაპოვნია. როგორც შემოწმებამ აჩვენა, ისინი მეწარმეები არიან და დიდი ხანია ქალაქში ბოსტნეულით ვაჭრობენ. ყველას გთხოვთ, არ აჰყვეთ პანიკას!“ — ჩატარებული გამოძიების შესახებ ანგარიში დაწერეს მიკრობლოგში პოლიციელებმა.

### პოლიცია კუნმინეში მძევლებს ათავისუფლებს

სინძიანელები და არა უიგურები — ეს, ცხადია, შემთხვევითობა არ არის. ჩინეთის ხელისუფლება შეგნებულად არ აკეთებს აქცენტს ტერორისტთა ეროვნებაზე, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით შეტაკებების პროვოცირება არ მოახდინოს. სოციალურ ქსელში ფოტოფლეშმობიც კი გაუშვეს. გამოქვეყნებულ ფოტოებზე მონაწილენი (როგორც წესი, მომხიბვლელი გოგონები ან ბავშვები) იღიმიან და ხელში უჭირავთ ბანერი წარწერით „სინძიანში მცხოვრები უიგურები ტერორისტები არ არიან“.

**ტაქტიკა, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტერორისტული დაჯგუფებები იყენებენ, ძალიან ჰგავს „ალ ქაიდას“ ან მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ქმედებებს.** თავის დროზე ამ ტერორისტულმა ქსელმა უარი განაცხადა მკაცრ ცენტრალიზაციაზე. მისი წევრები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ და ხელმძღვანელობისგან მოქმედების სრული თავისუფლება მიიღეს. დაიწყო წერტილოვანი დარტყმების მიყენება, რომელიც თავისთავად იძლეოდა უფრო დიდ დასაშინებელ ეფექტს, ვიდრე მსხვილი ტერაქტები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაშიც ბოლო დროს მსგავსი სიტუაციაა. და საეჭვოა, რომ ამ ტერორისტულ აქტებთან გამკლავება იყოს შესაძლებელი, თუნდაც მთელ ჩინეთში ამოიღონ დანები ხმარებიდან.

### „აკრძალვების კედელი“ საქმეს არ შველის

**ექსტრემისტების წინააღმდეგ „აკრძალვების დიდი კედლის“ აშენების მცდელობა, როგორც ჩანს, წარუმატებლობისთვისაა განწირული.** ნელ-ნელა ხელისუფლებაც ხვდება ამას — გარდა ჩვეულებრივი შეზღუდვებისა, ახლა ყურადღება ეთმობა ტერაქტებისა და სხვა რეზონანსული დანაშაულების გამოძიების ოპერატიულ სამუშაოებს, ძალოვანი სტრუქტურების ტექნიკური აღჭურვის გაძლიერებას (როგორც ჩანს, სწორედ აქ ამოქმედდება საგულდაგულოდ გადამალული საბიუჯეტო ასიგნირება).

თანდათანობით ქრება მაღალჩინოსნების განსაკუთრებით უცნაური ანტიკრიმინალური გამოგონებები. მაგალითად, პეკინის მეტროს სადგურებიდან აიღეს ტუალეტის კაბინები, რომლებსაც შიგნით პოლიციის გამოძახების ღილაკები ჰქონდა. ამ ღილაკზე დაჭერისას კარი იბლოკებოდა, გარეთ კი სირენა ირთვებოდა. კარის გაღება მხოლოდ ადგილზე მისულ შეიარაღებულ პოლიციას შეეძლო. სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან ჩასულთათვის ეს კაბინები ნამდვილ ხაფანგებად იქცა.

**ახლა ხელისუფლება მოსახლეობისთვის ქმნის დეტალურ ინსტრუქციას მზარდი ტერორისტული საფრთხის პირობებში ცხოვრების შესახებ. პუნქტების შემდგენელნი ბიუროკრატიის წარმომადგენელნი არ არიან და მშვენივრად იციან ყველა მოდური ტენდენცია, მათ შორის მიკრობლოგებისადმი ჩინელების სიყვარულიც.** ეს ჩანს ერთ-ერთი ინსტრუქციის უკანასკნელი პუნქტიდანაც. ტერაქტის შემთხვევით მოწმეებს ურჩევენ, რაც შეიძლება სწრაფად გაეცალონ შემთხვევის ადგილს და სმარტფონების ძებნა არ დაიწყონ ინტერნეტში „ცხელ-ცხელი ფოტოების“ გამოსაქვეყნებლად...

**topwar.ru**

# აშშ-ის ეკონომიკამ მკვეთრი ვარდნა დაიწყო, იქნება თუ არა ომი?



**აშშ-ის ეკონომიკა უფრო მეტად დაეცა, ვიდრე ყველაზე საშინელ პროგნოზებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ვარაუდობდნენ. Bloomberg-მა გამოაცხადა, რომ შემცირება მოხდა 2,9%-ით. არადა, ექსპერტები ყველაზე უარეს ვარიანტად 2,4%-იან შემცირებას ასახელებდნენ. „ვარდნა ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა 2009 წლის პირველი სამი თვის შემდეგ, რომლებზეც გლობალური ფინანსური კრიზისის ეფექტი აისახა“, — გამოუტანა განაჩენი ამერიკას პლანეტის წამყვანმა საქმიანმა მედიასაშუალებამ.**

პრესამ აღნიშნა, რომ რეალობა ყველაზე პროფესიონალური ორგანიზაციებისა და ეკონომისტების პროგნოზებზე უარესი აღმოჩნდა. ეს უკანასკნელნი ვარდნის ყველაზე ნეგატიურ მაჩვენებლად 2,4%-ს ასახელებდნენ. „საერთო შიდა პროდუქტის შემადგენლებიდან დადებით ზონაში აღმოჩნდა მხოლოდ კერძო მოხმარება, რომელიც წლიური გაანგარიშებით 1%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებელიც კი უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემებს შორის ყველაზე უარესია“, — იტყობინება მედია.

**ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ერთბაშად მოცელა აშშ-ის საერთო შიგა პროდუქტის ზრდის პროგნოზები და განაცხადა, რომ 2014 წლისთვის ზრდა 2,8%-ის ნაცვლად 2%-ს არ აღემატებოდა, მომავალ 2015 წელს კი ზრდა იგივე დარჩება, რასაც ვარაუდობდნენ — 3% და არა მეტი, როგორც ამას ვაშინგტონი იმედოვნებდა.**

პრესის ინფორმაციით, მსოფლიო ბანკმაც ანალოგიურად შეამცირა ამერიკის შეერთებული შტატების საერთო შიგა პროდუქტის ზრდის პროგნოზი 2014 წლისთვის ადრე ნავარაუდევი 2,8%-დან 2,1%-მდე. თავის მხრივ, ქვეყნის ვაჭრობის სამინისტრო ადასტურებს ამერიკული ეკონომიკის 1%-ით შემცირებას. მედია აღნიშნავს, რომ ეს (ერთი შეხედვით „კაპიკები“) ციფრები ნიშნავს მრავალ ასეულ მილიარდ დოლარს, მილიონობით სამუშაო ადგილს და ტრილიონობით სოციალურ დახმარებებს“.

„ჰეი, ობამა! ვინ ვის წინააღმდეგ დააწესა სანქციები? რუსეთის წინააღმდეგ? მაშინ რატომ ინგრევა ჩვენი ეკონომიკა?!“ — ასეთია უბრალო ამერიკელების მიერ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ყველაზე უწყინარი კომენტარები.

გარდა ამისა, **ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა და ეკონომისტმა პოლ კრეიგ რობერტსმა უკვე მოასწრო ამერიკის ეკონომიკის ვარდნის კონსტატირება და ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას საშინელი უწოდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი ხდება ამერიკის მოქალაქეების მხრიდან საკუთარი პრეზიდენტის მიმართ უკმაყოფილების ფონზე, ამ უკანასკნელის რეიტინგი უკვე მინიმუმამდე დაეცა, პოლიტიკით (როგორც საგარეო, ასევე საშინაო) და ეკონომიკით უკმაყოფილების ფონზე.

ამერიკისადმი უკმაყოფილება მხოლოდ ამერიკელებს შორის როდი იზრდება. BBC-ის საერთაშორისო სამსახურის, კვლევითი კომპანია GlobeScan-ისა და „საერთაშორისო პოლიტიკის შეფასების პროგრამის“ მიერ ჩატარებული გლობალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით დადგინდა მსოფლიოს დამოკიდებულება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც 2014 წელს მსოფლიოში არსებულ მდგომარეობაზე ახდენენ გავლენას. როგორც გაირკვა, მსოფლიოში აშშ-სადმი დამოკიდებულება კვლავაც უარესდება!

ამასთანავე, ფრანგი, იტალიელი, გერმანელი და თვით ამერიკელი და კანადელი ბიზნესმენებიც კი, ნავთობგიგანტები, მსოფლიო კორპორაციები პოლიტიკოსების კვალდაკვალ აშშ-ის წინააღმდეგ გრანდიოზულ დემარშს აწყობენ — უარს აცხადებენ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამოყენებაზე. აშშ-ისა და მსოფლიოს საქმიანმა ელიტამ გადაწყვიტა, სახალხოდ გამოსულიყო აშშ-ის მხრიდან დაწესებული სანქციების წინააღმდეგ და მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებში „რბილი ულტიმატუმი“ გამოაქვეყნა.

**„იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ტრენდი გაგრძელდება, სავსებით შესაძლებელია, რომ მსოფლიოს წამყვანმა სარეიტინგო სააგენტოებმა აშშ-ის რეიტინგი დაწიონ. არ გაგიკვირდეთ, რამდენიმე წლის წინათ ეს უკვე მოხდა, თუმცა მაშინ სიტუაცია მსგავსი, მაგრამ მაინც უკეთესი იყო“,** — განაცხადა პროფესიონალმა ბროკერმა ფილ ზოლენსონმა და დასძინა: **„ცხადია, თუ ამერიკა არ მიმართავს თავისი ზრდის საყვარელ დრაივერს — ვილაცასთან ომს“.** არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკის წამყვანი მედიასაშუალებები უკვე განიხილავდნენ ეკონომისტების გამონათქვამს, რომ ყველაზე კარგი „ქაფი“ ეკონომიკისთვის სწორედ ომს ახლავს.

ცნობილმა ტრეიდერმა ჯიმ სინკლერმა უკვე გააფრთხილა ყველა, რომ „აშშ-ის ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისას არ გაუთვალისწინებია, თუ რა საპასუხო ქმედებები შეიძლებოდა გამოეწვია ამას“. მისი აზრით, „ნავთობდოლარი მსოფლიოში ერთადერთი ღირებულებაა, რუსეთს კი მისი განადგურება შეუძლია მხოლოდ იმით, რომ საკუთარი ნავთობის სანაცვლოდ ევრო, იუანი ან რუბლი მოითხოვოს“, მაგრამ ჯერჯერობით რუსეთი მსგავსს არაფერს აკეთებს, აშშ კი თავის ეკონომიკას თავადვე კლავს...

**continentalist.ru**



**ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა და ეკონომისტმა პოლ კრეიგ რობერტსმა ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას საშინელი უწოდა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სომალელ მეკობრეებს, როგორც წესი, უბრალოდ, უშვებენ, თუ არც ერთმა სახელმწიფომ არ გამოთქვა სურვილი, ბრალდება წაუყენოს მათ. ასეთ შემთხვევაში ამერიკელ სამხედროებს არჩევანი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ამგვარ პატიმრებს სამაშველო ჟილეტები ჩააცვან, ნავში ჩასვან და ზღვაში ჩაუშვან.



# ამერიკის მცურავი ციხეები

**ტერორისზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ძალზე საინტერესო როლი იკისრა. ამჟამად აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის ერთ-ერთ გემზე, რომელიც სადღაც ხმელთაშუა ზღვასა და ვაშინგტონს შორის მიცურავს, ტერორიზმში ეჭვმიტანილი ადამიანი ჰყავთ. ახმედ აბუ ხატტალა არის ლიბიაში, ბენღაზში ამერიკის საელჩოზე 2012 წლის სექტემბერში განხორციელებული თავდასხმის სავარაუდო ორგანიზატორი და გემ „USS New York"-ზე აღმოჩნდა დატყვევებული. სავარაუდოდ, იგი გამოკეტილია ცარიელ კამერაში, რომელშიც, როგორც წესი, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ხვდებიან ხოლმე ზღვაში დისციპლინარული სასჯელის მოლოდინში.**



აშშ-ისკენ მიმავალ გზაზე მთელი კვირის მანძილზე მას გემზევე დაკითხავდნენ სამხედრო და სამოქალაქო გამომძიებლები, რომლებსაც სურთ, ტუსაღისგან საკვანძო ინფორმაცია მიიღონ, ვიდრე საკუთარ უფლებებს ჩაუკითხავდნენ, ოფიციალურად დააპატიმრებდნენ და ვაშინგტონის საოლქო სასამართლოში გასასამართლებლად მიიყვანდნენ. ამასთანავე, მეზღვაურები, რომლებიც ასევე იმყოფებიან აღნიშნულ გემზე, განაგრძობენ სატრანსპორტო გემის სამართავად საკუთარი მოვალეობების შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ახალი მგზავრის დამატებამ ხომალდს გარკვეულწილად შეუცვალა დანიშნულება.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სამხედრო-საზღვაო ფლოტი საკუთარ თავზე იღებს ესოდენ სერიოზულ და უჩვეულო როლს, რომელიც პრაქტიკულად არანაირად არ შუქდება პრესაში. 2011 წელს ახმედ აბდულკადირ ვარსამე, სომალური რადიკალური დაჯგუფება „აშ-შაბაბის" მეთაური, ძალით აიყვანეს თევზსაჭერი გემის ბორტზე და ამერიკის ფლოტის სამხედრო მოსამსახურეების მიერ ორი თვით იყო დაკავებული. 2013 წელს აბუ ანას ალ-ლიბი, **1998 წელს კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოების წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების სავარაუდო შემოქმედი, ამ კვირაში საპატიმროდ ქცეული გემ „USS San Antonio"-ის ბორტზე იყო დატყვევებული.** ყველა პატიმარი აშშ-ში ჩაყვანამდე და ფედერალური სასამართლოების მიერ ოფიციალური ბრალდების წარდგენამდე გემებზევე არაერთხელ დაიკითხნენ. საბოლოოო ჯამში ვარსამემ თავი დამნაშავედ სცნო ბრალდების ცხრა პუნქტის მიხედვით, მათ შორის „ალ ქაიდასთვის" მატერიალური დახმარების აღმოჩენაში და სხვა ტერორისტებისთვის ასაფეთქებლების დამზადების თავისებურებათა სწავლებაში. ალ-ლიბი ისევ თავის უდანაშაულობას ამტკიცებს და მისი საქმე ამ დრომდეც განიხილება.

**აშშ-ის ხელისუფლება სამხედრო გემებს მცურავი ციხეების სახით იყენებს სახიფათო დამნაშავეებისთვის**





მრავალი თვალსაზრისით, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ **აშშ-ის ხელისუფლება სამხედრო გემებს მცურავი ციხეების სახით იყენებს სახიფათო დამნაშავეებისთვის.** აშშ-ისკენ ხანგრძლივი მოგზაურობა გამომძიებლებს დროსა და საშუალებას აძლევს, ღირებული წყაროებიდან, მაგალითად, „ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული ტერორისტული დაჯგუფებების ხელმძღვანელებისგან, მიიღონ ინფორმაცია.

იმ ორი თვის განმავლობაში, რომელიც ვერსამემ გემზე გაატარა, გამოძიების ფედერალური ბიუროს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გამომძიებლებისა და თავდაცვის სამინისტროს ჩინოვნიკების ჯგუფი, ანუ განსაკუთრებით ღირებულ ეჭვმიტანილებთან მუშაობის ობამას ადმინისტრაციასთან არსებული ჯგუფის წარმომადგენლები სომალელ ტერორისტს ლამის ყოველდღიურად დაჰკითხავდნენ. ეს უკანასკნელი თანამშრომლობას დათანხმდა და, მთელი რიგი ანგარიშების თანახმად, ამერიკული კონტრტერორისტული ოპერაციის ნაწილი, მათ შორის სომალიზე უპილოტო საფრენი აპარატების შეტევებიც, გახდა იმ ინფორმაციის პირდაპირი შედეგი, რომელიც ვერსამემ გადასცა ამერიკის ხელისუფლებას. მართალია, ალ-ლიბი გემზე სულ ▶

# ლოთობაში ბრიტანეთი ლიდერობს

**კიდევ რამდენი ბავშვი უნდა გაჩნდეს გადახრებით, რომ ბრიტანეთმა ალკოჰოლიზმის პრობლემის არსებობა აღიაროს? ეს ქვეყანა ალკოჰოლის მოხმარების მხრივ მსოფლიოში ლიდერობს და ახლა ამის საზღაურს იხდის.**



რამდენიმე დღის წინათ გრინვიჩში ჯგუფ Eagles-ის კონცერტი გაიმართა. თითქმის 20 000 მაყურებელი ერთხმად მღეროდა „Desperado" და „Witchy Woman". ყველაფერი მშვენივრად იყო, გარდა ერთისა — კაცებიც და ქალებიც კონცერტის მთელი სამი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს. ზედა რიგებში მსხდომნი განუწყვეტლივ ჩადიოდნენ ქვემოთ, ბართან ბოძიკითა და ბარბაცით, შემდეგ კი კვლავ მაღლა ბრუნდებოდნენ ხელში რამდენიმე ჭიქით.

ერთი მამაკაცი თავის შვილებთან ერთად ისე დათვრა, რომ ვეღარ შეძლო ზედა რიგებში საკუთარ ადგილას დაბრუნება და კონცერტის მეორე და უკეთესი ნაწილის ნახვა. მაყურებლებს ტანსაცმელზეც და სახეზეც ლუდის წვეთები ემჩნეოდა. არენის მმართველებმა, როგორც ჩანს, არაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ასე არ გადამთვრალიყო საზოგადოება. რატომ? იმიტომ, რომ მათი ჯიბეებიდან საკმაო რაოდენობით ფული მოხვეტეს.

უფრო მეტიც, ამგვარ მოედნებსა და არენებზე სპეციალურად ქირაობენ ახალგაზრდა, სიმპათიურ გამყიდველებს ლუდის ჩამოსატარებლად.

ხალხმა საკმაოდ დიდი ფული გადაიხადა იმისათვის, რომ ჯგუფ Eagles-ის კონცერტზე მოხვედრილიყო. ეს დასამახსოვრებელი საღამო იყო, მაგრამ მაყურებელთაგან ბევრი ვერ შეძლებს რაიმე გაიხსენოს. რატომ პოულობენ ესოდენ დიდ სიამოვნებას მხოლოდ დათრობაში? ბრიტანელობის ამ ტესტს ბევრი ვერ გაივლიდა წარმატებით.

როგორც ჩანს, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი იმდენადვეა დაკავშირებული უამრავი ლიტრი სპირტიანი სასმელის დალევასთან, რამდენადაც ბურთით თამაშთან. ჯანდაცვის ნაციონალური სამსახური, უბრალოდ, ფენომენალურია. მიუხედავად მზარდი ზეწოლისა და დაუსრულებელი საჩივრებისა, სულ ახლახან ვაშინგტონში განთავსებულმა რომელიღაც ფონდმა ის მსოფლიოში საუკეთესოდ დაასახელა. არადა, მთვრალმა ადამიანებმა თავისუფლად შეიძლება ჩაძირონ ეს ესოდენ დაფასებული დაწესებულება.

განგაშის ახალი სიგნალი გაისმა სულ რამდენიმე დღის წინათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილების მიერ გახსნილი საქმეების გამო. **იმ კვირის განმავლობაში, როდესაც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო და როდესაც ინგლისი პირველად შეხვდა იტალიას, გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის შესაბამის სამსახურებს უფრო მეტმა ადამიანმა მიმართა, ვიდრე ამ მონაცემების აღრიცხვის მთელი დანარჩენი პერიოდის განმავლობაში.**

ცუდი ამბები ამით არ სრულდება: **ინგლისში მნიშვნელოვნად იმატა ღვიძლის კიბოს შემთხვევებმა. 2003-სა და 2012 წლებს შორის პერიოდში ეს მაჩვენებელი მამაკაცებში 70%-ით გაიზარდა, ქალებში კი — 60%-ით.** სამეცნიერო კვლევები კიბოს ამ სახეობასა და ალკოჰოლის მოხმარებას შორის კავშირს ადასტურებს. ყველაზე საზარელი აღმოჩნდა გასულ კვირას გამოქვეყნებული მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ფატალური ალკოჰოლური სინდრომის დიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობა, ანუ როდესაც ჩვილების დაბადებისთანავე მათ პაწაწინა ვენებსა და არტერიებში უკვე მოძრაობს ალკოჰოლი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა. არსებობს იმის საფრთხეც, რომ ამგვარი შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ არ ფიქსირდება. რაც შეეხება ამგვარი სინდრომით დაბადებულ ბავშვებს, ისინი წინასწარვე განწირულნი არიან მთელი ცხოვრების მანძილზე წვალებისთვის.

**ინგლისში ბავშვები სულ უფრო ადრეულ ასაკში ეჩვევიან ალკოჰოლის მოხმარებას. ქალები და გოგონები დღეს ფიქრობენ, რომ ფემინიზმის არსი კაცების მსგავსად გამოთრობაა.** ალკოჰოლის საიდუმლოდ მოხმარება გახშირდა მუსლიმანებსა და სხვა იმიგრანტებს ▶

## „აშშ ყველაფერს აკეთებს, რათა დაეხმაროს ერაყს ეშის-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეშის-ი ტერორისტების არმიაა და ამიტომ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ერაყის, არამედ რეგიონის ყველა ქვეყნისთვის, ასევე ევროპისა და ამერიკისთვისაც.“

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდათ, მისმა ქრონიკულმა დაავადებებმა ხელისუფლებას არ მისცა საშუალება, უფრო ხანგრძლივი დროით დაეტოვებინათ ტუსაღი გემზე — ანგარიშების თანახმად, მის შემთხვევაშიც იყენებდნენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების მსგავს მცდელობებს.

ამერიკის ხელისუფლება ექჭვმიტანილების სამხედრო გემებზე გამოკეტვის ილეთს იმიტომ იყენებს, რომ მას საკმაოდ ცოტა საშუალებები აქვს, აბუ ხატტალას მსგავსი ადამიანების შეპყრობის შემდეგ მათი დაკავებისა და დაკითხვისთვის. ობამას ადმინისტრაციას კვლავაც სურს გუანტანამოს ციხის დაკეტვა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ტერორიზმში ეჭვმიტანილი თითქმის 150 პატიმარია. აშშ-ს ახალი ეჭვმიტანილები იქ არ გაუგზავნია 2008 წლის მარტის შემდეგ.

სავარაუდო ტერორისტების გაგზავნა და გამოკეტვა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მდებარე ციხეებში ასევე მიუღებელია. გარკვეული დროის მანძილზე შესაძლებელი იყო ავღანეთში ამერიკელების მიერ მართვადი ციხეების ორგანიზება. ახლა პარვანეს ციხეებს ავღანეთის ხელისუფლება მართავს, სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე მდებარე ციხეების გამოყენება კი მთელ რიგ კითხვებს ბადებს.

ამერიკელ მაღალჩინოსნებს რომც მოუნდეთ ფედერალური სასამართლოს წინაშე წარდგენამდე და ადვოკატის დანიშვნამდე აბუ ხატტალას დაკითხვაზე უარის თქმა, სავარაუდო ტერორისტების აშშ-ში გადაფრენა მთელ რიგ პრობლემებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე შეპყრობილი სავარაუდო ტერორისტების აშშ-ში გადაგზავნის პროცესი ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივად გამოიყურება, მას, შესაძლოა, სერიოზული სტრატეგიული შედეგები მოჰყვეს, განსაკუთრებით აშშ-ისთვის დამნაშავეების გადაცემასთან დაკავშირებული იმ კითხვების გათვალისწინებით, რომლებიც უმცროსი ბუშის ადმინისტრაციის მოღვაწეობის შედეგად წამოიჭრა. ამ კონტექსტში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ციხის ზედამხედველის ფუნქციები შეითავსა, მიუხედავად იმისა, რომ იურისტები კვლავაც დავობენ სავარაუდო ტერორისტების გემებზე დაკავების უკანონობაზე.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ გემბანზე ისეთი საშიში ადამიანების ყოფნით, როგორებიც ტერორიზმში ეჭვმიტანილები ან სომალელი მეკობრეები არიან, მთელს გემს აჩნდება დაღი. აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის ერთ-ერთმა ყოფილმა ოფიცერმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ბოლოს და ბოლოს ჩვენ სანაპიროსთან ახლოს (საერთაშორისო წყლებში) ვცურავდით, რათა ისინი დაგვეკავებინა. მთელი ჩვენი საქმიანობა დაექვემდებარა მათი დაკავების აუცილებლობას“.

**სომალელ მეკობრეებს, როგორც წესი, უბრალოდ, უშვებენ, თუ არც ერთმა სახელმწიფომ არ გამოთქვა სურვილი, ბრალდება წაუყენოს მათ. ასეთ შემთხვევაში ამერიკელ სამხედროებს არჩევანი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ამგვარ პატიმრებს სამაშველო ჟილეტები ჩააცვან, ნავში ჩასვან და ზღვაში ჩაუშვან.**

ამასობაში ბენღაზის ტერაქტში ეჭვმიტანილი მალე აშშ-ში წარსდგება სასამართლოს წინაშე. მანამდე კი მისი საპატიმრო გემი ხმელთაშუა ზღვიდან დასავლეთისკენ მიცურავს. აბუ ხატტალას დაკითხვა არ წყდება, რომელიღაც რიგითი მეზღვაური კი ფიქრობს, რა მოუმზადოს სადილად ლიბიელ ტერორისტს...

**The Atlantic**

◀ შორის. საშუალო კლასის წარმომადგენლები წითელ ღვინოზე დამოკიდებულნი ხდებიან და თვლიან, რომ ეს მათ დახვეწილობასა და ელეგანტურობას ჰმატებს. ალკოჰოლის მოხმარების დონის მომატება აღენიშნებათ უნივერსიტეტის სტუდენტების დიდ ნაწილსაც, რომელთათვისაც ლოთობა დღეს ლამის უკვე იქცა უმაღლესი განათლების მიღებისთვის ვარგისიანობის მაჩვენებლად.

**უნივერსიტეტების ხელმძღვანელებს, რამდენადაც ცნობილია, საერთოდ არაფერი გაუკეთებიათ იმ პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც განათლების სისტემის ნამდვილ სირცხვილად იქცა.** შესაძლებელია, როგორც მრავალი მოდური და შეცდომაში შესული მშობელი, ისინიც მიიჩნევენ, რომ ბავშვების დათრობა, უბრალოდ, რალაცასთან ზიარების რიტუალია და ეს მაგარია.

ალკოჰოლურ ინდუსტრიას ჰყავს როგორც თავისი პოლიტიკოსები, ასევე აკადემიური სამყაროს წარმომადგენლები.

როგორც ჩანს, თავისუფლება და არჩევანი არის ერთადერთი ნაციონალური იმპერატივები მაშინაც კი, როდესაც ეს განაპირობებს დაავადებული ბავშვების გაჩენას, გაუპატიურებებს, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების კოლაფსს, ქუჩისა და საშინაო ძალადობას, პიროვნების სრულ დეგრადაციას.

კარგი იქნებოდა, რამდენიმე გამოცდილ ადვოკატს კოლექტიური სარჩელი შეეტანა ყველას წინააღმდეგ, ვინც კი ხელს უწყობს ქვეყანაში ალკოჰოლიზმის ზრდას, ადამიანების ცხოვრების განადგურებას და ერისთვის მომავლის მოსპობას, დიახ, ტონი ბლერის, გორდონ ბრაუნის და მათი კაბინეტების წევრების წინააღმდეგ. ეს ეხება კერძო დახურული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულების გუნდსაც, რომლებიც ახლა მართავენ ბრიტანეთს. მათ ვერ შეძლეს ადამიანების დაცვა იმ საფრთხისგან, რომელიც ნარკოტიკებზე უარესია და უფრო მეტ ბოროტებას შეიცავს, რადგან ადამიანთა უმრავლესობას ეხება.

მართალია, ალკოჰოლიზმი გლობალური პრობლემაა, მაგრამ არ არსებობს სხვა ქვეყანა, რომელსაც ამდენად საშინელი მაჩვენებლები აქვს.

**The Independent**

# ნატოს თავის ტკივილი

**ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების უკანასკნელ შეკრებას ბრიუსელში ესწრებოდა ერაყის წარმომადგენელი, რომლის იქ ყოფნაც ყველაზე ახდენდა ზემოქმედებას. საყოველთაო ყურადღება სწორედ მისკენ იყო მიპყრობილი. ზუსტად ამ შეკრების პარალელურად ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისტები უკვე ახლოს იყვნენ ბაღდადთან და აშშ-ის მხრიდან სამხედრო ჩარევა გარდაუვალი ჩანდა. აშშ-ის 120 სამხედრო მრჩეველი უკვე ჩავიდა საბრძოლო მოქმედებების ზონაში ერაყის ცუდად გაწვრთნილი არმიის მოქმედებების კოორდინირებისთვის. ამ არმიამ უკვე აჩვენა, რომ გარდა აშშ-ის მიერ იარაღის მიწოდებისა და ახალწვეულების გაწვრთნის საქმეში დახმარებისა, არმიას აკლია მოქმედებათა შეთანხმებულობა და დეზერტირობა ყვავის. შესაბამისად, მან პირველივე სერიოზულ დარტყმას ვერ გაუძლო.**



აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის მღელვარება სახეზე ეწერა, როდესაც სხდომის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე წარსდგა. **„ერაყი იძულებულია როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, უკიდურესად რთულ სიტუაციას შეეჯახოს,** — განმარტა მან. — **აშშ ყველაფერს აკეთებს, რათა დაეხმაროს ერაყს ეშის-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეშის-ი ტერორისტების არმიაა და ამიტომ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ერაყის, არამედ რეგიონის ყველა ქვეყნისთვის, ასევე ევროპისა და ამერიკისთვისაც. თუ ერაყის მოქალაქეებს სურთ, ამ ბრძოლაში წარმატებებს მიაღწიონ, მათ მოუწევთ, გამოიჩინონ ვაჟკაცობა, რათა გაერთიანდნენ და შექმნან ხელისუფლება, რომელშიც ქვეყნის ყველა ხალხები შევლენ“.**

## უახლოეს პერიოდში ცნობილი გახდება ავღანეთის პრეზიდენტის სახელი და, თუ ყველაფერი რიგზე იქნება, სახელმწიფოს ახალი მეთაური საქმიანობას აგვისტოდან შეუდგება



ამის გაკეთება იოლი საქმე არ იქნება, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ერაყის პრემიერმინისტრმა ალმალიკიმ უარი განაცხადა ერთიანი ნაციონალური მთავრობის ფორმირებაზე და მასში მისი მოწინააღმდეგე სუნიტების შესვლაზე. მისი განცხადებით, დასავლეთის მიერ შეთავაზებული გეგმა სხვა არაფერია, თუ არა მისი ამომრჩევლების იმედების გაცრუება.

**აშშ-ის მაჯაზე ხელი უნდა ეჭიროს ერაყის იმ მეზობლებს, რომლებიც მისი კრიზისით აღშფოთებულნიც არიან და ამავე დროს სიტუაციის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებასაც ცდილობენ.** „პრეზიდენტი ობამა საუდის არაბეთში ჩადის იმისთვის, რათა რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილოს, მათ შორის ერაყის კრიზისიც და სირიის ოპოზიციის დემოკრატიული სტრუქტურების მხარდაჭერაც. არც ერთ ჩვენგანს არ უნდა დაავიწყდეს, რომ საფრთხე, რომელიც თავიდან შორეულად გვეჩვენება ხოლმე, შესაძლოა, საბოლოო ჯამში ჩვენც შეგვეხოს, თანაც საკმაოდ ძლიერად. სწორედ აქ, ბრიუსელში, სულ რაღაც ერთი თვის წინათ ფრანგმა, რომელიც სირიაში ეშის-ის რიგებში იბრძოდა, ცეცხლი გაუხსნა ებრაული მუზეუმის დამთვალიერებლებს და სამი ადამიანი ადგილზევე მოკლა. ვინაიდან ნატო მსოფლიო უსაფრთხოების გარანტია, ის გამუდმებით უნდა ებრძოდეს საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეს“, — განაცხადა კერიმ. ანტიტერორისტული თანამშრომლობის მეთოდებსა და ფორმებს მიმდინარე წლის სექტემბერში მორიგ შეკრებაზე განიხილავენ.

უკრაინული კრიზისის პირობებში კერიმ ყველას შეახსენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეტი რესურსების დახარჯვა თავდაცვაზე. არ შეიძლება უსაფრთხოება აღქმულ იქნეს, როგორც კუთვნილი, თავისუფლება არ შეიძლება იყოს გარანტირებული. მისი განცხადებით, „როგორც კი ეკონომიკა ზრდას დაიწყებს, ნატო თავის ყველა წევრს მიმართავს მოწოდებით, მეტი სახსრები ჩადონ თავდაცვაში. ის ქვეყნები, რომლებიც საერთო შიდა პროდუქტის 2%-ზე ნაკლებს ხარჯავენ თავდაცვაზე, ვალდებულნი გახდებიან, საკუთარ თავზე აიღონ თავდაცვის დარგისთვის მეტი სახსრების გაღება“.

გარდა ერაყისა და უკრაინისა, მესამე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ზემოხსენებულ შეკრებაზე ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს, ავღანეთს ეხებოდა. ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ძალზე ოპტიმისტურად გამოიყურება, როდესაც ირწმუნება, რომ „ავღანელმა ხალხმა გააკეთა საკუთარი არჩევანი — არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ. საპრეზიდენტო არჩევნების დასრულება არის კიდევ ერთი შემობრუნების წერტილი ავღანეთისთვის. ყველამ დავინახეთ, როგორი უჩვეულო ენთუზიაზმით მიემართებოდნენ ავღანელი ქალები და კაცები საარჩევნო ურნებისკენ; ვნახეთ ავღანეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან საკუთარ თავში და შეუძლიათ, უზრუნველყონ მთელი სახელმწიფოს უსაფრთხოება“.

ასევე, ნახსენები იყო ერთ-ერთი თემა, რომელიც სექტემბრისთვის გადაიდო: საერთაშორისო ძალების მხრიდან უსაფრთხოებისთვის ხელშეწყობის მისიის დასრულება. საერთაშორისო ძალებში, როგორც ცნობილია, იგულისხმება კოალიცია, რომელსაც ნატო უდგას სათავეში და რომელიც უკანასკნელი 13 წლის მანძილზე ავღანეთის ტერიტორიაზე წესრიგის გარანტად ითვლებოდა. მას შეცვლის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალი სასწავლო-საწვრთნელი მისია.

**უახლოეს პერიოდში ცნობილი გახდება ავღანეთის პრეზიდენტის სახელი და, თუ ყველაფერი რიგზე იქნება, სახელმწიფოს ახალი მეთაური საქმიანობას აგვისტოდან შეუდგება.** მაგრამ შეძლებენ კი ავღანეთის სამხედრო ძალები საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად თავდაცვას? როგორც ჩანს, ნატოში ყველა დარწმუნებულია, რომ ამ ძალებს უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაატარონ რთული სამხედრო ოპერაციები, მაგრამ ერაყისა და მისი დასავლეთის მიერ გარდაქმნილი ნაციონალური არმიის აჩრდილი ჯერ კიდევ იქ დაძრწის და ყურადღებით აკვირდება სიტუაციას...

**L’Opinione**

## მაიამიში განგსტერებმა 2 კაცი მოკლეს

**24 ივნისს, ღამით, მაიამიში ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა ატეხეს. შედეგად დაიღუპა 2 და მძიმედ დაიჭრა 7 ადამიანი. ბოროტმოქმედები მიიმალნენ.** პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ღამის 2 საათსა და 30 წუთზე საცხოვრებელ კორპუს Liberty City-ს მიუახლოვდა ავტომობილი, რომლიდანაც ორი კაცი გადმოვიდა, ადამიანების ჯგუფს ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ კი კვლავ ჩაჯდა ავტომობილში და მიიმალა. სამართალდამცველები ამბობენ, რომ თავდამსხმელებმა ავტომატური იარაღი AK-47 და შაშხანა AP-15 გამოიყენეს. თავდასხმის მოტივი უცნობია. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი ენთუზიაზმით არ თანამშრომლობენ პოლიციასთან, რადგან განგსტერთა შურისძიების ეშინიათ. ასეთი შემთხვევა მაიამიში ბოლოს 2009 წელს მოხდა — თავდამსხმელებმა კამათლის მოთამაშეებს გაუხსნეს ცეცხლი. მაშინაც 2 კაცი დაიღუპა, 7 კი — დაიჭრა.

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფო კონტროლი მიწის გაყიდვაზე მოხსნა ტოტალურად, ანუ სრულად. ეს იმას ნიშნავს, რომ პრინციპულად გზა გაეხსნა საქართველოს მიწის მთლიანად გადასვლას უცხოელთა ხელში.**

# მიწის რეგულაციის უქონლობას კატასტროფული შედეგი მოჰყვება




**2012 წლის 26 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ (№3/1/5/512 გადაწყვეტილებით) გააუქმა (ძალადაკარგულად ცნო) „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული უკანასკნელი შეზღუდვა მოქალაქეობის არმქონე პირებზე (უცხოელებზე) მიწის განუკითხავ გასხვისებაზე (გაყიდვაზე). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა გატანილი აღმოჩნდა ღია ბაზარზე, სადაც, პრაქტიკულად, საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე არ არსებობს.**



ეს გადაწყვეტილება იყო და არის თვალში საცემად ყალბი — **სახელდობრ, მიზანმიმართულად (კრიმინალურად და არა უცაბედად) ყალბი.** ამ ყალბი პოზიციის დამოწმებით ამავე სასამართლომ რამდენიმე დღის წინათ გააუქმა საქართველოში დღეს არსებული დროებითი ნორმა (მორატორიუმი) მიწის ამ წესით გადაცემის აქტებზე. ზემოხსენებული ყალბი გადაწყვეტილების მიღება მოხდა არსებითად იმ ერთადერთი არგუმენტით, რომ, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ადამიანები „თანასწორნი“ ვართ. შეზღუდვებისგან გათავისუფლდა მიწის მიყიდვა ნებისმიერი სტატუსის არამოქალაქეთათვის — როგორც ფიზიკურ პირთათვის, ისე იურიდიულთათვის. **ხსენებული არგუმენტი ყალბია ორი რამის გამო:**

**1.** მსოფლიოს მიერ დღეს აღიარებული ნორმა (წარმოშობით მორალური), რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში იკითხება შემდეგნაირად:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“, შეიცავს ადამიანის იმ მახასიათებელთა **სრულ** ჩამონათვალს, რომელთა „განურჩევლადაც“ ადამიანები თანასწორნი ვართ. არანაირ დამატებას გამოთქმის „და სხვა“ სახით ეს ნორმა არ გულისხმობს (მაგალითად, იმას, რომ ორი პირი, ერთი — კონკრეტული სახლის პატრონი და მეორე სხვა, თანასწორნი არიან ამ სახლის გამოყენების უფლებაში) და ვერც იგულისხმებს. ასეც რომ არ იყოს, ეს ჩანაწერი არ განეკუთვნება აბსოლუტური უფლებების კატეგორიას. თუ არათანაბარი მოპყრობა მაქსიმალურად რეალისტურია და საჭიროა, ამასთანავე, არსებობდეს რეალური და რაციონალური კავშირი პირთა შორის დიფერენციაციის მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის, იგი, თვით საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით (2011 წლის 18 მარტის 2/1/473 გადაწყვეტილება), კონსტიტუციურია. მეორე მხრივ, თვით **საქართველოს კონსტიტუცია ახდენს ადამიანთა დიფერენციაციას მოქალაქეობის ნიშნით იმ ნაწილში, რომელშიც მათი სოციალური უფლებები უზრუნველყოფილია. მაგალითად, კონსტიტუციის 32-ე მუხლით, „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში“. იგი არ არის ვალდებული, დაასაქმოს და შეინახოს უცხო ქვეყნის მოქალაქე. რა არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა თუ არა დასაქმების წყარო? სწორედ ამ მიზეზით განიხილება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მთელ ცივილიზებულ სამყაროში მაღალი სოციალური ბოჭვის მქონედ.**

## საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, რომელიც მორატორიუმის შინაარსისა და მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ძირითადი აკრძალვის შინაარსობრივ იდენტურობას ადგენს, სამართლებრივად სრული ნონსენსია

ამგვარად, **კონსტიტუციის ციტირებული დებულებიდან იმის დასკვნა, რომ ადამიანები თანასწორნი ვართ მოქალაქეობის განურჩევლადაც, ელემენტარული შეცდომაა.**

2. კანონის წინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება, რაც უტოპიაა და რაც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული მიზანი. **კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, მაგრამ ეს მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისთვის დადგენილი ფაქტობრივი და, რაც მთავარია, სამართლებრივი შეზღუდვები არ ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს.** ამასთანავე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთანასწოროდ, თუ ეს ურთიერთობები არის მსგავსი და ამგვარად, იძლევა შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები და არა ყველა. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნენ განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში. ბუნებრივია, რომ **საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.**

დამოწმებული ორი შეცდომა **ლოგიკურთა** რიცხვს ეკუთვნის, ანუ შეცდომათა იმ კატეგორიას, რომელთა დაშვებაც საკმარისია, რათა აბიტურიენტს უნივერსიტეტში შესვლაზე უარი ეთქვას (ანუ ჩაჭრილ იქნეს საგანში, რომელსაც „უნარ-ჩვევებს“ უწოდებენ). ზემოთქმული იწვევს ეჭვს, რომ **პლენუმის გადაწყვეტილება უცაბედი არ არის, არამედ წინასწარგანზრახულია კანონსაწინააღმდეგო (კრიმინალური) მოტივით, რომელიც ექვემდებარება (და საჭიროებს) გარკვევას პროკურატურის მიერ.**

## მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია

**საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფო კონტროლი მიწის გაყიდვაზე მოხსნა ტოტალურად, ანუ სრულად.** ეს იმას ნიშნავს, რომ პრინციპულად გზა გაეხსნა საქართველოს მიწის **მთლიანად** გადასვლას უცხოელთა ხელში. ამით, პრაქტიკულად, საფუძველი ეცლება (ანუ მათ პრაქტიკულ გაუქმებას იწვევს) კონსტიტუციის რამდენიმე სხვა ნორმასაც. მაგალითად:

**„ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“ (17)**

**„პატივისა“ და „ღირსების“ გრძნობა ვერ შეუმუშავდება იმ მოზარდს, რომელსაც უცხო ყარაული კინწისკვრით გააგდებს თავისი სოფლის გაყიდული მინდვრიდან და ა.შ.**

ფაქტობრივად, ეს პერსპექტივა ელის საქართველოს კონსტიტუციითვე დაფიქსირებულ ყველა იმ ძირითად ადამიანურ უფლებებს, რომელთა რეალიზაციის პირობაცაა:

— **თავისუფალი საკუთარი** (ანუ თავისი ერის კუთვნილი) **სივრცე, რომელზეც და რომლის მიმართაც მოზარდი თავს უფლებამოსილად და პასუხისმგებლად გრძნობს და რაცხს;**

— **სახსარი** (მას საჭიროებენ, მაგალითად, პუნქტები, რომლებშიც აღიარებულია უფასო საბავშვო ბაღი, საშუალო განათლება და სხვ.). ასეთია თვით სახელმწიფოს მოვალეობაც კი, რომ მოქალაქე დაიცვას (არც არმია, არც პოლიცია მუქთი არ არის). საზოგადოდ, ასეთია ნებისმიერი კონსტიტუციის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის პოზიტიური ნაწილი, ანუ ის, რომელშიც ლაპარაკია ქვეყნის მოქალაქეთა ბედნიერებისა და პიროვნული გალაღების იმ ელემენტებზე, რომელთა მიწოდებაც მოქალაქისთვის კანონმდებლის უმაღლესი ნატვრაა.

ლიბერალური ეკონომიკური თეორია ყოველგვარი ეკონომიკური დაგეგმვის წინააღმდეგია, მიუხედავად ამისა, ერთი გეგმა, რომელიც ქვეყნის კონკრეტული გზით „აყვავებას“ისახავდა მიზნად, მაინც არსებობდა. მაშინ საქართველოს (დღეს კი უკრაინის) ეკონომიკურმა იდ- ▶

# კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ეოლოგმა ხელისუფლებას შემდეგი მიზანი დაუსახა: **„რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით ნაკლები თავის ტკივილი გვექნება, რადგან საქართველოში სოფლის მეურნეობა არაა კონკურენტუნარიანი, ამიტომ ფეხზე დავიკიდოთ; თუ გადარჩენა უწერია, თავისით გადარჩეს, თუ არადა დაიღუპოს, არაა პრობლემა“** (ნ. გოგიტიძე, „ქართული სიტყვა“, 2013, 03-21. კ. ზენდუქიძე: „სოფელში მცხოვრები მამაკაცები წავიდნენ შავ მუშებად, ქალები კი — მეძავებად!“).

**ქართველი გლეხკაცის მიწიდან აყრის გეგმას ყოფილი ხელისუფლება წარმატებით ასრულებდა. „სასურველ“ შედეგამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსაც მივყავართ. საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად ცნო ის ნორმა, რომელიც უცხოელებს უკრძალავდა, გამხდარიყვნენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეები.**

2013 წლის ივნისში პარლამენტმა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება დროებით შეაჩერა. კანონმდებელმა, ფაქტობრივად, დრო ითხოვა ახალი (და არა იმავე) რეგულაციის შესაქმნელად. ამასთანავე, მთავრობას ექვსი თვის ვადაში (2014 წლის 31.12-მდე) უნდა უზრუნველეყო მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება საქართველოს ტერიტორიაზე. რადგან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფაქტობრივი მდგომარეობა გასული ხელისუფლების წყალობით „სამაგალითოდ“ იყო აღწერილი (**2004 წლიდან საქართველოში შეწყდა ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის – მიწის ერთიანი ბალანსის (ანუ, მიწის აღრიცხვისა და კონტროლის) შედგენისა და დამუშავების აპრობირებული პრაქტიკა**), ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავების საშუალება საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტს არ მისცა.

2014 წლის 14 ივნისს კი საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ნორმისა და პარლამენტის მიერ კვლავ მიღებული ახალი ნორმის შინაარსი იდენტური იყო, ერთ მიზანს ემსახურებოდა და არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებით, არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა სადავო მორატორიუმი.

**საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, რომელიც მორატორიუმის შინაარსისა და მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ძირითადი აკრძალვის შინაარსობრივ იდენტურობას ადგენს, სამართლებრივად სრული ნონსენსია.** სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველი — **გასხვისების აკრძალვის მიზანი მოცემულ საქმეებში სხვადასხვა იყო.** თუ პირველ დავაში სახელმწიფო უკრძალავდა უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობას ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური ინტერესიდან გამომდინარე, **მეორე სადავო ნორმის მიზანი მხოლოდ ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შექმნა იყო,** რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. და მეორე — **შეუძლებელია, სასამართლოს ვერ დაენახა „ხანგრძლივობის“ განსხვავება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მიწის ფლობის სამუდამოდ აკრძალვასა და მის მხოლოდ დროებით შეჩერებას შორის. შესაბამისად, არა მხოლოდ მიზანია სხვადასხვა ამ ორი ნორმისა, არამედ მათი მოქმედების ხანგრძლივობაც.**

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ზედმიწევნით კარგადაა ცნობილი, რომ, თუ კანონმდებელმა უმოკლეს ვადაში ვერ მიიღო ახალი რეგულაცია, ამას გამოუსწორებელი სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს (სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების ზომების გარეშე საქართველო სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება).

**მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკაში გაბატონებულია მოცემული ქვეყნის მიწის უცხოელებზე გაყიდვის შემზღუდავი ნორმების გამოყენება — ზოგჯერ სრული აკრძალვაც. მაგალითად, აშშ-ში, რომელიც დანარჩენ მსოფლიოსთან ყველაზე ახლო კონტაქტში მყოფი ერთ-ერთი ქვეყანაა, მიწის 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხოელებს.**

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების, კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების, პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს, პირველ რიგში, ეხება მიწას და განსაკუთრებით — სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება, და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ **მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს** და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. **ამასთანავე, არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით.**

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის მატებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც **მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.**

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი, რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ.

Landesgegesetzblatt Nr. 88/1994).

**გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში“.**

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. **დღეს საქართველოს მოსახლეობის გამოკვება არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისთვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არ აქვს.**

საქართველოს სახელმწიფო თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას მოქალაქეობრივი მოვალეობების შესრულებას სრულფასოვნად ვერც მოსთხოვს, თუ მისი თავის რჩენის მთავარი ბაზა – სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.



**მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამასთანავე, არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით**

სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. **საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისთვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.**

**ამიტომაც, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.**

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება. სწორედ ამიტომაცაა, რომ **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ნებისმიერ სახელმწიფოში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტადაა მიჩნეული და მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ამ ტიპის მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისება დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით მხოლოდ შეზღუდული პირებისთვის.**

ჯერჯერობით **ჩვენ გვაქვს საშუალება, შევარბილოთ დაშვებული შეცდომის შედეგი – ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.**

ამასთანავე, **სასწრაფოდაა შესამუშავებელი:**

— **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაცვის პოლიტიკა, რომელიც ქართულ, სოციალურ რეალობას და განვითარებული ქვეყნების მდიდარ გამოცდილებას დაეყრდნობა;**

— **შევიტანოთ რიგი ცვლილებებისა მიწათსარგებლობის ახალ რეალისტურ კანონში ან „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელშიც თანამედროვეობაზე მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას;**

— **საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას მიწის დაცვის ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვისა და იჯარით აღების ყოველ კონკრეტულ განცხადებას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.**

**ანა ფირცხალაშვილი,**
**პაატა კოღუაშვილი,**
პროფესორები



## ებოლის ვირუსმა 337 კაცი იმსხვერპლა

**გვინეაში, სიერა-ლეონესა და ლიბერიაში ებოლის ვირუსით დაღუპულთა რაოდენობამ 337-ს მიაღწია.**

„ჩვენ წავაწყდით სერიოზულ პრობლემებს და ამ პრობლემების გადასაჭრელად პოლიტიკური დახმარებაა საჭირო, რადგან დაავადებამ გავრცელების სახიფათო დონეს მიაღწია. თუ ეს ქვეყნები დახმარებას ვერ მიიღებენ, ვირუსი შეიძლება სხვა სახელმწიფოებში გავრცელდეს“, — განაცხადა დირექტორმა რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციისა „ექიმები საზღვრებს გარეშე“ — ბარტ ჯენსენსმა.

**ებოლის ჰემორაგიული ცხელება — ეს არის სასიკვდილო დაავადება, რომელიც ადამიანის სისხლთან ან გამონადენთან პირდაპირი კონტაქტით ვრცელდება, აგრეთვე, დაავადებულის მიერ დაბინძურებულ საგნებთან შეხებით. მეცნიერებს ჯერ არ შეუქმნიათ ამ დაავადების სამკურნალო საშუალებები ან ვაქცინა.**




## მედიასკანდალი: გფბ-მ რუპერტ მერდოკის კომპანიის სერვერებიდან 80 ათასი ელექტრონული წერილი ამოიღო

**აშშ-ში, შესაძლოა, ბრალდება წაუყენონ რუპერტ მერდოკის საგამომცემლო სახლის თანამშრომლებს, რომლებიც ბრიტანელი პოლიტიკოსებისა და პოპულარული ადამიანების ელექტრონული ფოსტის უკანონოდ გახსნაში არიან ეჭვმიტანილნი.**

აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ნიუ იორკში მერდოკის კომპანია News Corp-ის სერვერებიდან 80 ათასი ელექტრონული წერილი ამოიღო. მერდოკის კომპანიას ბრალდებას წაუყენებს როგორც აშშ-ის, ისე დიდი ბრიტანეთის სასამართლო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ მასაჟის დროს პაციენტი დისკომფორტს განიცდის, ეს იმას ნიშნავს, რომ მასაჟისტი ან აპარატი რაღაცას არასწორად აკეთებს. მასაჟის არასწორად გაკეთებას სჯობს, საერთოდ არ გაკეთდეს, რადგან მეთოდის არასწორი გამოყენებით ადამიანისთვის ზიანის მიყენება ძალიან ადვილია.**

# ყველაფერი მასაჟის შესახებ



**მასაჟი არის ზეწოლის, ვიბრაციის, დაზელვის საშუალებით სხეულის ქსოვილებსა და ორგანოებზე მექანიკური და რეფლექტორული ზემოქმედებების ერთობლიობა. ის უშუალოდ ადამიანის სხეულის ზედაპირზე ტარდება, როგორც ხელებით, ისე სპეციალური აპარატურით, საჰაერო ან წყლის გარემოს გამოყენებით გარკვეული სამკურნალო ან სხვა კონკრეტული ეფექტების მისაღებად. მასაჟი მეცნიერულად დასაბუთებული, მრავალწლიანი პრაქტიკით გამოცდილი გამაჯანსაღებელ-სამკურნალო მეთოდია, რომელიც გამოიყენება პროფილაქტიკური მიზნითაც, ხოლო თერაპიაში, ქირურგიაში, ორთოპედიაში, გინეკოლოგიასა და ნევროლოგიაში მკურნალობის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს.**



ეს უძველესი სამკურნალო საშუალებაა, რომელსაც პირველყოფილი ადამიანებიც კი მიმართავდნენ — მათ ინსტინქტურად აღმოაჩინეს, რომ სხეულის ზედაპირზე გარკვეულ მოძრაობებს მათთვის სიამოვნება და შვება მოჰქონდა. მასაჟი, როგორც სამკურნალო მეთოდი, ყველაზე ადრე წყნარი ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებმა გამოიყენეს. ყველაზე ცნობილი მასაჟისტები ინდოელები და ჩინელები იყვნენ. ჩინეთში მასაჟის გამოყენება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში დაიწყეს. პირველად მას რევმატული ტკივილების, ამოვარდნილობების სამკურნალოდ, დაღლილობისა და კუნთთა სპაზმების მოსახსნელად მიმართავდნენ. ჩინელი ექიმები პაციენტს თავდაპირველად მთელ სხეულს უზელდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიოდნენ ლოკალურ მასაჟზე. ინდოეთშიც მთელ სხეულს ამასაჟებდნენ, გარდა ამისა, ინდოელებმა პირველებმა გამოიგონეს ორთქლის მასაჟი. სააბაზანოში, სადაც პროცედურა უნდა ჩატარებულიყო, გავარვარებულ ფილებზე ასხამდნენ სპეციალურ ნივთიერებას, იგი ორთქლდებოდა და ადამიანის კანში აღწევდა. კანის საკმარისად დატენიანების შემდეგ კეთდებოდა მასაჟი.

მასაჟი ქსოვილებზე მხოლოდ მექანიკურ გავლენას როდი ახდენს — იგი ერთვება რთულ ფიზიოლოგიურ პროცესებში, რომლებშიც წამყვან როლს ცენტრალური ნერვული სისტემა ასრულებს.

მთელი საიდუმლო ისაა, რომ მასაჟის დასაწყისში კანში, კუნთებში, მყესებსა და სისხლძარღვთა კედლებზე მოთავსებული რეცეპტორების გაღიზიანება ხდება, იმპულსი თავის ტვინს გადაეცემა და იწყება ის რთული რეაქციები, რომლებიც საბოლოო ჯამში მასაჟის დადებით ეფექტს განაპირობებს.

მეორე მხრივ, მასაჟის დროს კანში წარმოიქმნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომელთა დახმარებითაც ნერვულ იმპულსთა გადაცემა ხორციელდება. ორგანიზმზე მექანიკური გავლენით კი ძლიერდება სისხლისა და ლიმფის ცირკულაცია, ქრება შეგუბებითი მოვლენები, ძლიერდება კანის სუნთქვა.

მასაჟი არაერთი სახისაა, კატეგორიებს შორის გამოყოფენ სპორტულ, სამკურნალო, ჰიგიენურ, კოსმეტიკურ, ზოგად, ლოკალურ და სხვა სახისას. ზოგი მასაჟი ხელით კეთდება, ზოგი — სპეციალური აპარატით, ზოგი — ფეხითაც კი, ზოგი კი — ამ ყველაფრის შეხამებით.

**მასაჟი მკურნალობის ეფექტიანი მეთოდია სხვადასხვა სახის ტრავმისა და დაავადების დროს. ყოველი დაავადებისთვის არსებობს მასაჟის შესრულების განსაზღვრული ტექნიკა, ჩვენება და უკუჩვენებაც, ამიტომ ამ საკითხში გაუფრთხილებლობა, შესაძლოა, ცუდად დასრულდეს.**

თუ მასაჟი სამედიცინო დანიშნულებისა არ არის, მისი ყველაზე პოპულარული სახეობა ზოგადი მასაჟია. ის ტარდება მთელ სხეულზე განსაკუთრებულ მოძრაობათა თანმიმდევრობის მკაცრი დაცვით, ყველაზე ხშირად პროფილაქტიკური მიზანი აქვს და ემსახურება ორგანიზმის გამძლეობის გაზრდას და გადაღლის შემაწუხებელი სიმპტომების სწრაფ მოხსნას. როგორც წესი, ხელით შესრულებულ მასაჟს ყველაზე ხშირად მიმართავენ, თუმცა, კუნთების ტონუსის მომატებისას და ყველა იმ შემთხვევაში, როცა მასაჟი ხელით არასაკმარისად ეფექტიანია, დიდი ხანია აღმოსავლელი მკურნალები მიმართავენ მასაჟის ფეხით ჩატარების მეთოდს.

**მასაჟი მკურნალობის ეფექტიანი მეთოდია სხვადასხვა სახის ტრავმისა და დაავადების დროს. ყოველი დაავადებისთვის არსებობს მასაჟის შესრულების განსაზღვრული ტექნიკა, ჩვენება და უკუჩვენებაც, ამიტომ ამ საკითხში გაუფრთხილებლობა, შესაძლოა, ცუდად დასრულდეს**

სწორად შერჩეული და კარგად გაკეთებული მასაჟი პაციენტს არ ღლის. **თუ მასაჟის დროს პაციენტი დისკომფორტს განიცდის, ეს იმას ნიშნავს, რომ მასაჟისტი ან აპარატი რაღაცას არასწორად აკეთებს. მასაჟის არასწორად გაკეთებას სჯობს, საერთოდ არ გაკეთდეს, რადგან მეთოდის არასწორი გამოყენებით ადამიანისთვის ზიანის მიყენება ძალიან ადვილია**, თუმცა ჯანმრთელი ადამიანისთვის არასწორად ჩატარებული პროცედურით მძიმე დარღვევები არ განვითარდება.

გარდა კლასიკური მასაჟისა, **დიდი პოპულარობით სარგებლობს წერტილოვანი მასაჟი. ამ დროს ხდება ლოკალური ზემოქმედება ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე სხეულის ამა თუ იმ ნაწილში ლოკალიზებული ტკივილის, ფუნქციის დარღვევის აღმოსაფხვრელად;** წყალქვეშა მასაჟი კი აპარატული ტიპის მასაჟია, რომელიც წყლის ძლიერი ჭავლით სხეულის მასირებას გულისხმობს. ის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია და უკვე აღარ ითვლება ფუფუნების საგნად. მისი გაკეთება იოლად შეიძლება სახლშიც.

ერთი შეხედვით მასაჟი მარტივი, თითქმის პრიმიტიული ტექნიკაა, რომელიც არ საჭიროებს სპეციალურ პრეპარატებსა და დამხმარე საშუალებებს, მაგრამ ყველამ, ვისაც კი მასთან ჰქონია საქმე, იცის, რომ მთლად ასეც არ არის საქმე. **მასაჟის სეანსის შემდეგ სხეული უნდა დაითვალიეროთ და, თუ სადმე სილურჯე ან სისხლჩაქცევა შეამჩნიეთ, ამ მასაჟისტთან მეორედ მისვლა აღარ ღირს.**

რა თქმა უნდა, მასაჟისა და თვითმასაჟის შესწავლა შესაძლებელია, მაგრამ პროფესიონალურ დონეზე მას ერთ-ორ თვეში ვერ აითვისებთ. გარდა მგრძნობელობისა, რაც მასაჟისტის თითებისთვის აუცილებელი თვისებაა, საჭიროა სამედიცინო და ფიზკულტურული განათლება, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ზედმიწევნით ცოდნა, სპეციალური განათლება და, სულ მცირე, 3-4-თვიანი პრაქტიკა.

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, მასაჟისტს განსაკუთრებულად ძლიერი ხელები არ სჭირდება. გაცილებით მნიშვნელოვანია, სწორად ფლობდეს პროფესიული მანიპულაციების ტექნიკას. მასაჟი მეტისმეტად ღრმა და მტკივნეული არ უნდა იყოს (ღრმა მასაჟი მხოლოდ სპორტული კუნთებისთვის არის დასაშვები). თუ სეანსის შემდეგ თავი მხნედ ვერ იგრძენით, არ გაგიჩნდათ თავისუფალი მოძრაობისა და კარგი განწყობის შეგრძნება, უმჯობესია, შეიცვალოთ მასაჟისტი ან დროებით შეწყვიტოთ პროცედურები.

ხშირად მიიჩნევენ, რომ ნამდვილი მასაჟისტი ექსტრასენსიც უნდა იყოს და ამ მცდარ თვალსაზრისს ზოგიერთი პროფესიონალიც კი იზიარებს. არაერთ ავტორს მიაჩნია, რომ მასაჟისტის მომზადების პროცესში ჩართული უნდა იქნეს ბიოენერგეტიკის ელემენტები და ენერგეტიკული ზემოქმედებისა და დაცვის მეთოდური პრინციპები, რადგან ეს მასაჟისტებში, ექსტრასენსების მსგავსად, მგრძნობელობის განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ ეს მიდგომა მცდარია.

ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ რაც უფრო მეტ დარტყმას აყენებს მასაჟისტი კლიენტს, მით უკეთესი სპეციალისტია იგი, რაც, ცხადია, არ არის სწორი. ვიბრაციული, დარტყმითი მასაჟი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. არც ისაა აუცილებელი, რომ მასაჟი რაიმე კრემის ან ზეთის გამოყენებით ჩატარდეს — სამკურნალო მასაჟების უმრავლესობა „მშრალია“. „მშრალ“ მასაჟს უკეთებენ ჩვილებსაც. ამ დროს ხდება კანისა და კანქვეშა უჯრედების გადანაცვლება, ზეთისა და კრემის გამოყენებისას კი ამის მიღწევა შეუძლებელია. მათი მეშვეობით მასაჟისტი მხოლოდ საქმეს იადვილებს. მასაჟის სალონურ სახეობებში, რომლებიც უმთავრესად სარელაქსაციოდ, მოსადუნებლად და სტრესის მოსახსნელად არის განკუთვნილი, ზეთოვან საფუძველზე დამზადებული კოსმეტიკური პრეპარატების გამოყენება აუცილებელიც კია, მაგრამ ეს საშუალებები ინდივიდუალურ შერჩევას საჭიროებს.

**მასაჟის ეფექტი გამოყენებული მეთოდების რაოდენობის პროპორციულად არ იზრდება.** ადამიანს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ▶





ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მარსელი ჯარისკაცი

**ყოფილი ამერიკელი ჯარისკაცი, რომელიც ფლოტში მსახურობდა, აცხადებს, რომ 17 წელი მარსზე მუშაობდა.** ჯარისკაცი, რომლის ფსევდონიმია კაპიტანი კეი, სიამაყით ამბობს, რომ „წითელ პლანეტაზე“ გაგზავნეს და ადამიანთა 5 კოლონია მკვიდრი მარსელებისგან იხსნა. ის ამბობს, რომ 3 წელი საიდუმლო „კოსმოსურ ფლოტში“ გაატარა, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია დედამიწის თავდაცვის ძალები (Earth Defense Force) ხელმძღვანელობდა. მისი თქმით, ეს ორგანიზაცია სამხედრო მოსამსახურეებს და ახალწვეულებს იღებს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის აშშ-დან, რუსეთიდან და ჩინეთიდან. კაპიტან კეის თქმით, 20 წლის შემდეგ სამსახურიდან გადადგა და მისი გაცილების ცერემონიას რამდენიმე ვიპსტუმარიც ესწრებოდა.





ზოგიერთი ტექნიკური ილეთი ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ გამოცდილ მასაჟისტებს არასდროს ეეჭვებათ, რომ ზოგჯერ პრაქტიკაში ერთ-ორი ილეთის გამოყენებითაც არის შესაძლებელი არაჩვეულებრივი ეფექტის მიღწევა. მთავარია, ეს ილეთები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად შეირჩეს. ასევე მნიშვნელოვანია ხელის მტევნების სხეულზე სწორად მოთავსება და სწორი მოძრაობების შესრულება.

ცელულიტის წინააღმდეგ მასაჟს ეფექტური გამოყენება აქვს. კიდევ ერთი მცდარი მოსაზრების თანახმად, ცელულიტი მხოლოდ მსუქნების პრობლემაა. სინამდვილეში კი ის ხშირია ნორმალური წონის ქალებშიც და საკმაოდ ახალგაზრდა ასაკშიც კი გვხვდება.

ცელულიტი შემაერთებელი ქსოვილის სისუსტეა. ის უმეტესად ქალებს აწუხებთ, რაც იმით აიხსნება, რომ ქალის შემაერთებელ ქსოვილს ნაკლებად თანაბარი სტრუქტურა აქვს. ამავე დროს, მოწიფულ ასაკში ქალებს სხეულის განსაზღვრულ ადგილებზე ცხიმოვანი ქსოვილი შედარებით ჭარბად უვითარდებათ, რომელსაც თან სდევს კანზე ღრმულებისა და ბორცვების გაჩენა.

**სიმსუქნისაგან განსხვავებით, ცელულიტის დროს ცხიმი სხეულზე არათანაბრად გროვდება, თუმცა მიიჩნევა, რომ ის სწორედ წონის მომატებით იწყება, შემდეგ კი პროცესში კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედები ერთვება.**

უნდა აღინიშნოს, რომ ცელულიტის განვითარებას თავისი სტადიები აქვს და მასაჟი მხოლოდ საწყის ეტაპზე იძლევა სასურველ შედეგს, თუ პროცესი შორსაა წასული, მხოლოდ მასაჟი უეფექტო იქნება, ამ შემთხვევაში მთლიანად ცხოვრების წესის შეცვლაა საჭირო პრობლემის გადასაჭრელად.

ბოლო დროს ცელულიტის დასამარცხებლად ყველაზე პოპულარული თაფლის მასაჟი გახდა. ამ პროცედურის დროს კანი ჯერ მსუბუქი დარტყმითი მოძრაობებით ხურდება, შემდეგ ხელის გასმითი მოძრაობებით მასზე თაფლს უსვამენ. თაფლით მუცელზე მოძრაობა სრულდება საათის ისრის მიმართულებით, ხოლო ბარძაყებზე — ზემოთ და ქვემოთ. ამის შემდეგ ხელისგული მაგრად უნდა დააჭიროთ კანს და სწრაფად აიღოთ. მასაჟი 10-15 წუთს გრძელდება, კანი შეწითლდება და, შესაძლოა, მსუბუქი ტკივილის შეგრძნებაც ახლდეს, მაგრამ მალე გაივლის. პროცედურის შემდეგ აუცილებელია შხაპი.

**რაც შეეხება ანტიცელულიტური მასაჟის კიდევ ერთ ძალზე გავრცელებულ სახეობას, მისთვის ვაკუუმის ქილები ჩვეულებრივ აფთიაქებში იყიდება.**

კანზე წინასწარ ისვამენ სპეციალურ კრემს ან ზეითუნის ზეთს. მასაჟი იწყება ხელის ნელი გადასმით და შემდეგ მოძრაობა თანდათან უფრო სწრაფი ხდება. გახურებულ კანზე იდებენ ქილას ისე, რომ კანი ქილამ შიგნით შეიწოვოს. შემდეგ ქილას იჭერენ ისე, რომ კანს არ მოსძვრეს და ნელა ამოძრავებენ სხეულის ზედაპირზე. პროცედურა 15 წუთს გრძელდება და შემდეგ ისევ საჭიროა ხელის გადასმა.

**დასასრულ, ფართოდაა გავრცელებული ცრურწმენა, რომ მასაჟი ცხიმებს შლის. სამწუხაროდ, გამოკვლევები ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.** მასაჟის დროს სისხლისა და ლიმფის მიმოქცევა უმჯობესდება და შესაბამისად უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლაც, მაგრამ, მხოლოდ მასაჟით თუ ვინმემ შეიძლება წონაში დაიკლოს, ეს მასაჟისტია და არა პაციენტი.



## ჭიქა, რომელიც თავისით ცივდება

**ღვინის საშუალო ტემპერატურა სუფრაზე 18 გრადუსს შეადგენს. გამონაკლისი არის შამპანური და თეთრი ღვინის ზოგიერთი სახეობა, რომელთა გაციებაც აუცილებელია 10 გრადუსამდე.**

ცხელი სეზონის დროს ღვინო ჭიქაში მალე ცხელდება და არასასიამოვნო გემო აქვს. იმისათვის, რომ ეს უხერხულობა ავირიდოთ თავიდან, დიზაინერებმა მოიფიქრეს სპეციალური თვითგაციებადი ჭიქა, რომელიც დიდხანს უნარჩუნებს შეუცვლელად ტემპერატურას სასმელს.

ამ ჭურჭლის საიდუმლოება მდგომარეობს სპეციალურ გელში, რომელიც განთავსებულია ჭიქის ფსკერზე. კომპაქტური სილიკონის ტომარა წინასწარ ცივდება ყინულის კამერაში, ხოლო მაგიდაზე დადგმამდე თავსდება ჭიქაში მაგნიტით.

ეს საშუალებას არ აძლევს სასმელს, ნახევარი საათის განმავლობაში გათბეს. ამას გარდა, შემქმნელებმა დაამატეს ფართო სილიკონის ჩანართი, რომელიც ღვინოს ხელისგულში გათბობისგანაც იცავს. სულ დიზაინის ორი ვარიანტი გაკეთდა.

სხვათა შორის, იმისათვის, რომ ღვინო უფრო სასიამოვნო იყოს, გვირჩევენ, ჟანგბადით გავამდიდროთ.









## ჭკვიანი ჭიქა



**ერთი ჩვეულებრივი ყავის ჭიქაც კი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება „ჭკვიანი“ გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ცნობილმა დიზაიერმა ივ ბეჰარმა შექმნა ამ ორდინალური ჭურჭლის ციფრული ვარიანტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვაკონტროლოთ დიეტა და თვალი ვადევნოთ ჯანმრთელობას.**

ივ ბეჰარი ცნობილია თავისი პროექტებით, რომლებიც გენიალურობისა და სიგიჟის ზღვარზე მერყეობენ. მისი ნამუშევრებია, მაგალითად, გამჭვირვალე საათი Vue watch ან სკამი-ტრანსფორმერი Kada.

**მისი ახალი ქმნილება — „ჭკვიანი“ ჭიქა საზღვრავს არამხოლოდ სასმელის სახეობას და ტემპერატურას, არამედ იმასაც, თუ რისგან შედგება ის.**

**ჭიქას შეუძლია გაგზავნოს სმარტფონზე სპეციალური აპლიკაციით ინფორმაცია იმაზე, თუ როგორი სასმელი ასხია ახლა მასში, შაქრის, ცხიმის, კოფეინის და კალორიების რაოდენობა და ასევე ქიმიური შემადგენლობა.**

ივ ბეჰარი ამბობს, რომ ამ ჭიქას შეუძლია განსაზღვროს „კოკა-კოლა“ ასხია მასში თუ „პეპსი“. ადამიანს ასევე ამ უცნაური ჭიქით შეუძლია თავისი დიეტის კონტროლი. ეს ჭურჭელი ძალიან მოეწონებათ ალერგიულებს — მათ შეუძლიათ ნახონ, არის თუ არა სასმელში ალერგიის გამომწვევი ნივთიერებები.

## ახალი მობილური ოპერაციული სისტემა iOS 8

**კორპორაცია Apple არ ჩქარობს, გაახაროს ფანები iPhone 6-ით. ვარაუდობენ, რომ მისი პრეზენტაცია მომდევნო შემოდგომას შედგება. სამაგიეროდ, ოფიციალურად იქნა წარდგენილი ახალი ოპერაციული სისტემა სმარტფონებისა და პლანშეტებისთვის — iOS 8.**

გასულ წელს გამოსული iOS 7-ის მთავარი ნაკლი იყო მისი გარეგნობა, რომელიც საკმაოდ არასერიოზული იყო. ოპერაციულმა სისტემამ დაკარგა ის ვიზუალური შემადგენლობა, რაც ადრე Apple-ის ძველ პროდუქტებში იყო და კომპანიამ გადაუხვია აღებულ სტილს. ახალ ვერსიაში ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწყდა.

მაგრამ მთავარი iOS 8-ში არის არა ვიზუალი, არამედ ტექნიკური მახასიათებლები. iOS 8-ის შემქმნელები ჰპირდებიან მომხმარებლებს აქამდე უნახავ შესაძლებლობებს, როგორც კერძო ხმარებისას, ასევე ბიზნესისთვისაც.

სისტემას აქვს უფრო ინტუიტური ინტერფეისი და ახლა მას დაემატა უფრო მეტი შესაძლებლობები გამოსახულებებთან მუშაობისთვის, როგორც მათი რედაქტირებისთვის, ასევე სურათების შენახვისთვის ღრუბლისებურ სერვისებში. სხვათა შორის, სერვისი iCloud Drive შეეხება ყველა ფაილს და არამხოლოდ ფოტოებს.

ფუნქცია „ოჯახური ხელმისაწვდომობა“ საშუალებას მოგცემთ, მარტივად და სწრაფად გაუგზავნოთ შეტყობინებები, ფოტოები და ფაილები ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, ხოლო ჩაშენებული აპლიკაცია „ჯანმრთელობა“ გახდება თქვენი პერსონალური ფიტნეს-მწვრთნელი.

ახალი სისტემა იქნება უფრო მარტივი და სწრაფი მოსახმარად. iOS 8 საშუალებას მოგცემთ, გააუმჯობესოთ ურთიერთქმედება iPhone, iPad-სა და iMac-ს შორის. მაგალითად, თქვენ შეგეძლებათ დაიწყოთ მუშაობა ფაილზე ერთ მოწყობილობაში და დაამთავროთ მეორეში.

**iOS 8-ის ბეტა ვერსია უკვე ხელმისაწვდომია.**



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ტორტი ლაიზა მინელისა და დევიდ გესტისთვის – 40 000 დოლარი

**ლაიზა მინელის და დევიდ გესტის საქორწილო ტორტი დაჯდა 40 000 დოლარი.** ცერემონიაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ელიზაბეთ ტეილორი და მაიკლ ჯექსონი, ტორტი მართლაც შთამბეჭდავი იყო. 12-იარუსიან შავ-თეთრ შედევრს ამკობდა თეთრი აქცენტები: ვერცხლის ფურცლები და ხაზები, წითელი და იისფერი ვარდები.

# ყველაზე ძვირადღირებული საქორწილო ტორტები




## ტორტი ეროვნული საქორწილო გამოფენისთვის – 52,7 მილიონი დოლარი

**ყველაზე ძვირად ღირებული ტორტი მსოფლიოში დაახლოებით 53 მილიონი დოლარი ღირს.** შედევრი დამზადდა ეროვნული საქორწილო გამოფენისთვის ლივერპულში 2013 წელს. ის შედგებოდა რვა იარუსისგან, რომლებიც დაფარული იყო თეთრი გლაზურით. იმისათვის, რომ ტორტს ჰქონოდა ბრწყინვალება, ის მორთეს 4000 ბრილიანტით. გამოფენის დასრულების შემდეგ სტუმრებს შეეძლოთ ტორტის ნაჭრის დაგემოვნება.

## ტორტი საქორწილო სალონიდან Dallas Bridal Fair – 1.3 მილიონი დოლარი



**2010 წელს Dallas Bridal Fair-ის საქორწილო სალონმა წარადგინა შთამბეჭდავი საქორწილო ტორტი.** კომპანია Dallas Delicious Cake-მა გამოაცხო 9 იარუსი, ხოლო ორნამენტები ტორტისთვის დაამზადა კომპანია Dallas Gold and Silver Exchange-მა. ყველა იარუსი დაფარული იყო სპილოსძვლისფერი კრემით და სპეციალური ვერცხლის საფარით. ტორტის წონა შეადგენდა 80 კგ-ს. ტორტი მორთული იყო ლენტებით, რომლებზეც ჩამოკიდებული იყო ბრილიანტები. მორთვისთვის საჭირო გახდა 1200 კარატი. ტორტის ფასმა 1.3 მილიონი დოლარი შეადგინა. ის გაყვეს 320 სტუმარზე და, შესაბამისად, ერთი ნაჭერი დაახლოებით 4 000 დოლარი დაჯდა.



## ტორტი საქორწილო შოუსთვის – 20 მილიონი დოლარი

**2006 წელს საქორწილო შოუზე ბევერლი-ჰილსში წარადგინეს ძვირი ტორტი, რომელიც შექმნა კულინარ-დიზაინერმა ნაჰიდ პარსომ.** სქელი მოთეთრო-კრემისფერი გლაზური ფარავდა ტორტის მაღლითა ნაწილს. შუა იარუსები დაფარული იყო ატლასით და პასტელის ფერებით. ტორტის ქვედა იარუსი მორთული იყო ოქროს ფანტელებით, რაც ტორტს უფრო ბრწყინვალეს ხდიდა. მაგრამ ელემენტები, რომლებიც ტორტს ხდის უფრო ძვირადღირებულს, არის დიდი ბრილიანტები, რომლებიც მოჰყვებოდა მაღლიდან დაბლა. საქორწილო შოუს სტუმრებმა ვერ დააგემოვნეს ტორტი და ვერც მიუახლოვდნენ მას, რადგან მას ექვსი შეიარაღებული მცველი დარაჯობდა.



## ტორტი პრინც უილიამისა და ქეით მიდლტონისთვის – 80 000 დოლარი

**პრინც უილიამისა და ქეით მიდლტონის სამეფო ქორწილი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე შეყვარებულები ერთმანეთს სიყვარულს შეჰფიცავდნენ, კონდიტერ-დიზაინერი ფიონა კეიმსი ნერვიულობდა იმაზე, თუ როგორ უნდა გადაეტანათ ტორტი მისი საკონდიტროდან ბუკინგემის სასახლეში.** კულინარიულ შედევრს ჰქონდა რვა იარუსი, რომლებიც დაფარული იყო კრემისფერ-თეთრი კრემით. 17 სხვადასხვა ფერი, რომელთაც სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობები ჰქონდა, შაქრისგან დამზადდა. მეშვიდე იარუსზე იყო ინგლისური ვარდი, შოტლანდიური ნარშავა, უელსური ნარცისი და ასევე ირლანდიური სამყურა. ეს არის გაერთიანებულ სამეფოში შემავალი ერების სიმბოლოები. საბოლოო ჯამში ტორტის მორთვისთვის გამოყენებულ იქნა შაქრის 900 ფერი.



## ტორტი პრინც ჩარლზისთვის და პრინცესა დიანასთვის – 40 000 დოლარი

**პრინც ჩარლზისა და პრინცესა დიანას ქორწილი შედგა 1981 წელს წმინდა პავლეს ტაძარში, ლონდონში. გრანდიოზული ქორწილისთვის დაამზადეს გრანდიოზული — 1,5 მეტრიანი ტორტი.** შედევრი შექმნა სამეფო საკულინარო სკოლის მზარეულმა დევიდ ეივერმა. ტორტი მორთული იყო ვარდებით, ორქიდეებითა და შროშანებით. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი იყო, მის გარდა ქორწილისთვის კიდევ 27 შედარებით მცირე ზომის ტორტი გამოაცხვეს.

## ჩელსი კლინტონისა და მარკ მეზვინსკის ტორტი – 11 000 დოლარი



**ჩელსი კლინტონისა და მარკ მეზვინსკის ქორწილის დეტალები დიდი ხნის განმავლობაში არ ხმაურდებოდა.** La Tulipe Desserts-ის მფლობელებმა, დიზაინერებმა მარტენ და ფრანსის სტინმენებმა დაამზადეს წყვილის ოცნების ტორტი და დეტალებიც საიდუმლოდ შეინახეს. ვანილიანი ბისკვიტის ტორტი დაამზადეს არაწებოვანი ფქვილისგან. ასევე გამოიყენეს შოკოლადის მუსი. ტორტი შედგებოდა ცხრა იარუსისგან. სიმაღლე იყო 1,2 მეტრი. ყოველი იარუსი დაფარული იყო ვანილის საცხით და მორთული იყო უამრავი ვარდით.



## მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ტორტი – 7 000 დოლარი

**2000 წლის ნოემბერში სასტუმრო პლაზაში, ნიუ იორკში, შედგა ცნობილი წყვილის — მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ქორწილი.** ცენტრალური ადგილი ეკავა ათიარუსიან ვანილის ტორტს. ის შექმნა სილვია ვეინსტოკმა, რომელმაც მიიღო კიდეც ტიტული — „საქორწილო ტორტების შედევრი“. ტორტი იმდენად დიდი იყო, რომ დარბაზში მის შესატანად ზედა იარუსების მოხსნა გახდა საჭირო. ტორტის სიმაღლე 1.8 მეტრი იყო.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 2 წლის ალკოჰოლიკი



**2 წლის ჩენგ ჩენგი მსოფლიოში ყველაზე პატარა ალკოჰოლიკია. მან ღვინო პირველად 10 თვის ასაკში გასინჯა, ხოლო 1 წლისამ ლუდიც დააგემოვნა. ბავშვი ჩინეთის პროვინცია ანხოიში ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც ჩენგის ამბავი ადგილობრივმა მედიამ გაახმაურა, მშობლებს უამრავი ექიმი დაუკავშირდა — ისინი მათ მოუწოდებენ, რომ სასწრაფო რეაგირება მოახდინონ, რადგანაც ალკოჰოლი ბავშვის ორგანოებს დაღუპავს.** ექიმების გაფრთხილება სასაცილოდ არ ჰყოფნის ბავშვის მამას, რომელიც ჩენგის ალკოჰოლისადმი სიყვარულზე იცინის. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც მამამ პატარას წვეთი ღვინო დაალევინა, რადგანაც ბავშვი ტიროდა და იფიქრა, ალკოჰოლი დაამშვიდებდა. დედას ეშინია, რომ ოფიციალური პირები მას და მის მეუღლეს ბავშვზე ზრუნვის უფლებას ჩამოართმევენ და აპირებს, შვილს რძე შეაყვაროს.




## ტორტი ფილმისთვის «სექსი დიდ ქალაქში 2» — 32 000 დოლარი

**იმისათვის, რომ ტორტს ელეგანტურობა შეჰმატოთ, საჭიროა, მხოლოდ დაამატოთ სვაროვსკის კრისტალები. ეს არის ის, რაც გააკეთა რონ ბენ-ისრაელმა, ცნობილმა მაღალანაზღაურებადმა კონდიტერმა ნიუ იორკიდიან.** სულ დიზაინერს დასჭირდა 4000 სვაროვსკის კრისტალი, რომ შეექმნა გამაოგნებელი დესერტი. თეთრმა ვანილის ტორტმა სახელწოდებად მიიღო „თეთრი ღრუბელი“. სპეციალურად ამ ტორტისთვის გაკეთდა აკრილის სადგამი. ტორტის საერთო სიგრძე შეადგენდა 2 მეტრს. შედევრის შექმნას 450 საათი დასჭირდა.



## კიმ კარდაშიანისა და კრის ჰამფრისის ტორტი — 20 000 დოლარი

**როდესაც კიმ კარდაშიანი ცოლად გაყვა NBA-ს კალათბურთელ კრის ჰამფრისს, მოწვეული სტუმრები ამბობდნენ, რომ საქორწილო ტორტი ისე გლამურულათ გამოიყურებოდა, როგორც თვით პატარძალი.** 2,5 მეტრიანი ტორტი შექმნა დიზაინერმა პატრიკ ჰანსენმა. თეთრი და შავი ფერის იარუსები ტორტს უზრუნველყოფდა თანამედროვე სტილით. ის იმენად დიდი იყო, რომ იარუსები დაშალეს და სტუმრებს ცალცალკე დაუჭრეს.

# მილერის ექსპერიმენტი

**ადამიანებს დასაბამიდან აინტერესებდათ, თუ რამ შექმნა სამყარო და რატომ არის ის ისეთი, როგორიც არის. საუკუნეების წინ სულიერისა და უსულოს არსებობას მიაწერდნენ ღმერთს ან ღმერთებს და ბევრი კმაყოფილდებოდა ინფორმაციით, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო და ადამიანი ისეთად, როგორსაც დღეს ვხედავთ.**



თუმცა არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც ეს მოსაზრება სრულყოფილად არ მიაჩნდათ და დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო სიცოცხლე.

დღესდღეობით დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის არაერთი თეორია არსებობს. გასაკვირი არ არის, რომ ბევრი მათგანი ნაკლებად ან სავსებით არ არის დამაჯერებელი, თუმცა არსებობს ერთი თეორია, რომლის ჭეშმარიტების უარყოფაც მილერის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შემდეგ, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

**მილერის ექსპერიმენტამდე აქტუალური იყო თეორია, რომ, სამყაროში არსებული პლანეტების მსგავსად, დედამიწაც კოსმოსური მტვრის შეერთებით წარმოიქმნა, წყალი კი მეტეორებმა მოგვიტანეს.** ამ თეორიას ბევრი მეცნიერი ეთანხმებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამომწურავად ვერავინ პასუხობდა კითხვას, თუ საიდან გაჩნდა დედამიწაზე ორგანული ნივთიერებები, რის გარეშეც სიცოცხლის წარმოშობაც შეუძლებელია. ამ თეორიის თანახმად, მთელი სამყარო არაორგანული ნივთიერებისგან შედგებოდა....

დიდი დროის განმავლობაში ეს კითხვა პასუხის გარეშე რჩებოდა, სანამ არ ჩატარდა მილერის ექსპერიმენტი.

მთავარი, რაზეც ეს ექსპერიმენტი იყო დამყარებული, გახდა კითხვა — შეიძლებოდა თუ არა არაორგანული ნივთიერებებისგან ორგანულის მიღება? მიუხედავად იმისა, რომ ადრე ეს მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკად მიიჩნეოდა, მეცნიერებმა მაინც სცადეს ბედი. მათ შექმნეს ისეთივე პირობები, როგორიც დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისას იყო — არაორგანულ ნივთიერებაში გაატარეს მაღალი ძაბვის დენი (იმ დროს დედამიწას არ ჰქონდა ატმოსფერო, რის გამოც მზიდან წამოსული უშველებელი რაოდენობის რადიაცია დედამიწას გამუდმებით გარს ეხვეოდა). მალე მოხდა აღმოჩენა, რომელმაც არამარტო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სიცოცხლის წარმოშობის თეორიაში, არამედ მეცნიერებაშიც მოახდინა გადატრიალება — ჭურჭლის ფსკერზე, რომელშიც მხოლოდ არაორგანული ნივთიერებები იყო მოთავსებული და მათ გარემოსთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, დაილექა ორგანული ნივთიერებები – ამინომჟავები. სწორედ ამინომჟავებია ჩვენი დნმ-ის საშენი მასალა, რომლის გარეშეც ვერ იარსებებდნენ არამხოლოდ მრავალუჯრედიანი, არამედ ერთუჯრედიანი ორგანიზმებიც კი.

**მილერის ექსპერიმენტმა გაამყარა თეორია, რომ ცოცხალი შეიძლება გაჩნდეს არაცოცხალისგან.** მიუხედავად ამისა, სიცოცხლის წარმოშობის სრულყოფილ თეორიაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. მეცნიერებმა ჯერ კიდევ არ იციან, თუ საიდან წარმოიქმნენ რიბოსომები, იგივე „მშენებლები“, რომლებიც ამინომჟავებისგან აგებენ დნმ-ს. თუმცა არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ ფაქტს, რომ მილერის ექსპერიმენტი და მისი შედეგები უზომოდ წინ გადადგმული ნაბიჯია იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომელიც ადამიანთა მოდგმას ათასწლეულების განმავლობაში აწუხებს — როგორ წარმოიქმნა სიცოცხლე.






# ქურდმა ძარცვისას «ფეისბუქი» ჩართული დატოვა



**26 წლის მძარცველი კრიმინალისტიკის ისტორიაში სისულელის ყველა რეკორდს ხსნის. მინესოტაში სახალისო ინციდენტი მოხდა: პოლიციელებს ქურდის მოძებნაში დიდი დრო არ დაუკარგავთ — დამნაშავემ ძვირფასი ნივთების მოპარვის შემდეგ კომპიუტერი ჩართო, „ფეისბუქში“ შევიდა და წასვლისას პროფაილიდან გამოსვლა დაავიწყდა.**

როდესაც სახლის პატრონი ჯეიმს ვუდი შინ დაბრუნდა, შენიშნა, რომ ფული, საკრედიტო ბარათები და ძვირფასი მაჯის საათი მოპარული იყო, მაგრამ იპოვა ქურდის ჯინსი და ქამარი. მოგვიანებით კომპიუტერის ეკრანზე ვინმე ნიკის „ფეისბუქის“ გვერდი ნახა. როდესაც დაზარალებულმა გააცნობიერა, თუ რა მოხდა, დამნაშავის გვერდიდან მისი ფოტო გააშეარა. ფოტოს პოსტი დაურთო, რომ ნიკ ვიგი ქურდია. დაწერა თავისი მობილურის ნომერი და ყველას სთხოვა, რომ, ამ კაცზე ნებისმიერი ინფორმაციის ქონის შემთხვევაში, მითითებულ ნომერზე დაერეკათ. დაზარალებული ვერც კი წარმოიდგენდა, რომ კრიმინალი საღამოს თავადვე დაუკავშირდებოდა. ამ ამბავში ყველაზე უცნაური ისაა, რომ ქურდი ძარცვის ადგილზე თავისი ფეხით დაბრუნდა.

**„გუშინ ღამით ჩემს სახლში რამდენიმე ნივთი დაგრჩათ, როგორ შემიძლია დაგიბრუნოთ?“** — ჰკითხა ქურდს სახლის პატრონმა.

ვიგი დათანხმდა, რომ სახლში დაბრუნდებოდა და ნივთებს წაიღებდა. სწორედ იმ დროს, როდესაც ქურდი ნივთების წასაღებად მივიდა, პოლიციელების ალყაში აღმოჩნდა. დამნაშავეს 10 წლით პატიმრობა ელის.

# საუკუნეებია, არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც გეოგრაფიას პოლიტიკად აქცევდა

## თურაშაულის პატრონი ტყეში ვეძებთ პანტას

**მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტია „თეთრები“ მისი დაარსების დღიდან და პირადად მე მთელი ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში მხარს ვუჭერთ და საქართველოს მომავლისთვის გაცილებით უკეთესად მიგვაჩნია ევროკავშირთან ურთიერთობის შვეიცარიული მოდელი, მაინც პოზიტიურად ვთვლით ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას.**

**ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავება მართლაც კარგი მოვლენაა, მისი შეუფასებლობაც და გადაჭარბებული შეფასებაც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ორი მეტად დამაფიქრებელი მომენტის გამო.**



## საქართველოს მომავლისთვის გაცილებით უკეთესად მიგვაჩნია ევროკავშირთან ურთიერთობის შვეიცარიული მოდელი

**პირველი** — დაწყებული **შევარდნაძის** ხელისუფლებიდან, ეს თემა და ნატოსთან თანამშრომლობა **ზედმეტად პოლიტიზებულია – ემსახურება ხელისუფლებისთვის ბრძოლას და ხელისუფლების შენარჩუნებას.** ამ თემების პოლიტიზებამ გრანდიოზული მასშტაბები მიიღო **„ნაცების“** ეპოქაში და გრძელდება „ოცნების“ პერიოდშიც; დაგვავიწყდა საქართველო, ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა და გაცილებით მეტს ვფიქრობთ ევროპელ ლიდერთა კეთილგანწყობის მოპოვებაზე. მეტიც, **ხელისუფლებებმა მოსახლეობას შეუქმნეს გრანდიოზული მოლოდინი** და ხელისმოწერის პერიოდში ქვეყანაში **ამერიკისა** და **ევროკავშირის** მიმართ გულწრფელად, ხაზს ვუსვამ, გულწრფელად იმედის მქონეთა რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. ჩვენდა საუბედუროდ, ევროკავშირთან ურთიერთობა ევროპაში სარჩოს საშოვნელად წასვლასთან გაიგივდა. ეს სამომავლოდ იმედების მეტად გაცრუების გზაა. დრო ამას დაადასტურებს.

**მეორე** — თვით ევროკავშირი კრიზისშია. ამის შესახებ ევროკავშირის ლიდერებიც ხმამაღლა საუბრობენ. ფაქტია ისიც, რომ ევროპაში, მთავრობებს გარდა, პრაქტიკულად ცოტა დარჩა ევროკავშირის მომხრე. **მასიურად მიდის საუბარი ევროკავშირზე, როგორც ახალ საბჭოთა კავშირზე... ბევრი ევროპის წარმომადგენლები შეწუხებულნი არიან იმით, რომ ევროკავშირში მიღება დემოკრატიულ, ეკონომიკურ და სულიერ ღირებულებებს კი არ ეყრდნობა, არამედ პოლიტიკური ნიშნით ხდება.** მთავარი პოლიტიკური საზომი რუსეთი გახდა. თუ ხარ დაპირისპირებული ან შესაძლოა, პოტენციურად გახდე ასეთი, ფართოდ გიღებენ კარს. ამის შედეგია, რომ დაშლილი **იუგოსლავიის** ყველა ქვეყანა, **ყოფილი სოციალისტური ბლოკის** თითქმის ყველა ქვეყანა, დემოკრატიისგან შორს მდგომი და განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი **ალბანეთიც** კი, მისი წევრი გახდა. ალბანეთი ნატოშიც მიიღეს. ბევრი ევროპა შეწუხებულია იმითაც, რომ შიგა კონფლიქტების ყველა ყოფილ საბჭოთა ქვეყანასაც ევროკავშირისკენ ექაჩებიან, ვერაფერი მოუხერხეს მხოლოდ **სომხეთსა** და **აზერბაიჯანს**, რომლებმაც არ მიიღეს ევროკავშირის თხოვნა და უარი თქვეს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

დამაფიქრებელია, რომ ჩვენ ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერას „ხბოს აღტაცებით“ ვხვდებით, მაშინ, როცა **დიდი ბრიტანეთი** გამოსვლაზე ფიქრობს, ასეთივე განწყობა ძლიერდება **საბერძნეთშიც, იტალიაშიც, უნგრეთშიც** და ბევრ სხვა, უკვე წევრ ქვეყანაში. მაშინ, როცა **ესტონეთის** პრეზიდენტიც კი საუბრობს იმაზე, რომ ევროკავშირში შესვლის შემდგომ ქვეყანა დეპრესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, დაიცალა მოსახლეობისგან, განსაკუთრებით — ახალგაზრდებისგან.

ესტონეთის პრეზიდენტიც კი იმაზე საუბრობს, რომ ესტონელები მხოლოდ მსახურებად მიდიან ევროპაში.

**ხელისუფლება ზეიმობს, ჩვენ კი ნაკლები გვაქვს საზეიმო, დაფიქრება კი ბევრ რამეზე გვჭირდება.**

**უკანასკნელი, მინიმუმ, 200 წლის მანძილზე ხან რუსეთთან და ხან ევროპასთან ხელშეკრულებით ვცდილობთ ქვეყნის გადარჩენას, შედეგი კი საწინააღმდეგოა: აღარც დამოუკიდებლობა, აღარც ქართული ცნობიერება... ბადალი არ გვყავს წარსულის უარყოფაში.**

**ვინც წარსულს უარყოფს, წარსულით და წარსულში ცხოვრობს; ვინც წარსულს აანალიზებს — მომავალში და მომავლით.**

ეს არ არის ჩემი გამოგონილი, ეს ისტორიული გამოცდილებაა და ამის მაგალითად დავით **აღმაშენებელი** და მისი ეპოქა გამოდგება.

**ადვილია ერთის უარყოფით და მეორესთან მიკედლებით ქვეყნის მართვა. გავიარეთ ეპოქა: ამერიკა მტერია, რუსეთი – მეგობარი, ვცხოვრობთ ეპოქაში: რუსეთი მტერია, ამერიკა და ევროპა — მეგობარი.**

**მიგვაჩნია, რომ არც ერთია ქართული გზა და არც — მეორე.**

**სამწუხაროა, რომ საუკუნეებია, საქართველოში ვერ მოდის ხელისუფლება, რომელიც მის უნიკალურ გეოგრაფიულ მდებარეობას (ღმერთისგან ბოძებულს), პოლიტიკად აქცევს. ამას დიდი პოლიტიკური ნების, დიდი პოლიტიკური გამჭრიახობისა და დიდი ეროვნული ხელისუფლება სჭირდება.**

დარწმუნებული ვარ, საქართველოს ეყოლება ასეთი ხელისუფლება — ქართველი ხალხი გონებით და არა კუჭით გადაწყვეტს მის მომავალს და აირჩევს ეროვნულ ხელისუფლებასაც.

**ჩვენ ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ერი და ქვეყანა ვართ და არც ერთ ხელისუფლებას არ აქვს უფლება, ისაუბროს ევროპულ ცივილიზაციასთან საქართველოს მიერთებაზე, რადგან ჩვენ ოდითგან მისი ნაწილი ვიყავით, ვართ და ვიქნებით ყოველგვარი ხელმოწერის გარეშეც. მით უფრო, როცა დადასტურებულია, რომ მეფეთმეფე დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომით გადაარჩინა ევროპული ცივილიზაცია.**

**გვინდა, ვიფიქროთ, რომ დღეს ემოციით, კუჭით მცხოვრებ საქართველოში, როცა მხსნელს ფულით ბელადში ვეძებთ, კოლონიზატორს მეგობარს ვეძახით და ქვეყნის გადარჩენის გზას ქვეყნის გარეთ ვეძებთ – პოლიტიკაში გონება დაბრუნდება.**

**საქართველოს გაბრწყინება არც ფულთან, არც ბელადთან, არც მხსნელთან, მხოლოდ გონებასთან არის დაკავშირებული.**

**საკუთარი გონებითა და ღირსებით ცხოვრება – ეს დავით აღმაშენებლის გზაა... ასე ფიქრობს დღეს ხალხი დემოკრატიულ ევროპასა და დასავლეთში. მეამაყება (უამრავ ქართველთან და საქართველოს მოქალაქესთან ერთად), რომ იმ მეფის მოდგმა და შთამომავალი ვარ, რომელმაც ათი საუკუნის წინათ თქვა ის, რითაც დღეს მთელი ევროპა და დემოკრატიული დასავლეთი ცხოვრობს: მხარდაჭერა — ძლიერს, დაცვა — სუსტს. კონვერგენციის თეორიის სახელით ცნობილი ეს ფორმულა დაადასტურა სამი წლის წინათ შვეიცარიის დავოსში მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა: მსოფლიოს მომავალი არც კაპიტალიზმშია და არც სოციალიზმში. მსოფლიოს მომავალი კაპიტალისტური სამყაროს მთავარი პრინციპის — კონკურენციისა და ევროპული სოციალიზმის მთავარი დოგმის — დაცული ადამიანი — შეერთებაშია. ეს კი სახელმწიფო მოწყობის დავით აღმაშენებლის მოდელია.**

**ვინც ფიქრობს, რომ დავით აღმაშენებელი წარსულია, თვითონ არის წარსულში ჩარჩენილი.**

**ვიფიქროთ ქართველებმა და, როგორც დიდი პოეტი ამბობს, თურაშაულის პატრონი ტყეში ნუ ვეძებთ პანტას.**

პარტია
„თეთრების“ სახელით
**თეიმურაზ შაშიაშვილი**


მოგემსახურებით მსუბუქი კომფორტული ავტომობილით სახლიდან სახლამდე
თბილისი — ბათუმი — თბილისი.
ტელ. 585-79-99-69

## ოპერის თეატრის სოლისტი-სტაჟიორები კონცერტს გამართავენ

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი-სტაჟიორები და ორკესტრი 6 ივლისს, 19 საათზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვოკალური მუსიკის კონცერტს გამართავენ.**

იმღერებენ **ქეთევან გიორგაძე, ბელა კავთელიშვილი, მარიამ ტურაშვილი, მეგი ჩიხრაძე, ანი ცარციძე, ნანა ძიძიგური, ალექსანდრე დეკანოიძე, ალუდა თოდუა, გოდერძი ჯანელიძე.**

კონცერტში მონაწილე ახალგაზრდა მომღერლები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტ-სტაჟიორებად მიმდინარე წლის თებერვლიდან ირიცხებიან. ამ კონცერტის მეოხებით მათ საუკეთესო შანსი ეძლევათ საკუთარი შემოქმედებითი დონის, საშემსრულებლო შესაძლებლობების, სამომავლო პოტენციალის, კარიერული პერსპექტივის გამოსავლენად, როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო აუდიტორიის წინაშე. სოლისტი-სტაჟიორების კონცერტის გამართვა უპრეცედენტო შემთხვევაა, რომლის ინიციატორად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დავით კინწურაშვილი** მოგვევლინა.

ახალგაზრდა მომღერლებს პარტნიორობას გაუწევს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი **რევაზ ტაკიძის** დირიჟორობით.

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია: შესრულდება არიები და სცენები მოცარტის, როსინის, დონიცეტის, ვერდის, გუნოს, ბოროდინის, დელიბის, რიმსკი-კორსაკოვის, პუჩინის, ჩილეას, ფალიაშვილის ოპერებიდან.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი იურისტი, სამართლისა და სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

**ანზორ გაბიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პაანაშვიდი 3 და 4 ივლისს, 16.00 საათზე. გამოსვენება 5 ივლისს, 15.00 საათზე. მის. ჭავჭავაძის პროსპექტი №29ა.

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009